К30/65
2

დ. უჩანეიშვილი და ს. ძიმისტარიშვილი

საქართველოს ისტორია

II ნაწილი

სახელგამი

9(ქა)32
ტ
28

დ. უჩანეიშვილი და ს. ძიმისტარიშვილი

საქართველოს ისტორია

II ნაწილი.

K 30165/2

მოწონებულია სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ტფილისი—1925

[illegible]

მესამე სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტისა

მთავსამლიტგამი № 1828 ტირაჟი 12,000

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა ჩვენ სამ ნაწილად გვქონდა განზრახული. პირველი წიგნი, რომელიც გამოვიდა ერთი წლის წინათ, იწყება ქართველი ტომების გვაროვნულ-თემური წესწყობილების დახასიათებით და თავდება საქართველოში სავაჭრო კაპიტალის ჩასახვით და სახელმწიფოს წარმოშობით.

მეორე ნაწილი უნდა დაგვემთავრებია ბატონყმობის გაუქმებით (მე-XIX-ე საუკუნის სამოციანი წლები), ხოლო მესამე ნაწილში კი ნავარაუდევი იყო საქართველოში სამრეწველო კაპიტალისა და მუშათა კლასის წარმოშობის, პარტიების ჩასახვა-განვითარებისა და საზოგადოებრივ მოძრაობათა—რევოლიუციების—განხილვა.

სამწუხაროდ, ეს გეგმა სავსებით განხორციელებული არ არის: სკოლებში მეცადინეობა უკვე დაიწყო და სახელმძღვანელოს საჭიროებაც დიდია, ხოლო ჩვენ მე-XIX-ე საუკუნის შესახებ მასალის შეტანა წინამდებარე წიგნში ვერ მოვასწარით; ამიტომ იძულებული ვართ, ანგარიში გავუწიოთ სკოლას და საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილი ხელოვნურად მე-XVIII-ე საუკუნის დამლევით დავასრულოთ.

ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პირველ წიგნში მე-X—XI-ე საუკუნეები მხოლოდ ზოგადადაა დახასიათებული და ხელოსნური პერიოდი და სავაჭრო კაპიტალის წარმოშობა საკმაოდ არ არის განხილული. ამიტომ წინამდებარე წიგნში ამ საკითხებს ჩვენ ხელახლა ვუბრუნდებით და შედარებით უფრო ვრცლად ვიხილავთ.

მე-XIII—XIV-ე საუკუნეებში ფეოდალის მეურნეობის დაცე-

მისა და გაქრობის (ეგრეთწოდებული „მონღოლების ბატონობა საქართველოში“) შესახებ ქართული და უცხო წყაროები მეტად ღარიბი და ბუნდოვანია. არც სამეცნიერო გამოკვლევები მოიპოვება ამ ხანის შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვახუშტის „საქართველოს ისტორიას“, რომელიც მაინცადამაინც უდავო ცნობებს ვერ გვაწვდის და ვერც საკითხს ამოსწურავს.

ამიტომ, ჩვენც იძულებული ვიყავით ზოგიერთი, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ იმავე დროს სადავო საკითხისათვის გვერდი აგვეხვია.

არ მოიპოვება საკმაო ცნობები არც იმის შესახებ, თუ როგორ იქცა საქართველოში პატრონყმობა (ფეოდალიზმი) ბატონყმობად. ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი ცნობები ვერ ამოსწურავს საკითხს, მაგრამ სხვა უტყუარი ცნობების უქონლობის გამო ჯერჯერობით მაინც მით ვკმაყოფილდებით.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუძღვნით დიდად პატივცემულ პროფ. ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც დახმარება გაგვიწია ჩვენი მიზნისთვის საჭირო ზოგიერთი ბუნდოვანი და სადავო საკითხის გამორკვევაში.

დიდ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე საქართველოს საისტორიო მუზეუმის გამგეს ბ. სერ. გორგაძეს და მის თანამშრომლებს, რომელნიც დაგვეხმარენ და ხელი შეგვიწყეს მუზეუმში მუშაობის დროს.

ავტორები.

საქართველოს დამოკიდებულება გარეშე ქვეყნებთან მე-XI-ე საუკუნეში.

სპარსელების, არაბების და ბიზანტიელების ბატონობა მრავალი საუკუნის განმავლობაში ადუნებდა საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ განვითარების მაჯისცემას, მაგრამ თითქმის ყველას გადააჭარბა თავისი სისასტიკით საქართველოში თურქების შემოსევამ, რაც მე-XI-ე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. საქმე ის არის, რომ მაშინ ომის უმთავრესი მიზანი იყო ცარცვა-გლეჯა, ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდება და დამარცხებულ ქვეყნებზე ხარკის გაწერა. მე-XI-ე საუკუნეში საქართველო დაუძლურებული იყო ბიზანტიასთან ბრძოლით.

თურქებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, შემოესიენ საქართველოს სამხრეთიდან და დაიჭირეს კლარჯეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი, დასწვეს ქუთაისი და არტანუჯი.*)

ხალხი გარბოდა მთებში და მიუვალ ციხეებში და იქ აფარებდა თავს.

საშინელი ყინვებისა და შიმშილისაგან აუარებელი ხალხი დაიხოცა. შეუძლებელი გახდა მიწის დამუშავება და პურის მოყვანა. ის ადგილები, სადაც წინეთ მშრომელი ხალხი მეურნეობას მისდევდა, გაოხრდა, „უკაცრიელ“ გახდა და ნადირით გაივსო. ამას ზედ დაერთო 1089 წლის საშინელი მიწისძვრა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დაინგრა სოფლები და ქალაქები; ნანგრევებს ქვეშ მრავალი ხალხი მოჰყვა.

---

*) მოჭამეს ქვეყანა და მოსწყვიდეს თუ სადმე ვინ დარჩომილ იყვნეს ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქვეყნისათაო, გადმოგვცემს იმდროინჯელი ისტორიკოსი.

ამ დროს მთელს საქართველოში მცხოვრებთა რიცხვი არც კი აღწევდა 600,000 სულს*.)

მეფე გიორგი მე-II ქვეყნის ასეთ მდგომარეობას თავს სრულიად ვერ ართმევდა. ის იძულებული შეიქნა გადამდგარიყო და მეფობა თავისი შვილის დავითისათვის (აღმაშენებელი) დაეთმო.

მოწინავე წრეებმა ამ დროს უკვე აშკარად დაინახეს, რომ, თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდებოდა, შესაძლო იყო ხალხი სავსებით ამომწყდარიყო, ქვეყანა მოშლილიყო.

აუცილებელი იყო გადახვეწილი და მთებში შეხიზნული ხალხის დაბრუნება მის მიერ მიტოვებულ მიწაწყალზე. ამას მოითხოვდა მემამულეების ინტერესებიც. საჭირო იყო მიწის მუშები და ხელოსნები თავის გაპარტახებულ სოფლებს და ქალაქებს დაბრუნებოდენ და თავის ხელობისათვის მოეკიდათ ხელი. ხალხი კიდევაც დაუბრუნდა თავის მიწაწყალს და ქვეყანა ისევ მოშენების გზას დაადგა. ამ უდიდესი გეგმისა და საქმის განხორციელებას ხელი შეუწყო თვით საქართველოს მტრების, თურქების, დასუსტებამ, რაც გამოწვეული იყო ჯვაროსანთა ომებით მე-XI-ე საუკ. მიწურულში.

გარეშე მტრების საშიშროების გაქრობამ და შედარებითი მშვიდობიანობის დამყარებამ ხელი შეუწყო შრომისმოყვარე ხალხს, რომ ის შესდგომოდა მუშაობას, მეურნეობისა და ხელოსნობისათვის მიეყო ხელი; ამას მოჰყვა შედეგად საქართველოში ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გამოსწორება. ეკონომიურ-კულტურული მხრით საქართველომ ზემოაღწერილ აოხრებამდე არსებულ დონეს მიახწია.

განვიხილოთ, როგორი იყო მე-IX—XI-ე საუკუნეებში საქართველოს ეკონომიური განვითარების დონე და კულტურული ვითარება.

---

*) ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს ეკონომიური ისტორია", ნაწილი I.

ხელოსნობა, შრომის განაწილება ხელოსნობაში და სოფლის მეურნეობა.

მე-VIII-ე საუკუნიდან დაწყებული, და უფრო ადრეც, საქართველოში იყო გარკვეულად ჩამოყალიბებული ჯგუფები: სოფლის მეურნეები და ხელოსნები. მაგრამ თუ უძველეს დროში მხოლოდ ორი ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფის



სურ. № 1. იარაღი, რომლითაც ხაზებს ავლებდენ საწერ პაპირუსზე და ქაღალდზე.

გარჩევა იყო შესაძლებელი, მე-IX—XI-ე საუკუნეებში შრომის განაწილებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ თვით ხელოსნობაშიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა სპეციალობა და ამის მიხედვით გაჩნდენ ხელოსანთა სხვადასხვა ჯგუფებიც: მჭედლე-

ბი, ოქრომჭედლები, ფეიქრები, კალატოზები, გადამწერები და მრავალი სხვა.

ერთიდაიმავე ხელობისა და სპეციალობის მიმდევრები ორგანიზაციულადაც იყვნენ გაერთიანებული და თვითეულ ჯგუფს თავისი უფროსი ჰყავდა. ქვის სახლების მშენებელთა უფროსს „კალატოზთა უხუცესი" ერქვა. ასეთი კავშირი მშენებელთა წარმომადგენლებს შორის დაახლოვებით ჩვენი დროის მშენებელთა არტელს უდრის. ასეთივე ორგანიზაცია ჰქონდათ ხუროებსაც, ვინაიდან ეს ხელობა (დურგლობა) ძალიან გავრცელებული და განვითარებული (თითქმის ხელოვნებამდე აყვანილი) იყო საქართველოში. ხუროების უფროსს „ხუროთ-მოძღვარი" ერქვა.

თუ ყველა არა, ნაწილი ხელოსნებისა მაინც მსხვილი ფეოდალებისა და მონასტრების ყმებად ითვლებოდა, დანარჩენები კი თავისუფალი იყვნენ. საბუთებში მოხსენებული არიან მოსიარულე ხელოსნებიც. ესენი დადიოდენ და სამუშაოს იღებდენ სხვადასხვა ადგილას. ეს მოსიარულე ხელოსნები შესდგებოდენ თავისუფალი და ყმა ხელოსნებისაგან. როდესაც თავისი პატრონის სამუშაოს მორჩებოდენ, ეს უკანასკნელნი, ე. ი. ყმა ხელოსნები, ბატონის ნებართვით მიდიოდენ სხვაგან, სამუშაოს შოულობდენ და ამისთვის შესაფერის ხელფასსაც იღებდენ.

შრომის ამგვარად განაწილებამ, რომელიც მოხდა ჯერ სოფლის მეურნეებსა და ხელოსნებს შორის და შემდეგ კი თვით ხელოსანთა შორისაც, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფები ერთი-ერთმანეთისაგან დამოკიდებული გახადა.

უმთავრესი საბინადრო ადგილი ხელოსანთათვის იყო ქალაქები და მონასტრები, ხოლო მიწის მუშებისათვის — სოფელი.

სოფლის მეურნეს სჭირდებოდა ფეხსაცმელი, სამეურნეო იარაღი, სახლის კეთება და სხვა, ხოლო ხელოსნები კი ერთ დღესაც ვერ იარსებებდენ უპუროდ; მათვე სჭირდებო-

დათ სოფლის სხვა ნაწარმოებიც: ნედლი მასალა სხვადასხვა საქონლისა და ნივთების დასამზადებლად.



სურ. № 2. ხის ჩუქურთმიანი კარი.

ამგვარად, მიწათმოქმედნი და ხელოსნები ეკონომიურად ერთი-მეორის არსებობას განსაზღვრავდენ. გაცვლა-გამოცვლა პირველად მათ შორის ჩაისახა. საზოგადოებრივმა დიფერენციაციამ (დანაწილებამ), ხელოსნების ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფად გამოყოფამ სოფლის ნაწარმოები საქონლად აქცია. და თუ უწინ გლეხს იმდენი პური და სხვა სანოვაგე მოჰყავდა, რამდენიც იყო საჭირო გადასახადების დასაფარავად და ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამ დროიდან ის იძულებული გახდა, ყოველივე ეს გასაცვლელადაც დაემზადებია.

გეოგრაფიულს და ბუნებრივს პირობებს საზოგადოების განვითარებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მას საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვეხებით. ამ დროს ეკონომიური ერთეული ბუნებრივად თავსდებოდა გეოგრაფიულ ერთეულში. საქართველოს რომელიმე ცალკე ხეობაში მომწყვდეული კუთხე და მისი მოსახლეობა ორგანიულად იყო დაკავშირებული იმავე ხეობაში მოთავსებულ ქალაქთან.

ასეთი ქალაქები იყო: ჯავახეთში—ახალქალაქი; კლარჯეთში—არტანუჯი; სამცხეში—ოძრხე (აბასთუმანი) და ახალციხე; ქართლში—ურბნისი (ურიათა ახალშენი), გორი, ტანის ხეობაში—ატენი.

ქალაქისა და სავაჭრო ადგილის სიახლოვე ხელსაყრელი იყო აგრეთვე თვით სოფლის მეურნისათვისაც, რომელიც ადვილად შესძლებდა, თავისი ნაწარმოები ჩაეტანა უახლოეს ქალაქში და იქვე შეეძინა მისთვის საჭირო საგნები.

როგორც ვნახეთ, პირისპირ ხვდებოდენ ერთმანეთს მწარმოებელი და მომხმარებელი—სოფლის მეურნე და ქალაქის ხელოსანი—და უცვლიდენ ერთი-მეორეს თავის ნაწარმოებს. „მეტეხარა ვასალის ძისაგან ვიყიდე ვენახი: ა (1) და მივეცი ხარი: ა (1) და სახნისი: ბ (2)“—სწერია ნიკორწმინდის მე-XI-ე

საუკ. სიგელში.*) ამ დროს გაცვლა-გამოცვლის საშუალებად ფულსაც ხმაროობდენ**)

ხელოსანი ჯერ ანგარიშობდა ნედლ მასალას, შემდეგ მას უმატებდა იმ ხარჯებს, რაც საჭირო იყო მისი არსებობისათვის. ამგვარად მიღებული ჯამი შეადგენდა საქონლის ნამდვილ ღირებულებას („მოფასებული ჩემთვის"); დაახლოვებით ამ ფასადვე ჰყიდდა ის თავის ნაწარმოებს მომხმარებელზე. მაგრამ აქედან სრულიადაც არ შეიძლება დავასკვნათ, ასეთი წესი წმინდად იყო დაცული და ერთადერთიც იყო იმ დროში. ზემოაღწერილი მდგომარეობა უცვლელად ბატონობდა საქართველოში მე-IX—XI-ე საუკუნეებამდე. ამ საუკუნეებში კი საზოგადოებრივი ურთიერთობა უფრო რთულია. მართალია, ადგილი აქვს სინამდვილეში ზემომოყვანილ პირობებსაც, მაგრამ ამავე დროს ხშირად მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის მესამე პირი—ვაჭარიც—დგას.

ამ უკანასკნელის მიზანი და მისწრაფებანი არსებითად განირჩევიან სოფლის მეურნისა და ხელოსნის მისწრაფებათაგან: როდესაც გლეხი ან ხელოსანი იძენს საქონელს, მას ეს საქონელი უნდა თავის ოჯახში მოსახმარად; ვაჭარი არ ყიდულობს საქონელს იმისათვის, რომ თავის ოჯახში მოიხმაროს, არამედ იმისთვის, რომ ხელახლა გაჰყიდოს და ფული მოიგოს. მას აინტერესებს მოგება.

მე-XII—XIII-ე საუკუნეების ქართულ წყაროებში მოიპოვება ორგვარი ტერმინი: „მოფასებული ჩემთვის" და „ვაჭრულად დაფასება".

მე-XI-ე საუკუნეში საქართველოში არსებობდენ „დიდი ვაჭრები". ბაგრატ მე-IV'-ე თავის კანონებში იხსენიებს დიდი ვაჭარს, რომლის მოსამართლედ დაყენება მეფეს სასურველად მიაჩნია: მეფის აზრით, „დიდი ვაჭარი ჭკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის".

*) თ. ჟორდანიას ქრონიკები. ტ II, გვ 45.

**) ფული საქართველოში მე-V—VI-ე საუკუნიდან იჭრებოდა.

ვაჭრებს თავისი სიმდიდრისა და ქონებრივი ძლიერების გამო სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც საპატიო ადგილი ეჭირათ.

ამგვარად საქართველოში მე-XI საუკუნეში მეურნეობას შერეული ხასიათი აქვს: არის ნატურალური მეურნეობა და არსებობს ფულის მეურნეობაც.

ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმე თანდათან უფრო და უფრო ვითარდებოდა. მეურნეობამ ფულის ზეგავლენით სწრაფად იწყო განვითარება და ინტენსიური ხასიათი მიიღო. გაშენდა ბაღები, ვენახები, ბოსტნები, განვითარდა მეფუტკრეობაც.



სურ. № 3. ძაფის სახვევი ჯარა.

ეკონომიურმა აღორძინებამ გავლენა იქონია ხალხის გამრავლებაზე და შემცირებულმა მოსახლეობამ გასაოცარი სიჩქარით იწყო ზრდა. მოშენდა აოხრებული კუთხეები და „უქმი და ულვაწი" ადგილები, გაიჩეხა ტყეები, დაიწყეს მიწის რწყვა და არხების გაყვანა. მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ არ იციან მიწის ხელოვნურად განოყიერება. ამ მიზნისთვის არ არის გამოყენებული შინაური პირუტყვი.

მიწათმოქმედებაში გაბატონებულია სამმინდვრიანი სისტემა, ესე იგი, მთელი დასამუშავებელი მიწა განაწილებულია სამად: ერთი ნაწილი წარმოადგენს ზაფხულის ნახნავს (ანეული), მეორე არის ზამთრის ნახნავი და მესამე კი ისვენებს.



სურ. № 4. გაწყობილი საფეიერო იარაღი..

სოფლის მეურნეობისათვის ხარს და ცხენს ინახავენ: პირველს, როგორც სამუშაო ძალას მიწის დამუშავებისთვის, ხოლო მეორეს—როგორც ადამიანის მატარებელ და ტვირთის გა-

დამზიდველ საქონელს. ძროხა, ცᲮვარი და სხვა წვრილფეხა საქონელი აძლევს მათ ხორცს, რძეს, მატყლს, ტყავს.

მიმოსვლის გასაადვილებლად და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დასაახლოვებლად მაშინ გაჰყავდათ ქვაფენილი გზები, მდინარეებზე ხიდებს აკეთებდენ. დავით ალმაშენებელმა „აღაშენა ხიდნი მდინარეთა სასტიკთა და გზანნი საწყინოდ სავალნი ქვაფენილი ჰყენა“,—მოგვითხრობს მემატიანე*).მე-XII-ე საუკუნეში მარტო მდ. მტკვარზე ოცამდის ქვის ხიდი იყო გაკეთებული.

აბრეშუმს, შალეულობას, ტილოს და სხვა ქსოვილებს მოსახლეობა ამზადებდა მის მიერვე გაკეთებულ საქსოვ ხელსაწყოების საშუალებით.

ლითონისაგან სახელოსნოებში მზადდებოდა სამეურნეო და საომარი იარაღები და ოქროსში სახმარი ნივთები.

*) ქართლის ცხოვრება. გვ. 373.

სავაჭრო კაპიტალი.

ქალაქები საქართველოში და მათი დაცემის და წარმოშობის საკითხი.

მე-XI—XII-ე საუკუნეებში საქართველო მდიდარი იყო ქალაქებით. დასავლეთ საქართველოში მდებარეობდენ: ქუთაისი, ფოთი, სოხუმი; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში—არტანუჯი, ოლთისი, არტაანი (ახლანდელი არდაგანი), ახალქალაქი, ახალციხე, ოძრხე და სხვა; აღმოსავლეთ საქართველოში—ტფილისი, მცხეთა, გორი, ატენი, უფლისციხე, ურბნისი, რუსთავი, სამშვილდე, ხორნაბუჯი და სხვა.

ამ ქალაქების ერთმა ნაწილმა ჩვენამდის მოაწია და არათუ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მრავალჯერ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. მეორე ჯგუფი ძველი ქალაქებისა ჩამოქვეითდა, უბრალო სოფლებად იქცა; ზოგიერთმა მათგანმა ჩვენამდის მხოლოდ ნანგრევების სახით მოაწია, ზოგის კი კვალიც აღარ დარჩენილა.

რა იყო მიზეზი, რომ ქალაქების ერთმა ნაწილმა სიცოცხლის უნარი შეინარჩუნა, ხოლო მეორემ კი ვერა?

ყველა ზემოჩამოთვლილი ქალაქები მდებარეობდენ გზებზე და მდინარეებზე, სადაც ისინი იმ დროს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდენ. მაგრამ ისტორიულ ცვლილებებისა და ტეხნიკის განვითარების გამო ზოგიერთი გზა ჰკარგავდა თავის სავაჭრო და სამიმოსვლო მნიშვნელობას. ამგვარად ჰკარგავდენ მნიშვნელობას მდინარეებიც. მნიშვნელობადაკარგულ გზებსა და მდინარეებზე მდებარე ქალაქებიც ეცემოდენ და ხშირად სავსებით კვდებოდენ. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, არტანუჯს, ოძრხეს და ზოგიერთ სხვა ქალაქებსაც.

მაგრამ ზოგიერთი ქალაქის დაქვეითების და დაცემის მიზეზი ქალაქებს შორის არსებული მეტოქეობა იყო. ასეთ მეტოქეობას, კონკურენციას ეკონომიურად სუსტი და ნაკლები მნიშვნელობის მქონე ქალაქები ვერ იტანდენ და ეცემოდენ. ამის მაგალითს წარმოადგენს ტფილისსა და მცხეთას შორის არსებული მეტოქეობა: გაიმარჯვა ტფილისმა, დაეცა მცხეთა. ასეთივე მეტოქეობა არსებობდა შუა-ქართლის ქალაქებს შორისაც. მათ შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა გორი; დანარჩენმა ქალაქებმა (ატენი, უფლისციხე, სარკინე ქალაქი) დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. ასევე მოუვიდა ძველ ქალაქს—არქეოპოლისს, რომელმაც დასავლეთ საქართველოში პირველობა ქუთაისს დაუთმო.

ამგვარად, ქალაქების დასუსტებისა და დაცემის მიზეზი ყოველთვის ეკონომიური ხასიათისა იყო.

ახლა განვიხილოთ, რა ნიადაგზე აღმოცენდენ საქართველოში ქალაქები, რა იყო მათი წარმოშობის მიზეზი?

საქართველოს ქალაქები სხვადასხვა დროს არიან აღმოცენებული. ზოგი მათგანი უხსოვარ დროიდან არსებობდა, ზოგმა კი გაცილებით უფრო გვიან წამოჰყო თავი. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე მდებარე ქალაქები—ფოთი, სოხუმი და ზოგიერთი სხვა ქალაქი—ნაშთია ბერძენთა საახალშენო მოძრაობისა, რომელიც დაიწყო ძველს საბერძნეთში მე-VIII—VII-ე საუკუნეში ქრ. წინ და რამოდენიმე საუკუნე გაგრძელდა. დაახლოვებით ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი ზემოხსენებულ ზღვისპირულ ქალაქებსაც.

მაგრამ საკითხი საქართველოს სხვა ქალაქების (ტფილისი, ქუთაისი, გორი, ატენი და სხვა) წარმოშობის შესახებ, რომელნიც არსებობდენ მე-XI—XII-ე საუკუნეებში და თვალსაჩინო ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ, ბურუსითაა მოცული. ზოგიერთი ქალაქის დაარსების შესახებ მხოლოდ ზღაპრული ცნობები მოიპოვება.

„ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, იმ ადგილას, სადაც

ახლა ტფილისია გაშენებული, მე-V-ე საუკუნეში (ქრ. შემდ.) ქართველი მეფე ეახტანგ გორგასლანი ნადირობდა. მეფის მიმინო ხოხობს გამოუდგა. მეფეც დაედევნა მათ უკან და ნახა, რომ ორივე თბილ წყალში (გოგირდიან ნაკადულში) ჩავარდნილიყვნენ. მეფეს მოეწონა თბილი წყარო, თვით ადგილის მდებარეობაც და ქალაქის აშენებას შეუდგა.



სურ. № 5. მე-XII-ე საუკუნის უზანგები.

მემატიანის აზრით, თვით სახელწოდება ტფილისი ქალაქს ამ თბილი წყლისაგან მიუღია.

ქალაქი გორი, ძველი წყაროების ცნობების თანახმად, უნდა იყოს აშენებული მე-XII-ე საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ; ქალაქი ატენი კი ბაგრატ მე-IV ააშენაო, გადმოგვცემენ წყაროები.

რასაკვირველია, ასეთს ლეგენდარულ გადმოცემებს სინამ-

დვილედ ვერ ჩავთვლით. საქართველოს ქალაქები, როგორც სხვა ქვეყნების ქალაქები, თავდაპირველად უნდა ყოფილიყვნენ (და იყვნენ კიდეც) სააღებმიცემო ცენტრები, ბაზრები; ახლო-მახლო მობინადრე მოსახლეობას თავისი ნაწარმოები აქ გამოჰქონდა გასაცვლელად.

ასეთ სააღებმიცემო ცენტრს წარმოადგენდა ქალ. გორი, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც მდინარე მტკვარს ლიახვი უერთდება, და სადაც იყრიდა თავს მრავალი გზა. შუა-ქართლის მცხოვრებთ შეეძლოთ აქ მოეყარათ თავი, თავისი ნაწარმოები გაეყიდათ თუ გაეცვალათ და იმავე დღეს შინ დაბრუნებულიყვნენ. ამ ადგილას მოსახლეობაც გამრავლდა, რომლის საგრძნობ ნაწილს ხელოსნები შეადგენდენ. აქვე გაშენდა ქალაქის დაცვის მიზნით ციხე-სიმაგრე. ამგვარად, თავდაპირველად გორის ციხის უმთავრესი დანიშნულება იყო ქალაქის და მისი მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

რაც შეეხება ცნობას, გორი დავით აღმაშენებელმა ააშენაო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დავითის დროს გორი გაზრდილა და მეფეს ხელი შეუწყვია ქალაქის მოშენებისათვის, მას დაუსახლებია აქ სომხები, რომელნიც უმთავრესად ვაჭრობას მისდევდენ.

ქალაქი ქუთაისი ორი ნაწილისაგან შესდგებოდა: თვით ქუთაისისაგან და ციხე-სიმაგრისაგან, რომელსაც უქიმერიონი ერქვა. ქუთაისი უფრო ძველია, ციხე-სიმაგრე—მერმინდელი. სიმაგრე აშენებული იყო ქალაქის მახლობლად, იქ, სადაც ახლა არქიელის მთა არის, და ქალაქს დარაჯობდა.

დაახლოვებით ასეთსავე სურათს დავინახავთ, თუ ტფილისის დაარსების საკითხს განვიხილავთ.

როგორც სჩანს, ტფილისი უძველესი დროიდანვე სააღებმიცემო ცენტრი ყოფილა. მისი უძველესი ნაწილი შეიცავდა ახლანდელ აბანოების მიდამოებს და ხარფუხს. ტფილისის მეო-

რე ნაწილი—კალა*) (სიმაგრე) უფრო გვიან აშენდა და ქალაქს მტრების თავდასხმისაგან იცავდა.

პირველ ხანებში ტფილისი მცხეთის მეტოქეობასა და გავლენას განიცდიდა და ამიტომ უმნიშვნელო პუნქტი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო აღმოსავლეთის ქვეყნებს დაუახლოვდა და უცხოელმა ვაჭრებმა იწყეს საქონლის შემოტანა იბერიაში, ტფილისმაც იწყო ზრდა და გაძლიერება.

მას ხელს უწყობდა ამ შემთხვევაში მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა: ის იყო ქართლისა და კახეთის ცენტრი და იზიდავდა თავისაკენ ამ ორი კუთხის ნაწარმოებს. ის მდებარეობდა სომხეთის და სპარსეთის საზღვრების მახლობლად. ამ ქვეყნებიდან აქ მოდიოდა აღმოსავლეთის ნაწარმოები საქონელი. შემდეგ ტფილისიდან ეს საქონელი საქართველოს სხვა კუთხეებში გაჰქონდათ. ამგვარად ტფილისმა, როგორც „გზამ და კარმა", იბერიაში მცხეთას თანდათანობით წაართვა პირველობა და უმთავრესი სააღებმიცემო და კულტურის ცენტრი შეიქნა. მცხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტფილისში გადასახლდა. „მცხეთაჲ ათხელდებოდეს და კალაჲ განდიდდებოდეს"—ნათქვამია ერთს იმდროინდელ საბუთში.

მე-VIII—XI-ე საუკუნეებში ტფილისი არაბების ხელში იყო; 1122 წელს იგი დავით აღმაშენებელმა არაბებს წაართვა და საქართველოს შემოუერთა. ამ დროს ტფილისში ცხოვრობდენ ქართველები, არაბები, ებრაელები, სომხები და სპარსელები. უცხოელები განსაკუთრებით ვაჭრები იყვნენ.

---

*) კალა ასურული სიტყვაა და ნიშნავს გარშემოზღუდულ, გამაგრებულ ადგილს. რადგანაც სააღებმიცემო ცენტრებთან ყოველთვის არსებობდა ასეთი გამაგრებული ადგილი, ამიტომ თვითონ ამ ცენტრებსაც დაერქვა ქალაქი, რაც წარმომდგარია კალასაგან. საყურადღებოა, რომ დასავლეთ-ევროპაშიაც და რუსეთშიც ასეთი გამაგრებული ადგილის სახელები: burg, город (огораживать) ქალაქის საზოგადო სახელებად იქცენ. როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოშიაც ქალაქების წარმოშობას უმეტეს შემთხვევაში ერთნაირი მიზეზები ჰქონდა.

ტფილისი მე-XI—XII-ე საუკუნეებში ამიერკავკასიაში უდიდესი ქალაქი იყო. ის მდიდარი იყო ბაღებით და ბოსტნებით, სავსე იყო სავაჭრო დაწესებულებებით—ქულბაქებით*). ქალაქში იყო მოედანი, სადაც მოქალაქენი თავს იყრიდენ და ვაჭრობას მართავდენ.

ტფილისი შესდგებოდა სამი მთავარი ნაწილისაგან: თვით ტფილისისაგან (აბანოების მიდამოები), კალასაგან (თათრის მოედნის ზემოთ ახლა რომ ციხე-სიმაგრის ნანგრევებია) და ისნისაგან (ახლანდელი ავლაბარი). ქალაქს გარშემო ორი კედელი ჰქონდა შემოვლებული. ქალაქში შეიძლებოდა შესვლა სამი კარით, რომელიც კლიტით იკეტებოდა. ეს კარები მიმართული იყო იქითკენ, საიდანაც ქალაქში დიდი გზები შემოდიოდა და ვაჭრებს და სოფლელებს საქონელი შემოჰქონდათ გასაყიდად (კახეთიდან, ქართლიდან და სომხეთიდან).

ტფილისს ისანთან აერთებდა ორი ხიდი. ეს ხიდები იმ ადგილას იყო გაკეთებული, სადაც ახლა ავლაბრის ხიდებია. ხიდთან მტკვრის ნაპირას კლდეზე ერთი შენობა იდგა, რომელსაც „სადილეგო“-ს**) ეძახდენ. ეს იყო სატუსაღო, ანუ საპყრობილე, და იდგა იქ, სადაც ახლა მეტეხის ციხეა ამართული. მე-XII-ე საუკუნეში ისნის ველზე მეფის სასახლე იდგა.

ქალაქის მცხოვრებთ მოქალაქენი შეადგენდენ. ისინი ორი უმთავრესი ჯგუფისაგან შესდგებოდენ: ვაჭრებისაგან და ხელოსნებისაგან. ვაჭრებშიც არსებობდენ სხვადასხვა ჯგუფები, იყვნენ „დიდი ვაჭრები“ და მცირე ვაჭრები. დიდ ვაჭრად იწოდებოდა ის, ვინც თავის საქმეს კარგად უძღვებოდა და დიდი ქონების პატრონი იყო. დიდ ვაჭარს დიდი უფლებები ჰქონდა მოპოვებული. მას მოსამართლედ ირჩევდენ. დიდი ვაჭრები სახელმწიფო და სასახლის საქმეებში ერეოდენ. „კაცი მკიდრთაგან ტფილისისათა დიდი ვაჭარი“ ზანქან ზორაბაბელი დე-

*) ქულბაქი სპარსული „ქულბეჰ“-იდან არის წარმომდგარი და ნიშნავს დუქანს, სავაჭროს.

**) დილეგი—სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ტუსაღს.

სპანად იქნა გაგზავნილი თამარის საქმრო გიორგი რუსთან მოსალაპარაკებლად და მოსაყვანად*.)

ძალიან ხშირად ვაჭრობას დიდი მოხელეები და წარჩინებული წოდების წარმომადგენელნიც აწარმოებდენ; მაგალ. კახა ერისთავთ-ერისთავი დიდ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა. მაგრამ ვაჭრები უმეტეს შემთხვევაში მაინც „უაზნონი“ იყვნენ და დაბალი წოდებიდან გამოდიოდენ. ამ დაბალ წოდებიდან გამოსულ დიდ ვაჭრებს, მაგალითად, ისეთებს, როგორც ზანქან ზორაბაბელს და სხვებსაც, შეეძლოთ დიდი და საპასუხისმგებლო ადგილი დაეჭირათ. ამ დროს სიმდიდრეს და ქონებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც კერძო პირის, აგრეთვე მთელი კლასის საზოგადოებრივ მდგომარეობაში. „გვართა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“—გადმოგვცემს მემატიანე.

ამ დროს ტფილისის მართვა-გამგეობა განაწილებული იყო ცენტრალურ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის (განსაკუთრებით ვაჭართა კლასი იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე). ცენტრალური ხელისუფლება, მეფე, ნიშნავდა თავის მოხელეს—ამირას**). ამირას ხელში იყო ქალაქსა და მის მიდამოებში მართველობის ადმინისტრატიული მხარე.

ქალაქში პოლიციის უფროსად ითვლებოდა ამირას თანაშემწე—შურტა***). ის თვალყურს ადევნებდა წესრიგის დაცვას და ბაჟის და ბაზრის მოწესრიგების საქმეს. მას ემორჩილებო-

*) თამარ მეფის პირველი ქმარი იყო რუს დიდი მთავრის ანდრია ბოლოლუბსკის შვილი გიორგი. ეს გიორგი ზნეობრივად მეტად დაცემული ადამიანი გამოდგა და ამიტომ თამარ მეფე მას გაეყარა.

**) ამირას ეძახდენ არაბების ბატონობის დროს ხალიფას წარმომადგენელს, ტფილისის ოლქის გამგეს. ეს სახელწოდება დარჩა შემდეგაც და ტფილისისა და მისი მიდამოების მართველი ქართველი მოხელეც ასე იწოდებოდა. სხვა ქალაქებში ასეთ მართველს ციხისთავი ერქვა.

***) შურტაჰ—არაბული სიტყვაა.

დენ მებაჟე და მეკოშრე. პირველი (მებაჟე) ქალაქში შემოტანილ საქონელზე ბაჟს ახდევინებდა საქონლის პატრონს, მეორე კი—მეკოშრე (მესასწორე)—ქალაქის სასწორების გამგედ ითვლებოდა.

ქალაქს ჰყავდა აგრეთვე მოქალაქეების მიერ არჩეული ქალაქის საბჭო. საბჭოს წევრები „ქალაქის ბერებად“ იწოდებოდენ და მსხვილი ვაჭრებისაგან ირჩეოდენ. ქალაქის საბჭოს დიდი უფლებები ჰქონდა. მის ხელში იყო დიდი და რთული საკითხების გადაწყვეტა. მაგალითად, მე-XI-ე საუკუნეში, როდესაც ტფილისი ჯერ კიდევ არაბ ამირას ეპყრა ხელთ, ქალაქის ბერებმა მოიწვიეს ბაგრატ მე-IV-ე და მას გადასცეს ტფილისი, მაგრამ ბაგრატი მაშინ მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში იყო გართული და იძულებული შეიქნა ქალაქისთვის თავი მიენებებია.

სასამართლოც ამ დროს წოდებრივ პრინციპზე იყო აგებული. ვაჭრების და მოქალაქეების ინტერესები სრულებით ვერ ეგუებოდენ ფეოდალურ პრინციპზე აგებულ სასამართლოს. ამიტომ მათ (მოქალაქეებს) სულ სხვა პრინციპზე და საფუძველზე აგებული სასამართლო ჰქონდათ. ბაგრატ მე-IV-ე რჩევას იძლევა: „ვინც მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდ-ვაჭარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, ის დასვით ბჭედ. კარგი დიდი ვაჭარი ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“.

„მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი“ აზნაურებისა და მაღალი წოდებისათვის მიაჩნდა საჭიროდ მეფეს, ხოლო დიდ ვაჭარი კი ვაჭრებისა და მოქალაქეების მოსამართლედ და „ბჭედ“ უნდოდა და თვითონ ნიშნავდა მას.

საქართველოს სააღებმიცემო დამოკიდებულება უცხო ქვეყნებთან და შინაური ვაჭრობა.

სავაჭრო კაპიტალი მიზნად არ ისახავს წარმოების მოწყობას, მასში ფულის დაბანდებას და საქონლის დამზადებას. მისი მი-

ზანია დამზადებული საქონლის ერთ ადგილას ყიდვა და მეორე ადგილას მოგებით გაყიდვა. ამიტომ, რაც უფრო მეტ სავაჭრო ოპერაციებს გააკეთებს, მით უფრო სასარგებლოა ვაჭრისთვის, მით უფრო მეტს მოიგებს ის. მაგრამ რადგანაც ვაჭარს ხშირად შორს უხდება წასვლა, იქ საქონლის შეძენა და მეორე ადგილას გასაყიდად გადატანა, ამიტომ საქმე მოითხოვს, რომ ეს გაცვლა-გამოცვლა ფულის საშუალებით ხდებოდეს. ფული შეიძლება დაგროვილ იქნას განუსაზღვრელი რაოდენობით. ფულით შეიძლება ყოველგვარი საქონლის, ყოველგვარი ნივთის შეძენა. ამიტომ, რაც უფრო მეტი აქვს ფული ადამიანს, მით უკეთესია.

სავაჭრო კაპიტალი არის სიმდიდრე, რომელიც ფულშია განსახიერებული და მოგების მიზნით სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს. სავაჭრო კაპიტალი მეტად მოძრავია; ის ბატონობს ქალაქში, შედის სოფელში, სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და გადადის მეორე ქვეყანაში. ის სდგას მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა. სავაჭრო კაპიტალის ხანაში როგორც სოფლის, ისე ქალაქის ნაწარმოებს საქონლის სახე ეძლევა.

საქართველო ვაჭრობას უძველესი დროიდან იცნობდა, მაგრამ მე-XI—XII-ე საუკუნეებში ის აქ საგრძნობლად განვითარდა. მე-XI-ე საუკუნის დასასრულიდან ევროპასა და აზიას შორის მჭიდრო კავშირი მყარდება. ამ ორ ქვეყანას შორის საქართველო გზა და ხიდი იყო. ამიტომ საქართველოში შემოდიან უცხოელები—ევროპელი და აზიელი ვაჭრები. ტფილისში, არტანუჯში, სოხუმში და სხვა ქალაქებში, გარდა ქართველი ვაჭრებისა, ადამიანი ძალიან ხშირად შეხვდებოდა არაბ, სპარს, სომეხ, ბერძენ და ებრაელ ვაჭრებს. საქონლის გადატან-გადმოტანა სწარმოებდა აქლემებისა და ცხენების ქარავნებით. ქარავნები დადიოდენ განჯა—დმანის—ტფილისს შორის. საქარავნო ვაჭრობა იმდენად დიდი იყო, რომ ხშირად ას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას ამ ქარავნებში.

საქართველოს უფრო შორეულ ქვეყნებთანაც დიდი ეკო-

ნომიური დამოკიდებულება ჰქონდა. გაჩაღებული ვაჭრობა იყო არაბეთსა, სპარსეთსა და საბერძნეთთან. ვაჭრებმა საუცხოოდ იცოდენ, სად რა საქონელი იყო უფრო საჭირო, სად, რა ფასში და რა პირობებში შეიძლებოდა მისი ყიდვა-შეძენა.

ყველა ამას მოკლებული იყვნენ თვით მწარმოებლები—ხელოსნები და სოფლის მეურნეები: ისინი მუდამ ერთ ადგილას იყვნენ და არ ჰქონდათ საშუალება, გაეგოთ ვაჭრობის საიდუმლოებანი.

ამ ხელსაყრელი პირობებით სარგებლობდენ ვაჭრები. ისინი იაფად ყიდულობდენ მწარმოებლებისგან საქონელს და ხელსაყრელ ფასებში ასაღებდენ მომხმარებელზე. ამგვარად მრავალი ვაჭარი მდიდრდებოდა, დიდ ქონებას იძენდა. ვაჭრები განსაკუთრებით ეტანებოდენ ძვირფასი და იშვიათი საქონლით ვაჭრობას.

ბაღდადიდან და არაბეთისა და სპარსეთის სხვა ქალაქებიდან საქართველოში შემოდიოდა: აფი ბაღდადური (თავსაფარი), ლარი, სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილები, რომელსაც „ტურფას“ ეძახდენ; ზარქაში (ოქროს ქსოვილები), ბალასანი, მუშკი და ქაფური, თათრული აღვირები, ზოდებით ოქრო, ფოლადი, შაქარი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ლალი, ფირუზი, სადაფი და სხვა.

საბერძნეთიდან შემოჰქონდათ: კუბასტი ბერძნული (ქსოვილები) საკრამანგი (ოქროს ქსოვილი); საეკლესიო ნივთები (ხატები), სურათები, ტაშტი და სხვა.

საქართველოს მეფეები ხელს უწყობდენ აღებმიცემობის განვითარებას როგორც გარეშე ქვეყნებთან, აგრეთვე საქართველოს ფარგლებშიც. როცა დავით აღმაშენებელმა ტფილისი აიღო, ის ძალიან ლმობიერად მოეპყრო მოქალაქეებს, გაუადვილა ცხოვრების პირობები, აღებმიცემობის საქმეს ხელი შეუწყო.

მაჰმადიანი ისტორიკოსი ამბობს, მაჰმადიან ვაჭრებს და მოქალაქეებს დავით აღმაშენებელი უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე თვით მაჰმადიანი მეფენიო.

დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს ვაჭრებისთვის ტფილისში და გზების პირას აშენებულ იქნა ქარვასლები—სასტუმროები; ვაჭრობის განვითარება სახელმწიფო საჭურჭლეს (ხაზინას) დიდ შემოსავალს აძლევდა, ქონებრივად და პოლიტიკურად აძლიერებდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ტფილისში ყოველგვარ შემოტანილ საქონელზე ბაჟს ახდევინებდენ. იყო აგრეთვე სასწორის გადასახადიც. სამწუხაროდ, არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რამდენი იყო ბაჟის სახით თვითეულ საქონელზე გადასახადი. მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ არსებობდენ სპეციალური მოხელეები—მებაჟეები და მესასწორეები—უკვე იმის დამამტკიცებელია, რომ გადასახადი დიდი უნდა ყოფილიყო და სახელმწიფოსაც კარგ შემოსავალს აძლევდა.

როგორც ზემოთ თავის ადგილას იყო აღნიშნული, საქართველოში ხელობისა და სპეციალობის მიხედვით საზოგადოების ცალკე ჯგუფებად ჩამოყალიბებამ და აგრეთვე ვაჭრობის განვითარებამ სოფელი აღებმიცემობისა და ვაჭრობის ფერხულში ჩააბა. საქართველოში მე-XI—XII-ე საუკუნეებში არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა და ან სოფელში არ გაყიდულიყოს. წყაროებიდან სჩანს, რომ ამ პერიოდში იყიდებოდა: ცხენი, უნაგირი, ლაგამი, ჯორი, სამოსელი, სახნისი, ქვაბი, ხარის ტყავი (ქალამანი), ყანა, ვენახი, ტყე, ქვა, ქვიშა, კირი და სხვა საშენი მასალა. „ქვაჲ და კირი ფრიად შორით მიაქვნდა... და ყოველი სასწორით იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი“—ნათქვამია წყაროებში.

მაგრამ ვაჭრობის განვითარებამ თუ ზოგიერთი ჯგუფი გაამდიდრა და გააძლიერა, დანარჩენი ნაწილი საზოგადოებისა, განსაკუთრებით ყმა-გლეხები, საშინელ გასაჭირში ჩაგდო.

როდესაც ფულის მეურნეობა საქართველოში არ იყო განვითარებული, გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში

იმყოფებოდენ*). როგორც კი აღებმიცემობა განვითარდა და სოფელშიც შეიჭრა, გლეხების მდგომარეობა დიდად გაუარესდა: გლეხი საქონლადაც კი იქცა. მემამულეებმა დაიწყეს გლეხების ყიდვა-გაყიდვა**), რომ გამოეყენებიათ ისინი მეურნეობაში როგორც მუშა ხელი და მით გაეზარდათ თავისი შემოსავალი.

რადგანაც ფეოდალიზმის პერიოდში სამუშაო იარაღების ტეხნიკურ გაუმჯობესებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მემამულეები ცდილობდენ მუშა-ხელის გამრავლებას, მით მეურნეობის გაფართოებას და მშრომელთა ექსპლოატაციის მეოხებით თავისი შემოსავლის გადიდებას. ნაყიდი გლეხების მდგომარეობა ყველა სხვა ყმა-გლეხების მდგომარეობაზე უარესი იყო: მათი პირადი თავისუფლება შეიზღუდა.

ასეთი ფართე აღებმიცემობის დროს ქალაქებს გარდა საქართველოში ვაჭრობა ქალაქს გარეთაც სწარმოებდა. ამისთვის ბაზრობას აწყობდენ და იქ მოჰქონდათ საქონელი გასაყიდად. ბაზრობას მაშინ „სავაჭრო ერის კრებას“ ეძახდენ, ხოლო „სავაჭრო ერს“ კი—ვაჭრებს. ბაზრობა ხშირად მონასტრებსა და ეკლესიებთან იმართებოდა. მონასტრებს აქედან დიდი შემოსავალი ჰქონდათ, რადგანაც საქონლის ბაჟი და სხვა გადასახადები მონასტრის სასარგებლოდ მიდიოდა. სამღვდელოება თვით ვაჭრობაშიც იღებდა, როგორც ეტყობა, მონაწილეობას და ამიტომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს იძულებული იყო, მონასტრებთან და ეკლესიებთან ვაჭრობის გამართვა აეკრძალა. მაგრამ ვერც ამ კრების დადგენილებამ ვასჭრა და ვაჭრობა მონასტრებისა და ეკლესიების ეზო-მიდამოებში შემდეგაც სწარმოებდა.

ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე ის, რომ წიგნების წერა, გადაწერა და დამზადება მონასტრებში ხდებოდა და სასული-

*) იხილეთ ამის შესახებ ჩვენი „საქართველოს ისტორია“, ნაწილი I, გვ. 82.

**) ერთ-ერთ წყაროში შენახულია ცნობა, რომ გლეხი 105 მან. და 48 კაპ. გაყიდულა.

ერო პირების ხელში იყო. ისინი თვითეულ წიგნის გადაწერასა და დამზადებაში დიდ ფულს იღებდენ. მაგალითად, წიგნის „შეკაზმვაში“ საშუალოდ ბერები იღებდენ 150 მანეთს; ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც გამოჩენილი გადამწე-



სურ. № 6. მე-VIII-ე საუკუნის პაპიროსის ხელნაწერი.

რი ორ-სამჯერ მეტსაც კი იღებდა. ამგვარად, ყველა წოდებები და საზოგადოებრივი ჯგუფები იყვნენ ჩაბმული აღებმიცემობისა და ფულის შეძენის საქმეში.

შინაური აღებმიცემობის და ვაჭრობის განვითარებამ მჭიდ-

რო კავშირი დაამყარა ქალაქსა და სოფელს შორის. თუ წინეთ თვითეული გეოგრაფიულად შემოფარგლული კუთხე ცალკე ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდა და თავისი ბუნებრივი სააღებმიცემო ცენტრი ჰქონდა, ფულის მეურნეობის დამყარებისა და სოფლის ამოძრავების შემდეგ თანდათანობით ქვეყნის შორეული კუთხეები ეკონომიურად ერთმანეთს დაუკავშირდა.

ქარავნებით უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი ტფილისიდან საქართველოს სხვა კუთხეებში გადიოდა. ამგვარად ტფილისი გახდა მთელი საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მომწესრიგებელი ცენტრი.

ქვეყნის ასეთი ეკონომიური გაერთიანება ხელსაყრელი იყო როგორც ვაჭართა კლასის, ისე ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

ამ საერთო ინტერესებისთვის ზრუნვამ მათ შორის მჭიდრო კავშირი დაამყარა. ჩვენ ვნახავთ ქვევით, ეს ორი ძალა (სავაჭრო კაპიტალი და ცენტრალური ხელისუფლება) როგორ ხელი-ხელჩაკიდებული გამოდიოდენ ქვეყნის ეკონომიური მთლიანობის დასაცავად და როგორ განახორციელეს მათ პოლიტიკური მთლიანობაც, ცენტრალიზმი.

ფ უ ლ ი.

საქართველოში უძველესი დროიდან ტრიალებდა უცხოეთის ფული: სპარსული, არაბული და ბიზანტიური. ამავე დროს მე-V-ე საუკუნედან იჭრებოდა ქართული ვერცხლის ფული. როგორც უცხოეთის ფული, ისე ქართულიც იხმარებოდა სააღებმიცემო საშუალებად.

მე-XII-ე საუკუნეში, დავით აღმაშენებელის დროს, შესწყდა ქართული ვერცხლის ფულის მოჭრა და მის ნაცვლად შემოიღეს სპილენძის ფული. ამავე დროს სპილენძის ფული შემოიღეს აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. როგორც ნუმიზმატიკოსები (ფულის მკვლევარები) ხსნიან, ეს იყო გამოწვეული ვერცხ-

ლის სიმცირით; ძველს მაღაროებში ვერცხლი გამოილია, ხოლო მოჭრილი ვერცხლის ფული იმდენად განსაზღვრული იყო საქართველოში, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა საფასის (ფულის) წინანდელთან შედარებით მრავალჯერ

სურ. № 7. დავით კურაპალატის დროინდელი (მე-X საუკ.) ვერცხლის ფული. ფულზე აწერია: „ქრისტე შეიწყალე დავით“.

სურ. № 8. ფული, რომელსაც დავით ალმაშენებლს მიაწერენ.

სურ. № 9. თამარის ფული. შუაში აწერია: „თამარ“.

გადიდებულ მოთხოვნილებას. ამიტომ ამ შემთხვევაში ვაჭართა კლასმა და მთავრობამ დანაკლისის ასანაზღაურებლად ხერხს მიმართეს—ეს იყო ძვირფასი ლითონის—ვერცხლის—ფულის

ნაცვლად სპილენძის ფულის შემოღება. ვერცხლის დირჰემის*) ნაცვლად სპილენძის დირჰემი შემოიღეს. სპილენძის დირჰემი თავისი ნამდვილი ღირებულებით რამდენჯერმე დაბლა იდგა ვერცხლის დირჰემზე, მაგრამ მთავრობამ სავალდებულოდ გახადა სპილენძის დირჰემის ვერცხლის დირჰემის ფასად მიღება.

ფაქტიურად სპილენძის დირჰემი წარმოადგენდა საკრედიტო ფულის ნიშანს იმგვარადვე, როგორც ჩვენს დროში ქაღალდის ფული.

ვერცხლის ფულის მოჭრა საქართველოში მე-XIII-ე საუკუნეში განახლდა.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება.

საქართველოში მე-XI—XII-ე საუკუნეები არის კლასებსა და წოდებებს შორის დაუცხრომელი ბრძოლისა და შეჯახებების ხანა. გაერთიანების და გაძლიერების გზაზე დამდგარ საქართველოს მთავრობასთან წარჩინებული წოდება განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა. მან კარგად იცოდა, რომ გაერთიანებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება თუ გაძლიერდებოდა, დიდგვარიან აზნაურებისა და მსხვილი მემამულეების უფლებებს და თავისუფალ მოქმედებას ფრთები შეეკვეცებოდა. წარჩინებული წოდება იმდენად საგრძნობ ძალას წარმოადგენდა, რომ მეფეები ხშირად იძულებული ხდებოდენ მის წინაშე უკან დაეხიათ, თავის განზრახვებზე უარი ეთქვათ და მსხვილი მემამულეებისაგან დამარცხებაც კი განეცადათ ბრძოლის ველზე. ასე მოსდიოდათ ბაგრატ მე-IV და გიორგი მე-II მე-XI-ე საუკუნეში.

მაგრამ ამ მდგომარეობას მე-XI-ე საუკუნის დასასრულიდან საქართველოში თანდათანობით ეღება ბოლო. ამ ხანაში იზრდება და ძლიერდება ახალი ეკონომიური და საზოგადოებრივი

*) დირჰემი ფულის ერთეულის სახელია; ის დაახლოვებით 40 კაპ. უდრიდა.

ძალა— სავაჭრო კაპიტალი. მეფე პოულობს ძლიერ მოკავშირეს ვაჭართა კლასის სახით.

საქმე ის არის, რომ ვაჭრობის განვითარება, სავაჭრო კაპიტალის ინტერესები მოითხოვენ, რომ ქვეყნის ფარგლებში სიმშვიდე და წესრიგი სუფევდეს. საშუალო საუკუნეებში მემამულეებს შორის არსებული დაუცხრომელი შინაური ბრძოლა და არეულობანი ხელს უშლიდა და აფერხებდა სავაჭრო კაპიტალის ფრთების გაშლას. ამიტომ საქართველოში ვაჭართა კლასის ინტერესები მოითხოვდენ მსხვილი ფეოდალების თავგასული თარეშის ალაგმვას და ქვეყნის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაერთიანებას, რომ თავისუფლად და უშიშრად შესძლებოდათ ვაჭრებს საქონელი ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადაეტანათ და გაეყიდათ. ამ ნიადაგზე ვაჭართა კლასსა და მეფეს შორის დამყარდა მჭიდრო კავშირი ბრწყინვალე წოდების წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებელმა ამ მიზნით მიიმხრო აგრეთვე ეკლესია; მან გაათავისუფლა მონასტრები და სამღვდელოება გადასახადებისაგან და შეუვალობა მიანიჭა. თავის ძლიერების განმტკიცებას მეფემ სარწმუნოებრივი სარჩულიც დაუდო. მან თავის უფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვა. დავით აღმაშენებელი ამტკიცებდა, რომ მეფის უფლება თვით ღმერთმა პირადად „არწმუნა“ მას, რომ მეფის უფლება ღვთის მიერ იყო დაფუძნებული. ვინც მეფის ძალა-უფლების წინააღმდეგი იყო, ის ღვთის წინააღმდეგ მიდიოდა და თვით ზეციური მეუფის მტერი იყო.

ამ სამი ძალის—მეფის, ვაჭართა კლასის და ეკლესის—კავშირმა შეჰქმნა ის ძლიერი ორგანიზაცია—სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელმაც ბოლო მოუღო ქვეყანაში გამეფებულ მუდმივ ბრძოლასა და ანარქიას.

ამგვარად გაძლიერდა მართვა-გამგეობაში ცენტრალიზმი. მეფის ხელში მოიყარა თავი მართლმსაჯულებისა და გადასახა-

დების გაწერა-აკრეფის უფლებამ და სახელმწიფოსა და ყველა ქვეშევრდომებს შორის უშუალო დამოკიდებულება დამყარდა.

ქვეყანა დაყოფილ იქნა ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულებად—ოლქებად.

დაარსდა უზენაესი სასამართლო, რომელიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა... თუმცა მეფის ძალა-უფლება გაიზარდა, მაგრამ ქვყნის საქმეების მოსაგვარებლად მაინც აუცილებელი გახდა რთული სახელმწიფო აპარატის შექმნა. ამ ნიადაგზე წარმოიშვენ სხვადასხვა დაწესებულებანი და თანამდებობანი—მოხელეობა.

მოხელეები ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდენ: ერთ ჯგუფს შეადგენდენ „დარბაზის კარს მყოფნი“ მოხელენი, რომელნიც სახელმწიფოს მთავარ და ცენტრალურ დაწესებულებაში „დარბაზში“*) მსახურობდენ. ესენი იყვნენ ვაზირები**) (მინისტრები), მაგალითად: მწიგნობართ-უხუცესი (პირველი მინისტრი) ამირსპასალარი (სამხედრო მინისტრი), მეჭურჭლეთ-უხუცესი (ფინანსთა მინისტრი) და სხვა.

მეორე ჯგუფს მოხელეებისაკ „საქვეყნოთ გამრიგენი“ შეადგენდენ. ამ ჯგუფში შედიოდენ ოლქების გამგენი: ერისთავთ-ერისთავები, ერისთავნი***), ამირები და სხვა. მოხელეებად პირველ ხანებში წარჩინებული წოდების წარმომადგენლებს ნიშნავდენ, მაგრამ შემდეგ, ვაჭართა კლასის აღორძინებისა და მისი საზოგადოებრივი გავლენის ზრდის გამო, მოხელეების არჩევაში წოდებრივი პრინციპი დაირღვა და უმეტეს შემთხვევაში დაბალი წოდებიდან გამოსულს, მაგრამ გამდიდრებულს და მთავრობის ერთგულ პირს ნიშნავდენ, მაგ.:

*) დარბაზი იყო მეფის სასახლესთან არსებული უმაღლესი სახელმწიფო საბჭო.

**) ვაზირობა მინისტრების საზოგადო სახელი იყო.

***) ერისთავი საქართველოს გაერთიანებამდე მსხვილ ფეოდალს, მთავარს ეწოდებოდა, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ მოხელის, ოლქის გამგის სახელად იქცა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ 1103 წელს სასულიერო პირების დანიშვნის დროს წოდებრივი პრინციპით ხელმძღვანელობა უარჰყო და დაადგინა, ეპისკოპოსებად და საერთოდ მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე დაბალი წოდებიდანაც დაენიშნათ ნიჭიერი და პატიოსანი პირები. ასეთივე პრინციპი ტარდებოდა საერო მოხელეების დანიშვნის დროსაც. დავით აღმაშენებელი თავგასულ დიდებულ მოხელეს თანამდებობას ართმევდა და მის მაგიერ პირადი ღირსებით და ერთგული სამსახურით განთქმულ „უგვაროს“ აწინაურებდა.

სამხედრო რეფორმა და ფინანსიური ორგანიზაცია.

მე-X—XI-ე საუკუნეებში საქართველოს ჯარი მემამულეების—მსხვილი ფეოდალების—რაზმებისაგან შესდგებოდა. საჭიროების დროს თვითეული მფლობელი თავისი ჯარით უნდა ჰხლებოდა მეფეს და ამგვარად ქვეყნის ყველა კუთხეებიდან უნდა მოეყარა თავი იმ ძალას, რომელიც იყო საჭირო გარეშე მტრისგან ქვეყნის დასაცავად. მაგრამ, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, დამოკიდებულება მეფეებსა და მემამულეებს შორის უმეტეს შემთხვევაში არამეგობრული იყო. ხშირად მეფეს შეძლება არ ჰქონდა, ქვეყნის საზღვრებში შემოჭრილი მტრისათვის ან განდგომილი ფეოდალისთვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწია, რადგანაც ორგული მემამულეები არათუ ჯარს არ მიაშველებდენ მეფეს, არამედ მტერს ამოუდგებოდენ გვერდში და მეფის წინააღმდეგ დაიწყებდენ ბრძოლას. მაგრამ შეიცვალა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, შეიცვალა პოლიტიკური წესწყობილებაც და ამის გამო აუცილებელი გახდა სამხედრო რეფორმის გატარება.

დავით აღმაშენებელმა გაიჩინა მუდმივი შეიარაღებული ძალა—დაქირავებული ჯარი, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოყვანილ 40,000 ყივჩაყისაგან შესდგებოდა და ყოველ წუთს მეფის განკარგულებაში იყო. მეომართა ამ რიცხვს ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამოყვანილი რაზ-

მები, რომელშიაც ყოველი წოდების პირები შედიოდენ. აქ თვითეული წოდება ცალკე ირაზმებოდა და ამგვარად სდგებოდა ლაშქარი, ანუ სპა.

ჯარი ორნაირი იყო: ცხენოსანი და ქვეითი. საომარ იარაღებად ხმაროობდენ ფარს, მახვილს, ხმალს, შვილდ-ისარს, ოროლს და სხვა. სამხედრო ჩაცმულობას შეადგენდა ჯავშანი და მუზარადი.



სურ. № 10. ფ ა რ ი.

მე-XII-ე საუკუნეში საქართველოს ჯარი საუცხოოდ გაწვრთნილი იყო სამხედრო საქმეში. ამ მხრით ის ძალიან წააგავდა ძველი საბერძნეთის სამხედრო ორგანიზაციას. ეს ჯარი სავაჭრო კაპიტალის ინტერესების დამცველი და მისი მიზნების განმახორციელებელი სამხედრო ძალაა. ის იცავს მას მემამულეებისა და ფეოდალების თავდასხმისაგან. ამ ჯარის საშუალებით სავაჭრო კაპიტალი თავდაცვითი პოლიტიკიდან დაპყრო-

ბითს პოლიტიკაზე გადადის, ახალ სავაჭრო გზებს იპყრობს და დამარცხებულ ქვეყნებს ცარცვავს.

ასე იყო საქართველოში მე-XII-ე საუკუნეში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მე-XIV—მე-XV-ე საუკ. და რუსეთში კი მე-XVII—XVIII-ე საუკ.

მხედრობისა და მოხელეების შესანახად სახელმწიფოს აუარებელი ხარჯების გაწევა სჭირდებოდა.

რა წყაროები და სახსარი მოეპოებოდა სახელმწიფოს ამ ხარჯების დასაფარავად?

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი შესდგებოდა: 1) სახელმწიფო გადასახადისაგან, 2) სამხედრო ალაფისაგან და 3) დაპყრობილ ქვეყნებზე დადებულ ხარაჯისაგან.

სახელმწიფო გადასახადი ორნაირი იყო: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირ გადასახადს იხდიდა მთელი მოსახლეობა, მაგრამ მათი მთელი სიმძიმე მაინც გლეხს აწვებოდა: მართალია, გადასახადს ყველა წოდება იხდიდა, მაგრამ თვითეული მათგანი გლეხის ნაშრომით იხდიდა მას. გადასახადებს მთავრობის მოხელეები აგროვებდენ. არაპირდაპირ გადასახადს შეადგენდა ბაჟი, რომელიც დაწესებული იყო არა მარტო უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე, არამედ შინაურზედაც: არსებობდა ხიდის და სასწორის გადასახადი. ამ გადასახადებსაც მთავრობის მიერ დაყენებული მოხელეები აგროვებდენ.

სამხედრო ალაფი ომის დროს დამარცხებულ მტრისგან წართმეულ ნადავლს ერქვა. ალაფის სახით საქართველოში დიდი სიმდიდრე შემოდიოდა: განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მე-XII-ე საუკუნეში რეგულიარული ჯარი გაიჩინეს და აქტიური პოლიტიკის წარმოებას მიჰყვეს ხელი*).

*) როდესაც გიორგი III მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობა დაამარცხა, ქართველებს დარჩათ „სიმრავლე კარავთა და სრაფარდათა; სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა ურიცხვთა, ოქროჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლის სიმდიდრეთა და მონაგებთა“. (ქართლ. ცხოვ. გვ. 389).

ალაფის ერთი მეხუთედი—„საპატრონო“ წილი—პირადად მეფეს ეკუთვნოდა, და ამიტომ მეფე უსაზღვროდ მდიდრდებოდა. ქართველ მეფეებს თავისი საკუთარი საჭურჭლეც (ხაზინა) ჰქონდათ უჟარმის ციხეში და იქ ინახავდენ ძვირფას განძეულობას. ამგვარად, მეფე იქცა მთელს სახელმწიფოში ყველაზე უფრო მდიდარ პირად.



სურ. № 11. ჯავშანი (ჯაჭვის პერანგი).

მესამე წყაროს შეადგენდა ხარაჯის სახით შემოსული სიმდიდრე. ხარაჯა დაპყრობილ ქვეყნებზე დადებულ გადასახადს—ხარკს ერქვა. ხარაჯის სახით საქართველოში მე-XII-ე საუკუნეში ყოველწლიურად შემოდიოდა 75.228.000 დირჰემზე*) გაცილებით მეტი მარტო ფულად. ასე საშინლად მდიდრდებოდენ

*) ეს თანხა თანამედროვე ფულზე დაახლოებით 30,000000 მანეთს უდრის.

ქართველი პლუტოკრატია*) და სამხედრო დასი დამარცხებულ მეზობლების ხარჯზე.

მიუხედავად ასეთი უთვალავი სიმდიდრის დაგროვებისა, საქართველოში მაინც წვრილი გლეხურ-ხელოსნური წარმოება იყო გაბატონებული და არავინ არ ფიქრობდა სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებაზე, სიმდიდრის მსხვილ წარმოებაში დაბანდებასა და ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაზე.

უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულება და შეტევითი პოლიტიკის წარმოება.

სავაჭრო კაპიტალი პოლიტიკაში თავის გეგმებს თანდათანობით ანხორციელებდა. მან ჯერ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუწყო ხელი და მით შინაური მტრის, წარჩინებული წოდების, თარეშისაგან უზრუნველჰყო თავისი ინტერესები; თავის მიზნების განხორციელებას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მეორე მხრით მე-XII-ე საუკუნის დამდეგიდან გარეშე მტრების შემოსევისა და მათ მიერ ქვეყნის აოხრების საფრთხე გაჰქრა.

პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ყურადღება უნდა მიექცია იმ მხარეებისათვის, საიდანაც გეოგრაფიული პირობები არ უშლიდა ხელს გარეშე ძალების საქართველოში შემოსევას. ასეთი იყო ბუნებრივად შედარებით ნაკლებ დაცული საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები. ამიტომ დავით აღმაშენებელმა პირველად თავისი ხმალი აღმოსავლეთისაკენ მოიქნია. ის შეიჭრა განჯის სამფლობელოში, გაილაშქრა შირვანში და დარუბანდამდე მიახწია; ყველა ამ ქვეყნების მფლობელებს ერთგულება დააკისრა; იქ მდებარე ციხეები (ღასანი, ხოზაონდი, შემახია და ბივრიტი) ხელში ჩაიგდო, გამგეებად თავისი კაცები დანიშნა და შიგ საქართველოს ჯარი ჩააყენა. როცა ხელში ჩაიგდო აღმოსავლეთის ციხეები, დავით აღმაშე-

*) **პლუტოს**—ძველ საბერძნეთში სიმდიდრის ღმერთს ერქვა· პლუტოკრატია—ფულის არისტოკრატია.

ნებელი შეიჭრა სომხეთში, აიღო იქაური მთავარი ციხეები (გაგი, ქავაზინი, ტერონაკალი), ჩაიგდო ხელში აგრეთვე ქალაქი ანისი.

ამ გალაშქრების დროს საქართველოს მხედრობამ დიდძალი ნადავლი დაინარჩუნა და ამან კიდევ უფრო წაახალისა იგი,



სურ. № 12. მუზარადი.

კიდევ უფრო მეტად აღუძრა ლაშქრობისა და დაპყრობის სურვილი. დავითმა ქალაქ ანისში მცველებად ჩააყენა თავისი ჯარის ნაწილები. ასე მოიქცა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებზედაც.

ამგვარად, სამხედრო მოქმედების ასპარეზი თანდათანობით

გასცილდა საქართველოს საზღვრებს და მეზობელი ქვეყნების მიწაწყალზე იქნა გადატანილი. ეს იყო შეტევითი პოლიტიკის დასაწყისი. ამან გამოიწვია მუსულმანთა სახელმწიფოების მხრით საპასუხო ლაშქრობანი საქართველოს წინააღმდეგ. მდგომარეობა თანდათანობით გართულდა, მაგრამ საქართველოს მეფე აქტიურ პოლიტიკის ინიციატივას ხელიდან არ უშვებდა. საქართველოს კაპიტალს მიზანში ჰქონდა ამოღებული განსაკუთრებით მდიდარი და დიდი სავაჭრო ცენტრები: ანისი, დვინი და სხვა. მოწინააღმდეგეებმა მრავალჯერ დაიბრუნეს დაკარგული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, მაგრამ საქართველოს მხედრობა ისევ აცლიდა ხელიდან მათ და ცარცვავდა.

ამრიგად ქართველებს აუარებელი სიმდიდრე მოჰქონდათ. დემეტრე მეფეს მე-XII-ე საუკუნეში განჯიდან ქალაქის უზარმაზარი რკინის კარებიც კი წამოუღია საქართველოში და გელათის მონასტერში მოუტანია. ეს კარი დღესაც ინახება გელათში და მას თავისი სიდიადით გაკვირვებაში მოჰყავს მნახველი.

საქართველო ისე ჩაითრია ომებმა, დიდებისა და სიმდიდრის მაძიებელი წრეები ისე დაათრო გამარჯვებებმა, რომ მთელი ქვეყანა ამ დროს სამხედრო ბანაკს მოაგონებდა ადამიანს. საქართველოს მხედრობა მიეჩვია უცხო ქვეყნების ცარცვას და დამზადებული დოვლათისა და სიმდიდრის დაპატრონებას. ის ვერ ისვენებდა, მშვიდობიანობასა და მყუდრო ცხოვრებას ვერ ეგუებოდა, სულ ომებზე ფიქრობდა. როდესაც დემეტრე მეფის შვილის გიორგი მე-III დროს ჩამოვარდა მშვიდობიანობა და დროებით შესწყდა ომები, მხედრობამ მეფეს შემდეგი განცხადებით მიმართა: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“*). მთავრობა იძულებული იყო დაეკმაყოფილებია სამხედრო დასის მოთხოვნა და ნება მისცა მოეოხრებიათ ბანა, კარი (ყარსი), აშორნია, მტკვარსა და განჯას შორის მდებარე ქვეყნები, ხლათი და მრავალი სხვა. ამ-

*) მარიამ დედოფ. ქართლ. ცხოვ. 382—3.

გვარად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხედრო დასის—სპის—ხელში გადავიდა, მაგრამ შეიძლება ვისმეს ეგონოს, რომ ჯარის მთელი შემადგენლობა, უბრალო ჯარისკაცებიც კი, მომხრე იყო ამ განუწყვეტელი ბრძოლისა; რასაკვირველია, არა; ამ საქმეს მეთაურობდა სამხედრო და ფეოდალის არისტოკრატია; ჯარის დაბალი წრეები (ჯარისკაცები უაზროდ იხოცებოდენ და მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა ომებს...

აჯანყებები და რევოლიუციები მე-XII-ე საუკუნის მეორე ნახევარში.

ზევით დავინახეთ, თუ როგორ სუსტებოდა წარჩინებული წოდების გავლენა და როგორ ჰკარგავდა ის გადამწყვეტ მნიშვნელობას სახელმწიფო საქმეებში. ამავე დროს სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობა და გავლენა თანდათანობით უფრო და უფრო იზრდებოდა; დაბალი წრიდან გამოსული, მაგრამ გამდიდრებული ფეოდალის არისტოკრატია სახელმწიფო საქმეებში თითქმის გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამ ნიადაგზე დაიბადა მდიდრებსა და წარჩინებულ წოდებას შორის შეღლი და მტრული განწყობილება.

წარჩინებულ წოდებას მიზნად ჰქონდა დასახული მდიდართა კლასის და მისი დამცველი ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და მით თავისი ძველი მდგომარეობის აღდგენა, მთავრობა კი თავის მხრით ყოველ ღონეს ხმარობდა ასეთი ცდების წინააღმდეგ. მას ჰყავდა საიდუმლო აგენტები, ჯაშუშები, რომელნიც ყოველგვარ შეთქმულებას, არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულს, თავის დროზე იგებდენ და მთავრობას ატყობინებდენ. ამგვარად მეფე წინდაწინვე იღებდა ზომებს და ყოველგვარ საფრთხეს არსებულ წესწყობილებას თავიდან აშორებდა. მაგრამ სასახლეში მოხდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე ერთი ამბავი, რომელიც წარჩინებულმა წოდებამ თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენა.

დემეტრე I-ის შვილმა მეფე დავითმა (1154—1155 წ.) სიკვდილის წინ ტახტი თავის მცირეწლოვან შვილს დიმიტრის (დემნას) უანდერძა. მაგრამ რადგანაც დიმიტრის არ შეეძლო სახელმწიფო საქმეებს გაძღოლოდა, ტახტი ბიძამისმა გიორგი მე-III-ე (1155—1184 წ.) დაიჭირა. გავიდა დრო და დიმიტრიც წამოიზარდა, მაგრამ გიორგი მე-III-ე მას მეფობას არ უთმობდა. დიდებულები გვერდში ამოუდგენ დიმიტრის (დემნას) და მოინდომეს მისი ტახტზე აყვანა. დიმიტრიმ მათ აღუთქვა, რომ თუ დიდებულები მას დაეხმარებოდენ და მეფობას მოაპოვებინებდენ, წარჩინებულ წოდებას ძველს უფლებებს და პატივს დაუბრუნებდა. ამ ნიადაგზე მოეწყო შეთქმულება. შეთქმულებს ფართე გეგმა ჰქონდათ შედგენილი. შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას ყველაზე უფრო გავლენიანი გვარი ორბელიანებისა, აგრეთვე ჰერეთის, კახეთის, სამცხის და სომხეთის დიდებულები. მათ უნდა დაეჭირათ გიორგი მე-III-ე და მეფედ დემნა გამოეცხადებიათ. ორგანიზაციები არსებობდა ყველა ჩამოთვლილ კუთხეებში და ძალას აგროვებდენ გადამწყვეტ მომენტისათვის.

მაგრამ გიორგი მე-III-ე თავის ჯაშუშების საშუალებით ეს ამბავი წინდაწინვე შეიტყო. მან მოაგროვა თავისი მხედრობა და დაიჭირა სომხეთის ციხე-სიმაგრეები; გაგზავნა ერთი ნაწილი თავისი ძალებისა კახეთის მეამბოხეთა წინააღმდეგ, დანარჩენი ძალებით კი მიადგა ლორეს ციხეს, სადაც მეამბოხეთა უმთავრესი ძალა იყო თავმოყრილი.

აჯანყებულები ყველგან დამარცხდენ. მეფემ ისინი სასტიკად დასაჯა: დიმიტრის თვალები დასთხარეს, ორბელიანები და მრავალი დიდებული გასწყვიტეს, მემამულეების დიდ ნაწილს მამულები ჩამოართვეს და მთავრობის ერთგულ პირებს დაურიგეს. დიდი საჩუქრები და მამულები მიიღო ნაყივჩაყარმა ყუბასარმა, რომელმაც დიდი ერთგულება გამოიჩინა აჯანყების ჩაქრობის საქმეში. მეფემ მას ამირსპასალარობაც უბოძა. დიდებულებმა, რომლებსაც მამულები და ქონება ჩამოართვეს,

უსახსრობის გამო აშკარა ყაჩაღობას და მცარცველობას მიჰყვეს ხელი. ქვეყანა მეტად შეწუხდა.

გიორგი მე-III მოიწვია საგანგებო საკანონმდებლო კრება. ამ კრებამ ქურდობისა და ავაზაკობისთვის საშინლად მკაცრი და ულმობელი სასჯელი—ჩამოხრჩობა—დააწესა. ამის შემდეგ გიორგი მე-III დაგზავნა ყაჩაღების დასახოცად საგანგებო რაზმები. რაზმებმა გაანადგურეს ყაჩაღები. ამის შემდეგ წარჩინებულმა წოდებამ კიდევ უფრო დაჰკარგა მთავრობის თვალში ნდობა და მნიშვნელობა. ბევრი დიდებული თანამდებობას ჩამოაშორეს და მათი ადგილები არსებული ხელისუფლებისა და წესწყობილების დამცველი ფულის არისტოკრატიის წარმომადგენლებს დაურიგეს. ასე დამთავრდა ეს შთამომავლობითი არისტოკრატიის მიერ ფართოდ მოწყობილი აჯანყება.

მაგრამ წარჩინებულ წოდებას საბოლოოდ მაინც არ დაუყრია იარაღი და თავისი წოდებრივი ინტერესები არ დაუვიწყნია: ის უცდიდა უფრო მოხერხებულ დროს. მე-XII-ე საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც თამარი*) ტახტზე ახალი ასული იყო, შთამომავლობითმა არისტოკრატიამ გაფიცვა მოახდინა და მთავრობას მოთხოვნა წარუდგინა: „აღარ ვეგებით ძველთა ხელის უფალთა გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი“—ამბობდენ ისინი. აქედან აშკარაა, რომ წარჩინებული წოდების წარმომადგენლები დაბალი წოდებიდან გამოსული და გამდიდრებული დიდი მოხელეების ბრძანების ასრულებაზე უარს ამბობდენ და უგვარო დიდი მოხელეების გადაყენებას და წარჩინებული წოდების წარმომადგენლების დანიშვნას მოითხოვდენ. მეფე იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და გაფიცულთა მოთხოვნა ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებია.

რასაკვირველია, უბრალო გაფიცვა სრულიად არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მთავრობა ასეთ დიდი მნიშვნელობის მქონე დათმობაზე წასულიყო. სამწუხაროდ, არავითარი

*) თამარი მეფობდა 1184—1212 წ.

ცნობები, გარდა ზემოთ მოხსენებულისა, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის და ამიტომ არ ვიცით, თუ რა რეალურ ძა-



სურ. № 13. მე-X—XI-ე საუკ. ხელოვნების ნაშთი (ნიკორწმინდის ეკლესიის ჩუქურთმიანი სვეტი).

ლას ემყარებოდა წარჩინებული წოდება და რა ისტორიული მნიშვნელობის მქონე პიროობებმა გაუმართლა მას მისი ცდა.

გადააყენეს მთავრობის ერთგული და სახელმწიფოში არსებული წესწყობილების მედგარი დამცველი ამირსპასალარი ყუბასარი, გაადაყენეს აგრეთვე აზნაურის ნაყმევი მსახურთ-უხუცესი აფრიდონ.

ამგვარად დარღვეულ იქნა სახელმწიფოში თითქმის საუკუნის განმავლობაში არსებული და განმტკიცებული წესი და პრინციპიულად შეილახა მდიდართა და ვაჭართა კლასის ინტერესები.

უფლებების დარღვევამ და შელახვამ მოწინააღმდეგე დასის მხრით საპასუხო მოძრაობა—რევოლიუცია—გამოიწვია; სასახლის მერყეობამ უკმაყოფილება დაბადა საზოგადოების ფართო წრეებში. ამ მოძრაობას მეთაურობდა ქართველი პლუტოკრატიის წარმომადგენელი მეჭურჭლეთ-უხუცესი (ფინანსთა მინისტრი) ყუთლუ-არსლანი. მოძრაობა მიზნად ისახავდა სახელმწიფო წესწყობილების რადიკალურად შეცვლას, მეფის უფლებების შეზღუდვას. რევოლიუციონერებმა მეფეს წარუდგინეს მოთხოვნა, სადაც გადაჭრით მოითხოვდენ მეფის სასახლის გვერდით ისანში (ავლაბარში) „კარავის“ დაარსებას.

კარავი პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. კარავში მსხდომთ კანონები უნდა შეემუშავებიათ, დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი გამოეტანათ და ყველაფერი ეს მეფისთვის ეცნობებიათ „სრულქმნისთვის“, სისრულეში მოსაყვანად.

ამგვარად, მეფეს ერთმეოდა ყველა უფლებები; მას რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია: სისრულეში უნდა მოეყვანა „კარავის“ (პარლამენტის) დადგენილება. მეფეს უფლება არ უნდა ჰქონოდა, კარავის სხდომას დასწრებოდა, და როდესაც კარავის დადგენილებას აცნობებდენ, მოსწონდა თუ არა, სისრულეში უნდა მოეყვანა. ამგვარად, საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ორგანოს უნდა გამოთიშოდა და დამოუკიდებლად ეწარმოებია სახელმწიფოს საქმეები.

ამ საქმის სულის ჩამდგმელი ფეულის არისტოკრატია იყო. ასეთი რეფორმების შემოღება მეფის ძალა-უფლების გაუქმებას უდრიდა და ამიტომ თამარმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოძრაობის მეთაური ყუთლუ-არსლანი დააჭერინა. მაგრამ მთავრობამ ამით მიზანს ვერ მიახწია; ყუთლუ-არსლანის დაჭერამ რევოლიუციონერები კიდევ უფრო შეაკავშირა, ბრძოლის გუნებაზე დააყენა. მოძრაობის მონაწილეებმა შეჰფიცეს ერთმანეთს: „ყუთლუ-არსლანი გააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისა“.

მოძრაობას მიემხრო ჯარის დიდი ნაწილი და მთელი უკმაყოფილო ხალხი, რომელიც სასახლისა და წარჩინებული წოდების წინააღმდეგ იყო განწყობილი. ამგვარად შესდგა დიდი ძალა, რომელმაც ალყა შემოარტყა სასახლეს და მოითხოვდა ყუთლუ-არსლანის გათავისუფლებას და წარდგენილ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. თუკი მთავრობა არ დააკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას, რევოლიუციონერები იმუქრებოდენ: სასახლეს დავიჭერთ და თამარ მეფეს დავატყვევებთო*).

ასეთ გადამწყვეტ მომენტში მთავრობა იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ძალას ძალა ვერ დაუპირდაპირა. რადგანაც მდგომარეობა რთული და მეტად სერიოზული იყო, სასახლემ მიმართა ხერხს—დიპლომატიას. მან მიუგზავნა რევოლიუციონერებს ორი მანდილოსანი მოსალაპარაკებლად და დაჰპირდა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. აჯანყებულები დამშვიდდენ.

მეფემ ყუთლუ-არსლანი მკაცრად არ დასაჯა, მაგრამ არც გაათავისუფლა; არც ძირითადი მოთხოვნანი არ იქნა დაკმაყოფილებული. ამგვარად, რევოლიუციონერები მოტყუებული დარჩენ, მოძრაობა ჩაქრობილ იქნა.

მაგრამ მოძრაობას სრულიად უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია: ამის შემდეგ მოხელეებს პირდაპირ მეფე კი არ ნიშნავდა, არამედ დიდებულები ირჩევდენ თანამდებობის პირებს,

*) „ხელყვეს საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლელსა“.

ხოლო მეფე კი ამტკიცებდა მათ; ყუთლუ-არსლანის დასი კი მოითხოვდა სახელმწიფო საქმეების „განგება“ და მოხელეების რჩევა ხალხის წარმომადგენლების ხელში ყოფილიყო და მე-



სურ. № 14. ბაგრატ მე-III ტაძრის ნანგრევი ქუთაისში.

ფეს არც დამტკიცებისა და არც ვეტოს*) უფლება არ ჰქონოდა. ასეთი უფერული შედეგები მოჰყვა ამ დიდ მოძრაობას.

*) ვეტო—ლათინურია; ნიშნავს „ვკრძალავ“.

დაპყრობითი ომების გაგრძელება მე-XII-ე საუკუნის დამლევს და მე-XIII-ე საუკუნის დამდეგს.

მე-XII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში დაწყებული შეტევითი პოლიტიკა მთელი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. მაგრამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ომებმა თამარ მეფის დროს (მე-XII-ე საუკ. დამლევს და მე-XIII-ე საუკ. დამდეგს). როგორც ზევით მოვიხსენიეთ, გამუდმებულ ბრძოლაში გაიწრთვნა ქართველი მხედრობა. მხედართა დასი ომებს შეეზარდა, ის უბრძოლველად ვერ ჩერდებოდა; მაგრამ უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში მაინც ეკონომიურ ინტერესებს ჰქონდა.

ომები ამ დროს გამდიდრების ყველაზე უფრო ადვილი საშუალება იყო. ეს აკავშირებდა ომიანობის გარშემო სიმდიდრემოწყურებულ ყველა ჯგუფებს: მეფეს, ვაჭართა კლასს და მსედართა დასს. ასეთი პოლიტიკა ართულებდა საქართველოსა და მის მეზობლებს შორის დამოკიდებულებას, იმართებოდა დიდი ომები, სადაც ასიათასობით იღებდენ მონაწილეობას მეომრები.

ასეთი დიდი ომი გადაიხადა საქართველომ შანქორში (განჯის მახლობლად) 1195 წ. მუსლიმანურ სახელმწიფოებთან. ომიდან ქართველი მხედრობა გამოვიდა გამარჯვებული და ბრძოლის ველიდან 12000 კაცი ტყვედ წამოიყვანა. ხელში ჩაიგდო აგრეთვე მრავალი ცხენი, ჯორი, აქლემი, აუარებელი ოქრო, თვალ-მარგალიტი, ჭურჭელი და ფარჩეულობა. ამ ნადავლიდან ერთი მეხუთედი მეფისთვის გადაიდო, დანარჩენი კი ჯარმა დაისაკუთრა. ასეთივე დიდი ომი გადაიხადა საქართველომ 1206 წ. იკონიის სულთან რუქნადინთან. ამ ომშიც იღებდენ მონაწილეობას ასეული ათასი მეომრები. გამარჯვება ისევ ქართველებს დარჩათ. ბრძოლის ველიდან წამოიღეს აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, პირუტყვი და სხვ.

საქართველოს ასეთი გაძლიერებით ბიზანტია კმაყოფილი არ იყო, რადგანაც ძლიერი საქართველო საშიში იყო ბერძენთა სამფლობელოებისათვის მცირე აზიაში. ბიზანტია ცდილობდა, მისი გაძლიერებისათვის ხელი შეეშალა. მაგალითად, ბიზანტიამ თამარ მეფის ყოფილ ქმარს გიორგი რუსს საქართველოში გამოსალაშქრებლად ჯარი მისცა, ხოლო გიორგი ამ ჯარით საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა და ქვეყანას დიდი უბედურება დაატეხა თავს. სამაგიეროდ თამარ მეფის ჯარი შეესია ბიზანტიის სამფლობელოებს მცირე აზიაში, აიღო ჭანეთი, ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი და სხვა. ეს ადგილები თამარმა დამოუკიდებელ ტრაპიზონის იმპერიად გამოაცხადა და იმპერატორად თავისი ნათესავი ალექსი კომნენი დასვა.

ამგვარად მცირე აზიაში ბიზანტიასა და საქართველოს შუა გაჩნდა ახალი სახელმწიფო, რომელიც საქართველოს ორიენტაციას ცნობდა. ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო: ამით დასავლეთის საზღვრები საქართველომ უზრუნველჰყო.

მაგრამ ქართული იმპერიალიზმი ამით არ დაკმაყოფილდა: ახლა საქართველომ სპარსეთი ამოიღო მიზანში. ქართველებმა აიღეს თავრიზი, გაცარცვეს და მოარბიეს ხორასნის მრავალი ქალაქი და წამოიღეს აუარებელი სიმდიდრე. ერთი სიტყვით, მე-XIII-ე საუკუნის დამდეგს საქართველოს საზღვრებში შედიოდა თითქმის მთელი ამიერკავკასია და ნაწილობრივ მცირე აზიაც. დაპყრობილი ქვეყნებიდან საქართველოს წლიურად მარტო ხარაჯის სახით მეტად დიდი თანხა შემოუდიოდა.

ასე იმარჯვებდა საქართველოს მხედრობა. ეს ომები და გამარჯვებები ხელს უწყობდა მხოლოდ ზოგიერთი წრეების ინტერესებს და კეთილდღეობას. ქართველი გლეხი და ხელოსანი კი, პირიქით, ამ ომების წყალობით ნადგურდებოდა; მი-

სი სამუშაო ძალები (ახალგაზრდობა) ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, მისი მეურნეობა იშლებოდა.

ამ დროს საზოგადოებაში ჩნდებოდა ომებში გამდიდრებული და გალაღებული წრეები. გაღატაკებული წვრილი მესაკუთრეები და გლეხობა იძულებული ხდებოდა, თავის მეურნეობის აღსადგენად და სამუშაო იარაღის გასაუმჯობესებლად ვალი აეღო მდიდარი მეზობლებისაგან.



სურ. № 15. ხელოვნება მე-XI-ე საუკ. დასაწყისში (ბაგრატის ტაძრას ჩუქურთმა).

ამგვარად, საზოგადოებაში ჩნდებოდა ერთის მხრით გამდიდრებული წრეები, მეორის მხრით კი—გაღარიბებული მცხოვრებლები, რომელნიც (ღარიბნი) სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდენ მდიდრებისაგან. საზოგადო ჯგუფებს შორის წინააღმდეგობანი (ანტაგონიზმი) უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ერთი წრის გამარჯვება და კეთილდღეობა მეორე წრის კეთილდღეობას ეწინააღმდეგებოდა.

მწერლობა და ხელოვნება მე-XI-ე და მე-XII-ე საუკუნეებში.

რამდენადაც იზრდება ქვეყნის საწარმოო ძალები, ნაყოფიერდება შრომა და მდიდრდება ქვეყანა, იმდენად საზოგადოებაში იცვლება ძველი იდეოლოგიური შეხედულებანი და ფეხს იკიდებს და ვითარდება ახალი. ასე ხდებოდა ყველა ხალხების ცხოვრებაში, ასე იყო ეს საქართველოშიაც.

მე-XI—XII-ე საუკუნეებში საქართველოში მყარდება ახალი ეკონომიური და სოციალური პირობები. ფეოდალის მეურნეობის განვითარებას და ვაჭრობის ზრდას უძრაობიდან გამოჰყავს სოფელი და მუდმივ კავშირს ამყარებს ქალაქსა და სოფელს შორის. სოფლელი მოგზაურობის დროს ეცნობა ახალ ადგილებს, ქალაქში ხვდება უცხოელ ვაჭრებს და უცხოეთის მრეწველობის ნაწარმოებ საქონელს; ყველაფერი ეს ამდიდრებს მის სულიერ სალაროს, სცვლის მის მსოფლმხედველობას. ასეთივე გარდატეხა ხდება ქალაქის მცხოვრებთა მსოფლმხედველობაშიაც.

ქართულ მწერლობაში მე-V-ე საუკუნიდან მე-XI-ე საუკუნემდე გაბატონებული იყო სარწმუნოებრივი მიმართულება: იწერებოდა და ითარგმნებოდა მხოლოდ საეკლესიო შინაარსის წიგნები. მაგრამ მეXI—XII-ე საუკუნეებში ფეხს იკიდებს და ვითარდება საერო მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება. ამ ხანაში მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან: ისტორიაში—ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის ისტორიკოსები; ფილოსოფიაში—იოანე პეტრიწი, პოეზიაში—იოანე შავთელი, გრ. ჩახრუხაძე და შოთა რუსთველი.

იოანე პეტრიწი იყო ნეოპლატონური ფილოსოფიის მოძღვრების მიმდევარი; მას ბიზანტიის ფილოსოფიურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია და ამისთვის ამ მოძრაობის მოწინააღმდეგეთ (ეკლესიის წარმომადგენლებს) ის ბიზანტიიდან გაუძევებიათ.

ქართველი სამღვდელოებაც საქართველოში ასეთი მო-

სურ. № 16. ხუროთ მოძღვრების ნიმუში (პატარა ონის ეკლესიის ჩუქურთმა).

ძრაობის წინააღმდეგი იყო, რადგანაც ძველი საბერძნეთის მწერლობა თავისი შინაარსით ეწინააღმდეგებოდა საშუალო საუკუნეების საეკლესიო სქოლასტიკურ მწერლობას და აზროვნებას.

საფუძვლად ამ იდეურ მოძრაობას დაედვა ჩვენში მე-XI—XII-ე საუკუნეში ახალი ეკონომიური და სოციალური პირობების დამყარება. სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით საზოგადოებას არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო იმ იდეებით და კულტურით, რომლითაც ეკლესია და სამღვდელოება ჰკვებავდა მას წინა საუკუნეებში.

ერთნაირი ეკონომიური და სოციალური პირობები იწვევენ ყოველგან დაახლოვებით ერთნაირი სულიერი კულტურის განვითარებას. საქართველო ამ ხანაში უახლოვდებოდა განვითარების იმ საფეხურს, რომელზედაც იდგა თავისი ძლიერების ხანაში ძველი საბერძნეთი. ამიტომ საქართველოში ნიადაგი ჰქონდა მომზადებული ძველი საბერძნეთის მსგავსი კულტურის განვითარებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მე-XII-ე საუკუნეში ქართველმა მწერლებმა თავის მუშაობას და მოღვაწეობას საბერძნეთის ფილოსოფია და მეცნიერება დაუდვეს საფუძვლად.

ბერძნულიდან ითარგმნებოდა ფილოსოფიური თხზულებანი. ამავე დროს არა ერთი და ორი ორიგინალური, წმინდა ფილოსოფიური ნაწარმოები დაწერილა ქართულ ენაზე.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხანაში გაცილებით უფრო მეტი გაკეთდა პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში, ვიდრე ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. იოანე შავთელი და გრიგოლ ჩახრუხაძე სასახლის მწერლები არიან; ისინი ამართლებენ არსებულ წესწყობილებას და უმღერიან და ხოტბას ასხამენ დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს. შოთა რუსთველმა დასწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“.

მაშინდელი სამღვდელოება ასწავლიდა საზოგადოებას, რომ სული ღვთაებრიობის ნაწილია, სული, სხეულში მოთავ-

სების გამო, სხეულის ცოდვების მოზიარეა; სხეული სულის საპყრობილეა. ამიტომ, მაშინდელი სქოლასტიკური ფილოსოფიის სწავლებით, სული იმდენად განიწმინდება და გასპეტაკდება, რამდენადაც სხეული სიამოვნებას მოაკლდება და დაიტანჯება. ამიტომაც ეკლესია ურჩევდა ადამიანს, საამქვეყნო სიამოვნებაზე ხელი აეღო, დაეთრგუნა ხორციელი მოთხოვნილებანი, განშორებოდა ცხოვრების სინამდვილეს და მით თავისი სული ეხსნა.



სურ. № 17. ვეფხისტყაოსანი (მე-XVI-ე საუკუნის დამლევის ხელნაწერი).

შოთა რუსთველმა კი თავისი ნაწარმოებისთვის სიუჟეტი, მასალა აიღო ხალხური პოეზიიდან, „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლად დაუდვა ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი შინაარსი. პოეტმა მას ხორცი შეასხა, მშვენიერი ენით უკვდავი, საკაცობრიო იდეები ჩააქსოვა ამ

ნაწარმოებში და შთამომავლობას გადასცა. მუსიკალურად აწყობილ ჰანგებით მთელი შვიდასი წლის განმავლობაში სტკბება ხალხი და მუდამ სიამოვნებით კითხულობს ქართული ხელოვნების ამ საუკეთესო ნაწარმოებს.

პოეტმა ადამიანი და ცხოვრება ერთმანეთს კი არ დაუშორა, როგორც ამას ეკლესია ქადაგებდა, არამედ ადამიანი ცხოვრებაში ჩააქსოვა: ეკლესიის შეხედულებას დაუპირდაპირა ადამიანის საკაო ბედნიერება. უსპეტაკესი სიყვარული, მიჯნურობა და ადამიანის ხორციელი, საამქვეყნო ცხოვრება ერთმანეთთან შეაზავა, ერთად გადაადნო და ერთ კალაპოტში ჩამოასხა. მამაკაცსა და დედაკაცს შორის სიყვარული შოთას მაღალ სათნოებად აქვს აღიარებული. ცოლ-ქმრული კავშირი სრულიად დამოუკიდებელი, განუსაზღვრელი და თავისუფალი სიყვარულის შედეგი უნდა იყოს. ეს მიმართულებაც საშინლად ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ საზოგადოებრივ აზრს. გარდა ამისა, შოთამ თავის უკვდავ პოემაში მეგობრობა, უანგარო ძმადნაფიცობა თითქმის კულტად აქცია. ისეთი მეგობრობა, როგორიც არის ტარიელსა და ავთანდილს შორის, მთელს მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათი მოვლენაა.

რუსთველი სოციალურ საკითხსაც ეხება; დედაკაცსა და მამაკაცს სწორუფლებიანად აღიარებს. პოეტი „ვეფხისტყაოსანში“ მრავალ საკითხს ფილოსოფიურად უდგება და ხსნის. ამ ნაწარმოებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველებურად მოაზროვნე საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; ეკლესიამ თავის მხრით „ვეფხისტყაოსანი“ „ზნეობისა“ და სარწმუნოებისათვის სახიფათოდ და მავნებლად აღიარა და დევნა დაუწყო.

საქართველოში განვითარდა ამ დროს ხუროთმოძღვრებაც. ჯერ მე-IX—X—XI-ე საუკუნეებში შეძლებულმა სასულიერო პირებმა და აგრეთვე საეროშაც (მეფეებმა, ერისთავებმა და გამდიდრებულმა სამხედრო პირებმა), რომელთაც მობეზრებული ჰქონდათ ამქვეყნიური ცხოვრება, დაიწყეს სახელის მოხვეჭისა და სულის ცხონებისათვის ზრუნვა. ამ მიზნით ისინი აშენებ-

დენ მრავალ ეკლესიას და მონასტერს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთაც; ცდილობდენ, მოეკაზმათ და გაემშვენიერებიათ ეს ეკლესიები და მონასტრები და ამისთვის იწვევდენ საუკეთესო მხატვრებს და ხუროთმოძღვრებს. ასეთია, მაგალითად, ბაგრატ მე-III-ის მიერ აშენებული ტაძარი ქუთაისში, რომლის ნაშთები დღემდის შენახულია, იოანე და

სურ. № 18. ქანდაკების ნიმუში (ქვაზე ამოჭრილი ლომი).

ევთიმე მთაწმინდელების მიერ დაარსებული ათონის მონასტერი საბერძნეთში და მრავალი სხვა.

ასეთი მისწრაფება გაბატონებულ წრეებში იმდენად ძლიერი იყო, რომ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ხალხს საშინელი შიმშილობისა და ავადმყოფობის გავრცელების დროს და ეკლესიების შენებაზე და გამშვენიერებაზე კი აუარებელი

სიმდიდრე იხარჯებოდა, რაც თავის დროს გიორგი მთაწმინდელის მიერ დაგმობილ იქნა.

მაგრამ ხუროთმოძღვრება და მხატვრობა საქართველოში განსაკუთრებით მე-XII-ე საუკუნეში განვითარდა. ამ დროს აშენდა გელათის ტაძარი, ვარძიის კლდეში გამოკვეთილი მონასტერი და მრავალი სხვა. აშენდა სასახლეები და მოეწყო წყალსადენები. ამ დროსვე ცხოვრობდენ გამოჩენილი ოქროსმქანდაკებელნი ბექა და ბეშკენ ოპიზარნი—ტბეთისა და გელათის სახარებათა შესანიშნავი ყდების მომკაზმავნი და ანჩის განთქმული კარედი ხატის სამოსელის შემქმნელნი.

საქართველოში სწავლა-განათლების საქმესაც საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამ დროს ხშირად აგზავნიდენ ახალგაზრდობას ბერძნული ენის შესასწავლად და ძველი ბერძნული კულტურის შესათვისებლად ბიზანტიაში (იქ ჰქონდათ მიღებული განათლება რუსთველს, პეტრიწს, ეფრემ მცირეს).

საქართველოს კულტურული კავშირი ჰქონდა აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნებთან. საქართველოში ამ დროს უმაღლესი სასწავლებელიც არსებობდა. ასეთი სასწავლებლები იყო, მაგ., კახეთში (იყალთოსა და გრემში). თუმცა იმ დროს წიგნების ბეჭდვა არ იცოდენ, მაგრამ ხელნაწერი წიგნები ბლომად ვრცელდებოდა. გადამწერები, უმეტეს შემთხვევაში, ბერები იყვნენ და დიდი შემოსავალი ჰქონდათ წიგნების გადაწერაში.

საქართველოს დაქვეითების ხანა.

საქართველოს სიძლიერეს მტკიცე საფუძველი არ ჰქონია.

დავით აღმაშენებელიდან დაწყებული თამარის შვილ ლაშა-გიორგიმდე, ე. ი. მთელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის საქმე სულ წინ მიდიოდა. ქართველ მხედრობას ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ უგემნია გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს დამარცხება; პირიქით, მის მიერ მიტანილი ძლიერი იერიშები საქმეს უჭირვებდა მეზობლებს. ამ დროს საქართველოს სიძლიერეს ორი უმთავრესი საფუძველი ჰქონდა: 1) ამ ხანებში საქართველოს მტრებზე—მუსლიმანურ ქვეყნებზე—იერიში მიიტანა დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალმა „ჯვაროსანთა ომების“ სახით და, გარდა ამისა, თვით მუსლიმანურ ქვეყნებს შინაური არეულობაც შეეპარათ და 2) ქართველებიც საგრძნობლად მოღონიერდენ როგორც ეკონომიურად, ისე აგრეთვე პოლიტიკურადაც. მათ მოაწყვეს ძლიერი ცენტრალისტური მართველობა, ასე რომ გარეშე მტრები—მუსლიმანური ქვეყნები—იმდენად სუსტნი აღმოჩნდენ, რომ არამცთუ ძველებურად ვერ აწიოკებდენ საქართველოს, წინააღმდეგობასაც ვერ უწევდენ მას.

როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ქართული სავაჭრო კაპიტალი სამხედრო დასთან შეთანხმებით დაპყრობითს პოლიტიკას აწარმოებდა და ხელსაყრელი პირობების წყალობით მთელი წინა აზია თავის გავლენას დაუმორჩილა.

ამრიგად, საქართველო გამდიდრდა, გალაღდა და ბრწყინვალე გამარჯვებებმა მას თავს რეტი დაასხა. ქართველ მართ-

ველ წრეებს ლაშქრობასა და თარეშებს გარეშე ვერც კი წარ-
მოედგინათ მშვიდობიანი, მყუდრო და მშენებლობითი ცხოვ-
რება და მოღვაწეობა. „არა არს ღონე დარჩომისა თვი-
ნიერ ლაშქრობისა და რბევისა“—მოახსენებდენ ხოლმე
მეფეს მხედრები. ამრიგად, ამ დროს მთელი ქვეყანა საომარ
ბანაკად იყო ქცეული. ომებს აწარმოებდენ არა თავდა-
ცვისთვის, არამედ დაპყრობის, ცარცვა-გლეჯის მიზნით,
ასეთს მიმართულებას კი ყოველთვის დამღუპველი შედეგები
სდევს თან: აქ მეურნეობა-მრეწველობა ფაქტიურად ან უარ-
ყოფილია, ან კიდევ „სხვათა შორის“ საქმედ არის მიჩნეული.
ქვეყნის საუკეთესო ძალა, ძალა მწარმოებელი—სამხედრო
ასაკის ახალგაზრდობა—საომარ იარაღ ქვეშ დგას. ის, მოწყვე-
ტილი თავის კერას, თავის მეურნეობას, უსაქმობას ეჩვევა და
იოლად გამდიდრების სურვილი იტაცებს. მუშა-ხელის უმეტე-
სობა ან ბრძოლის ველზეა, ან, თუ შინ ბრუნდება, მეურნე-
ობისთვის ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს. ასეთს მდგომა-
რეობას ასეთი შედეგი ჰყვება თან: საკმაოა ერთი ან ორი
დამარცხება ბრძოლის ველზე, რომ ქვეყანა უფსკრულისაკენ
დაქანდეს და დაღუპვის წინ დადგეს. ასე დაემართა ძველ ასუ-
რეთს, ძველ საბერძნეთს და რომს*).

ამრიგად, საქართველო მე-XI—XII-ე საუკუნეების განმავ-
ლობაში თუმცა მეტად შეძლებული და განვითარებული სა-
ხელმწიფო იყო, მაგრამ მის სიძლიერეს უფრო ნადავლ-ნა-
ცარცვი შეადგენდა, ვიდრე შინამეურნეობით და შინამრეწ-
ველობით დაგროვილი დოვლათი. ამიტომაც, როდესაც მას
გამოუჩნდა მასზე უფრო ძლიერი მტერი ჯერ სპარსელების, ანუ
ხორასანელების, და მერე მონღოლების სახით, ის (საქართველო)
დაცემის გზას დაადგა და მრავალი საუკუნის განმავლობაში
მტრის საყვლეფი და სანავარდო შეიქნა.

---

*) იხ. ჩვენი „საქ. ისტ.“, ნ. I.

საზოგადოების სოციალური შემადგენლობა მე-XIII-ე ს.

მე-XIII-ე საუკ. ქართველი საზოგადოება შემდეგი წოდება-კლასებისაგან შესდგებოდა: 1) დიდებულნი, 1) აზნაურნი, 3) სამღვდელოება, 4) სამხედრო დასი, 5) ვაჭართა კლასი, 6) ხელოსნები და 7) გლეხები. ამ წოდება-კლასებს შორის ამ დროს უკვე გარკვეული დამოკიდებულება იყო დამყარებული. ქვეყნის მატერიალურ ღირებულებათა შემქნელი მხოლოდ უკანასკნელი ორი კლასი იყო—გლეხები და ხელოსნები. დანარჩენები კი მხოლოდ ამ ორი კლასის ნაოფლარით ირჩენდენ თავს.

როგორც ვიცით, ამ დროს (მე-XIII-ე ს.) საქართველოში ფული, ოქრო და სხვა ძვირფასეულობა უხვად იყო დაგროვილი, მაგრამ ყველაფერი ეს მეურნეობასა და მრეწველობაში კი არ იყო დაბანდებული, არამედ ან მკვდარ, უძრავ კაპიტალს შეადგენდა მეფეების და დიდებულების ხაზინებში, ან მარტო გაცვლა-გამოცვლის საქმეს ემსახურებოდა და ომებს ხმარდებოდა.

იმდროინდელი ქართველების მიერ წარმოებული საგარეო ომები ისეთი მკაცრი და შეუბრალებელი იყო, რომ მეზობელ ქვეყნებს საშინელი სიძულვილი უნდა დაბადებოდათ ქართველების მიმართ. ისინი, რაც სავსებით ბუნებრივია, სამაგიეროს გადახდის სამზადისში იყვნენ.

ნადავლი და დაპყრობილი ქვეყნებიდან ხარაჯის სახით შემოტანილი სიმდიდრე „ბრწყინვალე" კლასების ხელში იყრიდა თავს და მათს პირად კეთილდღეობას უწყობდა ხელს.

ძლევამოსილი ომების გავლენა მათრველ წრეებზე და ამისი შედეგები.

მართველი წრეების ხელში დაგროვილმა უზომო სიმდიდრემ და უცხოელებზე ხშირმა გამარჯვებებმა გაალაღა და გარყვნა ეს

წრეები. უსაქმობა, ლოთობა და გარყვნილება, არსებული უფლებების ფეხ ქვეშ გათელვა, თავისუფალი მოქმედება დამოკიდებულ წრეებისადმი—აი, რაში იყო ჩაფლული მე-XII-ე და მე-XIII-ე საუკუნის ქართველი საერო და სასულიერო არისტოკრატია.

თამარ მეფის უახლოესი მემკვიდრეები—ძე და ასული მისი—ლაშა-გიორგი და რუსუდანი თავიანთი სასახლეებით ასეთი მდგომარეობის განსახიერებანი იყვნენ. ლაშა-გიორგი, ამ დროს უკვე მეფე (მეფობდა 1214—1223 წ.) გარყვნილობის მიზნით შეიჭრა ერთ ოჯახში. მას ბევრი სცემეს, დააბრმავეს კიდეც ერთის თვალით. მანვე ერთ კახელ აზნაურს ცოლი წაართვა, მაგრამ დაზარალებულს აბა სად და ვისთან შეეძლო სამართლის მოპოვება!..

რუსუდანის ცხოვრება (მეფობდა 1223—1247 წ.) და მისი სასახლე კიდევ უარესს სურათს წარმოადგენდა. ამ მეფეების სასახლეები და დაწესებულებანი ყოვლად უღირსი უმგვანო პირებით იყო გავსილი.

სურ. № 19. რუსუდანის დროინდელი ქართული ფული წარწერით: „რუსუდან“.

სასახლის წაბაძვით ყველგან გავრცელდა და განმტკიცდა ასეთი უზნეობა და დაუდევრობა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა შინაურ აშლილობას; თვითეული ფეოდალი თავგასულობას ეძლეოდა, თავისუფლად მოქმედებდა როგორც მისგან დამოკიდებულ წოდებათა მიმართ, ისე აგრეთვე სახელმწიფოს უმაღლეს მართველობის მიმართაც. გლეხის უუფლებო და უმწეო მდგომარეობა, მისი უზომო ექსპლოატაცია და გაღატაკება ქვეყნის დაკნინების და დაუძლურების თვალსაჩინო შედეგებს იძლეოდა. ესეც საკმარისი იყო, რომ საქართველო დაღუპვის კარამდე მისულიყო, მაგრამ ამას ამ დროს ზედ

დაერთო ისეთი რამე, რამაც მთელი ქვეყნიერება შეანძრია და შეაძრწუნა. ეს იყო მონღოლების შემოსევები.

მ ო ნ ღ ო ლ ე ბ ი.

მონღოლები ცხოვრობდენ უხსოვარ დროიდან ვაშლოვან მთების მახლობლად, მდ. კერულანის სათავეებში, ახლანდელ ქ. კიახტას მახლობლად. ისინი ბოგანო ხალხი იყვნენ. მიწათმოქმედება და მეურნეობის სხვა ფორმები მათთვის უცნობი იყო. ისინი უმთავრესად მეცხენეობას მისდევდენ; ცხენის რძე და ხორცი მათ მთავარ საზრდოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ფრიად უყვარდათ დაცემა და ცარცვა-გლეჯა; ნადავლი მათს საარსებო წყაროს შეადგენდა. ისინი გარეგნობით ძლიერ ცუდი შესახედავი იყვნენ.

მათი მწირი მიწაწყლის მოსავალი ვერ ჰკვებავდა მათს გადიდებულ მოსახლეობას; ამიტომ მათთვის აუცილებელი იყო ახალი მიწაწყლის დაპყრობა. ამ მიზნით გაერთიანდენ მონღოლთა მონათესავე ყველა ტომები; მათში სასტიკი სამხედრო დისციპლინა დამყარდა; ამის წყალობით მათ შესძლეს თითქმის მთელი ქვეყნიერების აწიოკება და აოხრება (მათ დაიპყრეს და ააოხრეს მთელი ქვეყნები აწინდელ ქ. პეკინიდან შავ ზღვამდე, რუსეთი, პოლონეთი, სილეზია, მორავია, და სხ.). მათი პირველი ორგანიზატორი და საშინელი დესპოტი ჩანგიზ-ყაენი იყო.

სანამ მონღოლები საქართველომდე მოაღწევდენ, ჯერ სპარსეთი უნდა გადმოელახათ. სპარსეთში იმ დროს მეფობდა დინასტია ხვარაზმშა.

მე-XIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში მონღოლები ხვარაზმელებს შეესიენ. ჯელ-ალ-ედინი ხვარაზმელი მთელი მისი ოჯახით და მხედრობით განდევნილ იქნა სამშობლოდან. მთელი ეს ლაშქრობა, სამშობლოდან გადმოხიზნული, საქართველოს საზღვრებს მოადგა. საქართველო ამ დროს ისედაც

ოლვევის პროცესს განიცდიდა: დეზორგანიზაცია, უდისციპლინობა, ქიშპობა და მოღალატეობა—აი, რა იყო გაბატონებული ქართულ სახელმწიფეობრიობაში. ყველა ამის წყალობით ქართველი ჯარი იოლად იძლია ჯელ-ალ ედინის მიერ. საქართველო რამოდენიმეჯერ იქნა განადგურებული და აოხრებული მის მიერ.

მეცამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ჯელ-ალ-ედინი და მისი ჯარი სრულიად გაანადგურეს მონღოლებმა და ამის შემდეგ ქართველებს უშუალოდ მოუხდათ მონღოლებთან შეტაკებები.

მონღოლების ბატონობა და მისი სისასტიკე.

1236 წელს, მრავალი სისხლის ღვრის შემდეგ, მონღოლებმა დაიპყრეს ამიერკავკასია და საქართველოც. მათ მოაწყვეს თავიანთი სადგომები მუღანის ველზე და აქედან დაუწყეს დაპყრობილ ქვეყნებს რბევა და დაბეგვრა. მთავარი მათი მბრძანებელი ყაენი, ანუ მეფეთ-მეფე, ყარაყორუმში ცხოვრობდა, სადაც დაპყრობილი ქვეყნების მეფეები და სხვა დიდკაცობა უნდა ხლებოდა ამ საერთო უზენაეს ბატონს.

აქ, ყარაყორუმში, თავს იყრიდენ და ერთმანეთს ხვდებოდენ მეფეები და ბატონები სპარსეთის, რუმის, ხლათის, რუსეთის, საქართველოსი და აგრეთვე ევროპის სხვადასხვა სამფლობელოების. ამ ულმობელი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული დაპყრობილების უბედობა თუ ბედნიერება და თვით სიკვდილ-სიცოცხლეც კი.

მონღოლების უშუალო ბატონობა გაგრძელდა საქართველოში ას წელზე მეტს—1236 წლიდან 1346 წლამდე და დროგამოშვებით მერეც. მე-XIV-ე საუკუნის მიწურულში და მე-XV-ე საუკუნის დასაწყისში ლენგ-თემურმა კიდევ ერთხელ მოარბია საქართველო და გასწყვიტა ხალხი.

მონღოლების მიერ ქართველებზე დაწესებული ვალდებულებანი და გადასახადი.

მონღოლების მისწრაფებას დაპყრობისადმი და ამით გამოწვეულ ომებს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ხალხის ნაკვალევს

არსად არ აჩნია მშენებლობის ნიშანწყალი. ნგრევა, რბევა, დაბეგვრა და ომები,—აი, რა შეადგენდა ამ ხალხის „მოღვაწეობას“ ისტორიულ ასპარეზზე. მონღოლების შემოსევამდე ქართველი მხედართა დასი და პლუტოკრატია აომებდა საქართველოს მშრომელ ხალხს, ახლა კი მას გამოუჩნდენ მონღოლები და ესენი არღვევდენ ქართველების მყუდრო ცხოვრებას და ყველას იწვევდენ საომრად სხვადასხვა ქვეყნებში.

აი, ამდენი და ამდენი ჯარით მეახელით: მისრეთისაკენ, ესე იგი ეგვიპტესაკენ, ან რუმისაკენ, ან კიდევ სხვაგან უნდა გავილაშქროთო,—გამოუგზავნიდა მონღოლი ბატონი ბრძანებას ქართველ მეფეს, ან რომელიმე ოლქის მართველ ერისთავს, და ეს უკანასკნელნიც აუცილებლად უნდა ხლებოდენ. გარდა ამისა, ყოველ ათ სრულწლოვან ქართველთაგან ერთი მონღოლების მუდმივ ჯარში უნდა ყოფილიყო მეომრად.

აუწერელი იყო მონღოლების სიმკაცრე მათ მიმართ, ვინც უბრძოლველად არ დანებდებოდა მათ და იარაღით ხელში შეეცდებოდა თავისი დამოუკიდებლობის დაცვას: მოხუცი, ქალი, ბავში და მეომარი—სულერთი იყო მათთვის; ყველას მუსრს ავლებდენ; სოფლებს და ქალაქებს მიწასთან ასწორებდენ ხოლმე. ვინც გახიზვნით და გადამალვით თავს გადაირჩენდა და მერე მორჩილებას გამოუცხადებდა მათ, ის საშინელი და აუტანელი ხარაჯით, ე. იგი ხარკით, იქნებოდა დაბეგრილი.

მეცამეტე საუკუნის ნახევარში ბათუ ყაენმა გამოაგზავნა აღმწერელი ტფილისში. მან აღწერა მთელ საქართველოში ყოველივე „მიწით, ვენახით, ხვასტაგით, ბოსტნით, წალკოტით და წისქვილით“, ასე რომ მოსახლეობა მთელის თავისი ქონებით ზედმიწევნით იქნა აღწერილი და დაბეგრილი.

წინეთ, როდესაც საქართველოში ფული ბლომად იყო და ფულის ტრიალი ხშირი და განვითარებული იყო, გადასახადებიც ფულით იკრიფებოდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ფული საქართველოში არ იყო მეურნეობასა და მრეწველობაში დაბანდებული. მას წარმოება არ აკავებდა და ამიტომ

იგი, როგორც მოძრავი ქონება, უცბად გაიზიდა. ამის შემდეგ იწყეს ნატურალურ გადასახადებზე გადასვლა.

როგორც იმდროინდელი საბუთებიდან სჩანს, თვითეულ ქართველ მეკომურს (კომლს) უნდა ეძლია მონღოლებისათვის ხარაჯის სახით ასი ლიტრა ყველი (მაშინდელი ქართული ლიტრა ახლანდელს ერთს გირვანქას ცოტათი აღემატებოდა), 50 ლიტრა ღვინო, ორი ლიტრა ბრინჯი და ოცი სული საქონლიდან (პირუტყვიდან) ერთი სული, ე. ი. 5% და ფულად კიდევ ოცი დრამი ვერცხლი*). ამის გარდა არსებობდა კიდევ სამხედრო გადასახადიც. „...და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან ათასის მხედრის მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი **) ერთი, ხოლო ბევრის ***) მხედართ მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ორი და მიზდი ცხენისა თეთრი სამი“ ყოველდღიურად. გარდა ამისა, ყოველი ნაყიდი და გაყიდული საქონლიდან ბაჟი—3%—მონღოლების იყო.

ეს იყო გადასახადი საგარეო, ე. ი. გარეშე ბატონებს ეკუთვნოდა; გარდა ამისა ადგილობრივი საბატონო და სახელმწიფო გადასახადებიც დიდი იყო. ასე რომ აქედან ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რამდენად მძიმე იყო მაშინდელი ქართველი გლეხის მდგომარეობა ****).

---

*) დრამი ვერცხლი 0,07 მისხალ წმინდა ოქროდ ღირდა, ე. ი. დაახლოვებით 40 კაპ. უდრიდა.

**) დრაჰკანი ოქროს ფული იყო; იწონიდა 1 მისხალს, ე. ი. ღირდა 5,5 მან.

***) ბევრი უდრიდა 10,000.

****) აქ ყურადღების ღირსია ის, რომ გადასახადებში პურის გადასახადი აღარ სჩანს. ცხადია, ამ დროს მიწის მეურნეობა ძალიან დაცემულა; იმ შფოთიანობის დროს, როდესაც გლეხს და ხელოსანს არ ჰქონდა საშუალება ერთს ალაგას ეცხოვრა, მტერს უნდა გაქცეოდა და ამიტომ მუდამ მოძრაობაში იყო, სად შეეძლო მიწის დამუშავებისათვის მიეყო ხელი. სამაგიეროდ, ჯოგი, როგორც მოძრავი მეურნეობა, შესაძლო იყო ჰყოლოდათ და ხალხს ჯოგთან ერთად უმოძრავნია ადგილიდან ადგილზე. ისიც საყურადღებოა, თუ რაზომ მძიმე იყო მონღოლების გადასახადი (ჯოგის 5%, ყველი, ღვინო და სხვა).

გადასახადებისაგან, გარდა სამღვდელოებისა, არავინ იყო თავისუფალი (სამღვდელოებაზე ქვემოთ): არც მეფე, არც დიდებული და არც სხვა. ყაენის მოხელემ, ვინმე ხოჯა აზიზმა, ლაშა-გიორგის ძის, მეფე დავითის, სამზარეულოსაც დაადვა ბაჟი და ეს გარემოება გახდა ერთ-ერთ მიზეზად მეფის განდგომისა, რამაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა ქართველების მხრით.

ფულის კრიზისის გამო,—რაც ვაჭართა კლასის გაკოტრებას და სავაჭრო კაპიტალის მოსპობის გზაზე დადგომას ნიშნავდა,—გაცვლა-გამოცვლაც ნატურალურ სისტემას დაეყრდნო. ფული იმდენად გაძვირდა, რომ 1259 წლის ერთს სიგელში პირდაპირ ნათქვამია: „ოქრო ძვირად იყვის და სოფელი ეიფად“. წინანდელ დროსთან შედარებით ფული ორჯერ და მეტადაც გაძვირებულა. იმავე სიგელში ერისთავთ-ერისთავი კახა ამბობს: „რაც 5000 თეთრი ღირდის, 2000 ძლივ დავაჭირვინი.... რაც 10000 თეთრად ღირდის, 5000 ძლივ გავყიდი“; ესე იგი, რაც ხუთიათას თეთრად ღირდა, ორი ათასად ძლივს გავყიდეო.

საერთოდ, გადასახადები იმდენად მძიმე შეიქნა, რომ მიწის მოსავალი გადასახადებს ვერ აუდიოდა. მიწათმოქმედება საზარალო საქმედ იქცა. მსხვილმა მამულებმა დაქუცმაცება იწყო და მიწის ყიდვა-გაყიდვა, ხელიდან ხელში გადასვლა ხშირ მოვლენად იქცა.

მევახშეობა. ორტაღი.

ამ მდგომარეობაში აუცილებელი იყო, რომ სავაჭრო კაპიტალს ადგილი დაეთმო სავახშო კაპიტალისთვის. მაგრამ რადგან ქართველებში ფული ალარ დარჩა, ამიტომ ამ საქმეს—მევახშეობას—უფრო უცხოელები ეწეოდენ. არის დარჩენილი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ამ დროს (მე-XIII-ე საუკუნეში) ყოფილა ერთნაირი საკრედიტო სავახშო დაწესებულება—ამხანაგობა. ამ დაწესებულებას ორტაღი ერქვა. სი-

ტყვა ორტაღი თურქული სიტყვაა და ამხანაგობას ნიშნავს. ამ ამხანაგობის მონაწილენი, წევრები, უცხოელები ყოფილან, სახელდობრ: მუსლიმან ხოჯა სალამის მემკვიდრენი, სომეხი ჰასან სუმბატის ძე და ებრაელი იოსებ ბულბაფაის ძე. ეს ამხანაგობა ისეთი შეძლებული იყო, რომ ამ საშინელ ფულის კრიზისის დროსაც 65,000 თეთრად ღირებულ, ესე იგი, თანამედროვე ფულობაზე 25,000 მანეთზე მეტად ღირებულს მამულს ყიდულობდა და ყიდდა.

ეს ამხანაგობა სესხს იძლეოდა, რა თქმა უნდა, გირაოთი. მრავალი მამული დარჩენია მას მოვალისაგან სარგებლის ან თავნი ფულის დროზე გადაუხდელობის გამო.

რამდენ სარგებელს ახდევინებდენ მაშინ? ერთს სამღვდელო პირს 45% გადაუხდევინებია ფულის სარგებელი. სამღვდელოებას საეკლესიო წესით აკრძალული ჰქონდა სარგებლის გადახდევინება. სჩანს, 45% არც კი ითვლებოდა მაშინ სარგებლად. საერო პირები და თვით ის ამხანაგობა—„ორტაღი“, ცხადია, იღებდა ფულის სარგებელში არა 45%, არამედ გაცილებით უფრო მეტს.

რა გასაჭირი ადგათ მაშინ, რომ ასეთი აუტანელი სარგებლით იღებდენ სესხს და ასე იოლად ვარდებოდენ მევახშეების კლანჭებში? „დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქვენ მოძღვრისაგან 60 თეთრი“: მოუსავლობისაგან, ჭირისა და გადასახადებისაგან ვარდებოდა ხალხი ამ მევახშეების ხელში. თუ ვინმე მონღოლების გადასახადს ვერ გადაიხდიდა, მას შვილებს წაართმევდენ; თუ მევახშეების ვალს დროზე ვერ გადაიხდიდა, მაშინ იგი, როგორც შეუძლო მოვალე, თავისუფლებას ჰკარგავდა და კრედიტორის ყმად ხდებოდა. ასეთი იყო ის დუხჭირი დრო ქართველი გლეხისათვის. ასეთ დროში ყველას უჭირდა, მაგრამ გლეხს და ხელოსანს ყველაზე მეტად, რადგან ყველა პრივილეგიურ წოდებას ბოლოსდაბოლოს მაინც გლეხი და ხელოსანი არჩენდა. ამიტომ, ეს ორი დაბალი წოდება ყველაზე მეტად, აშკარად და უტიფრად იყვლიფებოდა.

ქართული ეკლესიის დამოკიდებულება მონღოლებთან.

ქართული ეკლესია ისე თავისუფალი და დამოუკიდებელი არასოდეს არ ყოფილა, როგორც დასავლეთ ევროპაში. არც მისი მნიშვნელობა ყოფილა ისე დიდი და მნიშვნელოვანი მართვა-გამგეობაში, როგორც იქ. მართალია, ქართული ეკლესიის მეთაური კათალიკოს-პატრიარქი პირველი ბატონი იყო მეფის შემდეგ, მაგრამ მაინც ის და მთელი ეკლესია მეფის სასახლისაგან იყო სავსებით დამოკიდებული. მეფის უფლება უშუალო და გადამწყვეტი იყო ეკლესიის საქმეებში. საბუთებში ნათქვამია, ესა და ეს კათალიკოსი მოკვდა, და მეფემ მის ადგილას ესა და ეს დასვაო, ე. ი. დანიშნაო, და სხვა.

მეფეები და სხვა დიდებულნი გრძნობდენ თავის დანაშაულს, ჩადენილს როგორც მართველობაში, აგრეთვე კერძო ცხოვრებაშიაც და ამიტომ „საოხად“ და „სააღაპოთ“ მათი სულისა აშენებდენ ეკლესია-მონასტრებს და უხვად ასაჩუქრებდენ მათ მიწით, ყმით და განძეულობით. მაგრამ ეს კეთილ ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული. ცენტრალისტური ძალა-უფლების განმტკიცების შემდეგ კიდევ უფრო ჩამოქვეითდა ქართული ეკლესიის ძალა-უფლება. ასეთი მდგომარეობა ეკლესიისათვის, რა თქმა უნდა, არ იყო ხელსაყრელი და ამიტომ, უეჭველია, იგი ეცდებოდა თავისი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მონღოლებიც კარგად იყვნენ მიმხვდარი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის ქართული ეკლესიის დამოყვრებას: ამით მათს ბატონობას უფრო მტკიცე ნიადაგი ექნებოდა; ამიტომ მონღოლებმა ქართული ეკლესია და საზოგადოდ ყველა სარწმუნოების წარმომადგენელნი ყოველგვარი გადასახადისა-

გან გაათავისუფლეს. მონღოლები ასეთს პოლიტიკას აწარმოებდენ სხვაგანაც; მაგ: მონღოლებმა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია სხვადასხვა პრივილეგიებით დაიმეგობრეს და დაუპირდაპირეს მეფე-თავადებს. სამღვდელოება იქ ლოცულობდა კიდეც მონღოლების კეთილდღეობისთვის.

ქართველი პატრიარქ-კათალიკოსი მე-XIII-ე საუკუნის შუახანებში ეწვია ულუყაენს „დაცვისათვის ეკლესიათა“ და იმან დიდის პატივისცემით მიიღო იგი* და „მიუბოძა ერლაყი** და ჯვარი და არგანი*** ოქროსანი.

როგორც დავინახეთ, ქართველი საზოგადოების ყველა წრეები, გარდა სამღვდელოებისა, უკიდურეს მატერიალურ და უფლებრივ გაჭირვებას განიცდიდენ. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ არც ეკლესია დატოვა მოსვენებულად; „დაიწყო შლა ეკლესიათა შეწირულებათა“,—მოგვითხრობს მემატიანე. საქმე იმაშია, რომ გაღატაკებული აზნაურობა, რომლის წინაპრებსაც უხვი საბოძვარი შეუწირავთ ეკლესია-მონასტრებისათვის, ახლა, ამ გაჭირვების დროს, ისევ დაეპატრონა თავის ძველ მამულებს: რა ვქნათ, „ჟამისა ძნელბედობისა და საჭირობისა“ გამო ჩავდივართ ამასო,—ამობდენ აზნაურები. ეკლესიის წარმომადგენელნი ბევრს იწყევლებოდენ ამის გამო. მაგრამ, აბა, წყევლით ვის რა გაუკეთებია!

მონღოლების უკანასკნელი გამოლაშქრება. თემურ-ლენგი.

რამოდენიმე ათეული წლების შესვენების შემდეგ მეთოთხმეტე საუკუნის უკანასკნელ მეათედში, თათართა ურდოებ-

* ამგვარი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება იმდროინდელი საბუთებიდან; მონღოლები ქართულს და სხვა ერების სარწმუნოებას ასე ლმობიერად მანამდის ეპყრობოდენ, სანამის ისინი პოლიტიკურად გამაგრდებოდენ. მათი ოდნავად გამაგრება და გამაჰმადიანება თითქმის ერთს დროს მოხდა და ამ დროიდან კი ქართული ეკლესია საშინელ დევნას და რბევას განიცდიდა.

** ერლაყი—ბრძანება თავისუფლების შესახებ.

*** არგანი—კვერთხი, ჯოხი.

მა თემურ-ლენგის მეთაურობით ერთხელ კიდევ გაახსენეს კაცობრიობას ჩინგიზ-ყაენის ხანა. ეს მხეცი მეომარი სადაც გაივლიდა, ქვას ქვაზე არ სტოვებდა; ეს ქვეყნად მოვლინებული რისხვა ფანატიკოსი მუსლიმანი იყო და მის გაუმაძღარ მადას ვერაფერი აკმაყოფილებდა. მან არ იცოდა, თუ რა იყო სიბრალული. მან რამოდენიმეჯერ გაილაშქრა საქართველოზე და მოუთავა მას ის, რაც აღმოსავლეთის სხვა დამპყრობელებმა ვერ მოასწრეს. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ დასცა საქართველოს თავზარი და მისი ეკონომიურ-პოლიტიკური აღორძინების შესაძლებლობა მიწასთან გაასწორა.

საქართველოს მოშენების მცდელობა.

ნატურალური მეურნეობა. კოსტანტინეპოლის დაცემა.

თემურ-ლენგის ლაშქრობის შემდეგ, მე-XV საუკ. პირველ მეოთხედში, გარეშე მტრებისაგან შესვენების დროს, საქართველოს მართველმა წრეებმა სცადეს აოხრებული და თითქმის უკაცურად ქცეული ქვეყნის მოშენება, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი იყო: ფულის ტრიალი და ფულის მეურნეობა განადგურდა. ფულის და ვაჭრობის გაქრობის გამო აქ ფეხი მოიკიდა ნატურალურმა, კარჩაკეტილმა მეურნეობამ. მოსახლეობა საშინლად შემცირდა. სამიმოსვლო გზები მოიშალა. თვითეული კუთხე ეკონომიურად თავის გეოგრაფიულ ფარგლებში მოემწყვდა.

წინადროინდელი განვითარებული მოთხოვნილება მცხოვრებთა ჩამოქვეითდა. ამ დროს (1453) წ. კონსტანტინეპოლი აღებულ იქნა ოსმალების მიერ და ამით საქართველოს დასავლეთისკენ მიმავალი გზები დაეხშო. აღებმიცემობა, როგორც უცხოეთთან, ისე აგრეთვე შიგნითაც, შეწყდა. ყველა ზემოთქმულის წყალობით ქართველ ფეოდალებს მოხერხებული დრო დაუდგათ, რომ თავისი ზრახვები განეხორციელებიათ და კიდევაც შეესხა ხორცი მათს მისწრაფებებს განკერძოებისაკენ.

თვითეული კუთხე ეკონომიურად დამოუკიდებელ ერთეულად იქცა. ამას ზედ ემატებოდა კიდევ ძლიერი პოლიტიკური ფაქტორებიც. ჯერ კიდევ მე-XIII საუკ., მონღოლების ბატონობის დროს, როდესაც ხშირი იყო მეფეების განდგომა და ომები, ხშირად უხდებოდათ მეფეებს თავის შეფარება ხან მესხეთში, ხან ფშავ-ხევსურეთში, ხან კიდევ იმერეთში და სხვაგან. ამისდა მიხედვით ესა თუ ის კუთხე დროებით პოლიტიკურ ცენტრად ხდებოდა და ადგილობრივი ერისთავი მეფის თანატოლად გრძნობდა თავს, ან კიდევ, როდესაც საქართველოს მეფე იძულებული ხდებოდა ყაენს ხლებოდა და ყაენის ომებში ხანგრძლივად ყოფილიყო, ადგილობრივი მთავრობა ფაქტიურად მეფის მონაცვლედ ხდებოდა. იყო კიდევ შემთხვევა, რომ თვითეულ კუთხეს ცალკე უხდებოდა თავის დაცვა გარეშე მტრებისაგან; ეს კიდევ თავისთავად დამოუკიდებლად აგრძნობინებდა თავს ცალკე ფეოდალებს. ერთი სიტყვით, ცენტრალური ძალაუფლება დასუსტდა. ამრიგად, ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება ჰქმნიდა ქვეყნის დაყოფის და დაქუცმაცების აუცილებლობას.

ეკონომიური ვითარება.

ხანგრძლივი ეკონომიური დაქვეითების შედეგი იყო საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა. მაგრამ მომხდარ პოლიტიკურ ფაქტს, დაყოფასაც თავისთავად გავლენა ჰქონდა ეკონომიკაზე: ამის შემდეგ ცალკე კუთხეებს შორის საბაჟოები დაარსდა და ამან გაცვლა-გამოცვლის საქმე კიდევ უფრო შეაფერხა და ხელი შეუწყო დაწვრილმანებას და კარჩაკეტილობას. საგარეო ვაჭრობასაც ძლიერი დამაბრკოლებელი პირობები გადაეღობა: საქართველოს გარშემო მოისპო ქრისტიანული სახელმწიფოები; ტრაპეზუნდის იმპერია და თვით საბერძნეთიც ოსმალოებს ჩაუვარდა ხელში.

ოსმალოები იმ დროს მაინც მილიტარიზმით, საომარი

ტეხნიკის განვითარებით იყვნენ გართულნი და ვაჭრობისთვის არა სცხელოდათ. გარდა ამისა, ეს სახელმწიფო მტრულად იყო განწყობილი საქართველოსადმი და მასთან აღებმიცემობის დაჭერა შეუძლებელი იყო. შიგნით, საქართველოში, დაუცხრომელი საშინაო და საგარეო ომების წყალობით, შიმშილობისა და ავადმყოფობის გამო მოსახლეობა საშინლად შემცირდა: გავერანდა და გაუკაცურდა მთელი სოფლები და ქალაქები.

ამ დროს შემოდის ქართულ სიტყვიერებაში სიტყვები ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახევი, პარტახი და სხვა. მეურნეობის ფორმები ეცემა; დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, ამ დროს მევენახეობა და მეურნეობის სხვა დარგები დაცემულა, ნაქსოვები იმდენად მცირე და უხეირო ყოფილა, რომ თურმე ვერცერთ სხვა ქვეყნის ნაწარმოებს ვერ შეედრებოდა. მათ არამცთუ უცხოეთში გასატანი რამ არ მოეპოებოდათ, თავსაც ვერ ირჩენდენ. შიმშილობა ხშირი სტუმარი იყო მათი; თავის გამოკვების საშუალება და უნარი აღარ ჰქონდათ. ზნეობრივ-კულტურულადაც სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ (ვენეტიკელი დესპანის ცნობა 1474 წ.).

ისეთ მივარდნილ კუთხესაც, როგორიცაა სვანეთი, ეს დაყოფის საშინელი შედეგი ძლიერ დატყობია. სვანები, რაჭველები, ლეჩხუმელები სამეგრელო-იმერეთში უნდა გადმოსულიყვნენ სამუშაოდ და საჭირო საქონლის შესაძენად. ამ დაყოფამ ეს შეუძლებელი გახადა, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი შეტაკებანი სვანებსა და რაჭა-ლეჩხუმის მთავრებს ჯაფარიძეებს შუა (სვან-ჯაფარიძე-კუჭაიძეთა მტრობა და ბრძოლები).

ეკონომიურად ასე იყო გაღატაკებული ყველა კუთხე.

როგორ ეცემოდა თვით მეფეების როგორც პირადი ისე სახელმწიფო ხაზინის ეკონომიური მდგომარეობა, ეს შემდეგიდან სჩანს: 1451 წ. გიორგი მეფის ქალი დაინიშნა ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორ კონსტანტინეზე. (ეს ის კონ-

სტანტინე იყო, რომელმაც 1453 წ. 29 მაისს კონსტანტინეპოლის აღების დღეს მტერს თავი გმირულად შეაკლა.) მეფე გიორგიმ თავის ქალს ერთდროულ საჩუქრად სხვა აუარებელი ძვირფასეულობის გარდა 56,000 ოქროს ფული გადაუწყვიტა. ამის გარდა, ყოველწლიურად 3000 ოქროს სარგოდ შეჰპირდა. 1477 წელს კი, როდესაც სპარსეთის შაჰმა უზუნ-ჰასანმა საქართველო დაიჭირა და განთავისუფლებისათვის 16000 დუკატი (იმავე ღირებულების ოქროს ფული) მოითხოვა, სახელმწიფო ხაზინამ ეს ვერ შესძლო და ამით საქართველოს საქმე ძლიერ გაურთულდა.

გადასახადების გადიდება და გლეხთა არეულობა.

მთლიანი საქართველოს არსებობის დროს ხალხი ინახავდა ერთს სასახლეს, ერთს ვეზირთა (მინისტრთა) საბჭოს, ერთგვარ დაწესებულებას და ხელისუფალთ. დაყოფის შემდეგ ხალხს (დიდად შემცირებულს) უხდებოდა სამი სამეფოს და ხუთი სამთავროს შენახვა. თუ წინათ საგარეო ომები მძიმე ტვირთად აწვა ხალხს, ახლა შინაური ომებიც დაემატა და ამან კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა მდგომარეობა. გარდა ამისა, მეფობისა და დიდებულობის მოსურნეთა რიცხვიც ძალიან გაიზარდა. ასე რომ, საერთოდ, საქართველოში დიდკაცობის შესანახ საშუალებათა მოთხოვნილება საოცრად გადიდდა. ბრწყინვალე საზოგადოებათა მეტოქეობას ერთმანეთთან საზღვარი აღარ ჰქონდა. ამიტომ დიდკაცობამ ორ საშუალებას მიმართა: ერთი—ეკლესია-მონასტრებისადმი შეწირულ ქონებათა ჩამორთმევას და მეორე—გლეხებზე დაწესებულ გადასახადთა გადიდებას.

გადასახადების გადიდება მოუხდენიათ შემდეგნაირად: ნომინალური მხარე გადასახადებისა დაუტოვებიათ ძველი, წინანდელი, მაგრამ არსებითად გადასახადის რაოდენობა გაუდიდებიათ ერთი-ორად და მეტადაც. მაგ., თუ წინათ გლეხი

ვალდებული იყო ეძლია ბატონისთვის ერთი კოკა ღვინო, რაც, ვთქვათ, იწონიდა ორ ფუთს, ამ დროს, გადასახადების გადიდების შემდეგ, კოკის წონა უდრიდა არა ორ ფუთს, არამედ ოთხს და მეტსაც. ამრიგად, გადასახადი სათქმელად ისევ ძველი დარჩა, მაკრამ გლეხის ტვირთი კი ერთი-ორად და ერთი სამადაც დამძიმდა.

ეს უბედურობა გლეხებს ვერ მოუთმენიათ და ჯერ პასიური და შემდეგ კი აქტიური წინააღმდეგობა გაუწევიათ ბატონებისთვის. ეს გლეხთა მოძრაობა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ბატონები იძულებული გამხდარან, დაეთმოთ გლეხებისთვის და მორიგების გზას დადგომოდენ. ეს პროცესი კაი ხანს უნდა გაგრძელებულიყო და მე-XV-ე საუკ. პირველ ნახევარში უნდა დამთავრებულიყო. ერთს იმდროინდელ საბუთში (1454 წ.) ბატონი ფიცულობს და პირობას სდებს ყმების წინაშე, ამიერიდან საზომებს არ გაგიდიდებთ და ვინც ეს ჩაიდინოს, წყეულიმც იყოსო: „... და ამა წესითა მოგუცემდით და და არა შეგიცუალოთ და არცა კოკა და არცა ლიტრა გაგიდიდოთ“ და სხ.

კ უ ლ ტ უ რ ა.

საქართველოს რამდენიმე საგამგეო ერთეულებად დაყოფამ დიდი ზიანი მიაყენა მის გონებრივ-კულტურულ წინსვლასაც. ეკონომიურად და პოლიტიკურად განკერძოებული კუთხე თავისი გონებრივი დოვლათითაც უნდა შეზღუდულიყო, და ასეც მოხდა. წინადროინდელი, უმაღლეს დონემდე ასული ქართული საერო ლიტერატურა დაქვეითდა. სად არიან შავთლები, ჩახრუხაძეები, რუსთველები!... იმდროინდელი საბუთებიდან ისიც ირკვევა, რომ წერა-კითხვის მცოდნეობა ძალზე მოსპობილა. მე-XII-ე საუკუნის ქართველი ინტელიგენცია თვალყურს ადევნებდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის გონებრივ განვითარებას და ითვისებდა მას. იმ დროს

ევროპასთან დაახლოება შავი ზღვით და კონსტანტინეპოლით ხდებოდა. ახლა საბერძნეთი აღარ არსებობს, შავი ზღვაც ოსმალოების ხელშია, საქართველოს გზა დახშული აქვს ევროპისაკენ. ევროპაში კი იმ ხანებში (XIV—XV საუკ.) დიდი კულტურული მუშაობა წარმოებდა (ჰუმანიზმი—რენესანსი). იოჰანე ჰუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდის შემოღებამ საოცრად გაზარდა და გაავრცელა მწიგნობრობა.

ამ დროს ევროპაში ბევრი უნივერსიტეტი დაარსდა. ევროპის კაპიტალი ძლიერ გაიზარდა. მან გადააცილა ევროპის ფარგლებს, მიახწია ინდოეთამდე, აფრიკის მივარდნილ კუთხეებამდეც და, ბოლოს, ვეებერთელა, დიდი და მდიდარი ქვეყანა ამერიკა აღმოაჩინა (1492 წ.) ამან დიდად წასწია წინ სხვადასხვა დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და სხ. ამავე დროს ევროპაში სხვადასხვა აღმოჩენა—გამოგონებებით იყვნენ გართული, ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა საომარი ტეხნიკა, (დენთი, *) არტილერია). ყველა ამას საქართველო მოწყვეტილი იყო.

მართალია, ქართველ წრეებს არ შეუწყვეტიათ ევროპასთან კავშირი, მაგრამ ეს ძლიერ სამძიმო იყო, და აი რატომ: ძველად მთავარ სამიმოსვლო საშუალებას ზღვა და მდინარეები წარმოადგენდენ. საქართველოდან კონსტანტინეპოლში მგზავრობა ყოველთვის იოლი საქმე იყო. ახლა ამ გზის ქართველებისათვის მოსპობის შემდეგ გზა ევროპისაკენ მიდიოდა აწინდელი რ. ს. ფ. ს. რ-თი (რუსეთით), პოლონეთით და პრუსიით, ან კიდევ ჰუნგრეთის გზით. უმეტეს შემთხვევაში უნდა ემგზავრათ ცხენ-ჯორებით და აქლემებით. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე რამდენი დაუსახლებელი ადგილი უნდა გაეარა მგზავრს, ან რამდენი საფრთხე უნდა განეცადა ყაჩაღ მცოვრებელთა და მხეცებისაგან! ეს დიდი და გაბედული ექსპედიცია უნდა ყოფილიყო იმ დროს.

*) დენთი—თოფის წამალი.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.

კონსტანტინეპოლის დაცემით (1453 წ.) საქართველოს მოესპო დასავლეთ ევროპასთან კავშირი და მასთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის შესაძლებლობა. მაშინდელი საქართველოს მართველი წრეები ნათლად ხედავდენ ამას.

მეზობელ ქრისტიან (კულტურულ) სახელმწიფოების ადგილი უკულტურო და ფანატიკოსმა მუსლიმანურმა ხალხმა—ოსმალოებმა—დაიჭირა. სამხრეთ-დასავლეთით ოსმალოები, სამხრეთ-აღმოსავლეთით სპარსელები და მახლობელ მთებზე გამაჰმადიანებული პატარა ერები—რკალივით ერტყენ გარს საქართველოს. ამით ქართულ ეროვნულ დამოუკიდებლობას და ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებას ძლიერი საშიშროება მოელოდა. ეს აზრი, როგორც მაშინაც ჰქონდათ შეგნებული, შემდგომ გამართლდა. მაშინ ქართული ეროვნული ინტერესები მოითხოვდა ბიზანტიის ოსმალოების ხელიდან გამოგლეჯას, მის ისევ აღდგენას. ამ თვალსაზრისით ქართულმა დიპლომატიამ კავშირი დაიჭირა ევროპაში ოსმალოებისადმი მტრულად განწყობილ წრეებთან. და ამ იდეის ზეგავლენით დროებით შეწყდა ქართველ ფეოდალებს შორის არსებული ბრძოლა. ეს იყო მე-XV-ე საუკ. მეორე ნახევარში.

ასეთი თვალსაზრისით და ამნაირივე მიზნით მიწერ-მოწერა დასავლეთ ევროპის საჭეთმპყრობელებთან უწინაც სწარმოებდა: დავით აღმაშენებელის დროს ქართულ ახლად ფეხმოდგმულ კაპიტალს და დიდებულებს შორისაც იყო აზრი, მონაწილეობა მიეღოთ მე-XII-ე საუკ. „ჯვაროსანთა ომებში“. მაგრამ ეს მაშინ არ მოხერხდა. მეფე რუსუდანიც ემუდარებოდა რომის პაპს და სხვა მფლობელებს, რომ დახმარება გაეწიათ ქართველებისათვის ჯელალ-ედინის და მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ პაპმა (გრიგორი მე-IX-ე) ჯარების მაგიერ რამდენიმე მისიონერი ბერ-მონაზონი გამოუგზავნა მას.

ახლა, მე-XV-ე საუკ. ჯერ თვით რომის პაპმა (პიოს მე-II-ე) დაიწყო ამ კოალიციის შედგენა. მან საქართველოში გამოგზავნა დესპანი (ლიუდოვიკო ბოლონიელი); ამ დესპანს დიდად უმეცადინია, რომ ქართველ მეფე-მთავრებს შორის ზავი და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყო. ნაწილობრივ მიზანი მიღწეულ იქნა კიდეც.

1459 წ. მეფე გიორგი ალექსანდრეს ძის მეთაურობით ქართველ მეფე-მთავრებს შორის ხელშეკრულებაც დადებულა. კავშირში შედიოდენ: მეფე გიორგი, ყვარყვარე ათაბეგი (მესხეთის მთავარი), ბედიანი (დადიანი) სამეგრელოის და აფხაზთა მთავარი და ტრაპიზუნის მართველი.

ქართველ პოლიტიკოსებს უნდოდათ, რომ შეტევა ოსმალოებზე ორის მხრით მომხდარიყო: დასავლეთით და აღმოსავლეთით. ამ კოალიციის თვითეულ მონაწილეს ზედმიწევნით გამოუანგარიშებია თავისი ძალა და უცნობებია ევროპაში, ასე რომ, ქართველებს მაშინ თურმე შეეძლოთ გამოეყვანათ, სულ მცირე რომ ავიღოთ, 70,000 ჯარი. ქართველებს იმდენი მოუხერხებიათ, რომ ამ კავშირის მონაწილეთ ზოგიერთი არაქრისტიანი მთავრებიც შემოუყვანიათ, მაგ: შუამდინარეთის მთავარი, სპარსეთის შაჰი—უზუნ-ჰასანი და სხ. საქართველოს დესპანები (ნიკოლოზ ტფილელი და ქასადან ყარჩახანი) 1460 წ. ჯერ ფრიდერიკო იმპერატორს (გერმანიის იმპერატორს) ეახლენ და ძღვენი და ბარათები მიართვეს, მერე რომის პაპს პიოს II—რომში. აქედან რომ არაფერი გამოვიდა, მოციქულები საფრანგეთის მეფეს ესტუმრენ. მაგრამ ამ კომბინაციებიდანაც არა გამოვიდა-რა.

რატომ არ მოეწყო ოსმალების საწინააღმდეგო კოალიცია.

ქართველი გულუბრყვილო პოლიტიკოსები თავის იმდროინდელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაში წინა საუკუნეების მაგალითებით ხელმძღვანელობდენ: მე-XI—XII-ე საუკუნე-

ებში მშვენივრად მოეწყო ჯვაროსანთა გალაშქრებანი. მაგრამ იმ დროს ის ომები ეკონომიური ინტერესებით იყო გამოწვეული. ამ დროს კი, მე-XV-ე საუკუნეში, ეს მამოძრავებელი ეკონომიური ფაქტორები არ არსებობდა. საქმე იმაში იყო, რომ მე-XII—XIII-ე საუკუნეების „ჯვაროსანთა ომების“ მაწარმოებელი მხედრობა იარაღი იყო მაშინდელი ევროპის (კერძოდ იტალიის) სავაჭრო კაპიტალისა: სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიის ვაჭრებს უნდოდათ გზა გაეკვლიათ მაშინდელი მდიდარი აღმოსავლეთისაკენ. მათ უნდოდათ, თავი გაეთავისუფლებიათ კონსტანტინოპოლის ვაჭრების კლანჭებიდან, რომელთა ხელშიც იყო მაშინ მთელი აღმოსავლური აღებმიცემობა. იერუსალიმი და უფრო მკვიდრად კონსტანტინეპოლი „ჯვაროსნებმა“ 1204 წელს დაიჭირეს.

ამრიგად, დასავლეთის კაპიტალმა პირდაპირ უშუალოდ დაიწყო ვაჭრობა აღმოსავლეთთან. ახლა კი, მე-XV-ე საუკუნეში, მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო: დასავლეთის სავაჭრო კაპიტალი ამ დროსთვის საგრძნობლად გაძლიერდა, მისი ექსპორტი (გატანა) და იმპორტი (შემოტანა) ვერ ეტეოდა ვიწრო ფარგლებში.

კონსტანტინეპოლს და მცირე აზიას ოსმალოები დაეპატრონენ. მათ მალე მთელი შავი ზღვაც ჩაიგდეს ხელში. თვით მცირე აზია მრავალი ომიანობის გამო გაღარიბდა; ასე რომ ის, როგორც ეკონომიური ღირებულება, არაფერს არ წარმოადგენდა... ევროპის კაპიტალი კი ფართე ოპერაციებს აწარმოებდა. მას ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთის სხვა მდიდარ ქვეყნებთან სავაჭრო დამოკიდებულება უკვე ჰქონდა.

ზემოთქმულმა ისტორიულმა მოვლენებმა დააჩქარა ევროპასა და ინდოეთს შორის სხვა გზის აღმოჩენა. ეს გზა იყო აფრიკის გარშემო საზღვაო გზა ინდოეთისაკენ. ეს აღმოჩენა პორტუგალიის კაპიტალმა შესძლო.

ვენეციელებმა ინდოეთიდან სამიმოსვლო ხმელეთის გზა უფრო სამხრეთით გადასწიეს. ამით წინა აზიის ჩრდილოეთით

მდებარე ქალაქების მთელმა რიგმა დაჰკარგა მნიშვნელობა; მოხდა გადაჯგუფება სამხრეთისაკენ. კონსტანტინეპოლის მაგიერობას აწ უკვე ქ. ჰალეპო (სირიაშია) ეწეოდა. თავრიზის ადგილი ისპაჰანმა დაიჭირა და მალე იგი გახდა სპარსეთის პოლიტიკურ ცენტრადაც.

ამრიკად, მთელმა წინა აზიის ჩრდილო ნაწილმა დაჰკარგა ეკონომიური მნიშვნელობა და გაღარიბდა, ამან კი საქართველოს ეკონომიურ ვითარებაზედაც სავალალო გავლენა იქონია.

ამრიგად, ევროპა ამ დროს, მე-XV საუკუნეში, უკვე გართული იყო სხვა საქმეებით: აღმოაჩინეს ახალი გზები, ძველი გზების მთელი რიგის გადაჯგუფება მოხდა, აღმოჩენილ იქნა ახალი, საოცრად მდიდარი ქვეყანა—ამერიკა (1492 წ.), გაფართოვდა და განვითარდა ახალი მსოფლმხედველობა, მეცნიერება, ტეხნიკა და სხვა, ასე რომ ევროპის სავაჭრო კაპიტალმა დატოვა ძველი გზა და ახალ გზას დაადგა. ამ დროსთვის დასავლეთის კაპიტალმა „უარჰყო რომის პაპის „უცოდველობაც“. ამ ახალმა ფულის ტრიალმა პოლიტიკური ერთეულების გადაჯგუფებაც მოახდინა ევროპაში.

აი, რით იყო გართული მე-XV-ე საუკ. ევროპა. ქართველ პოლიტიკოსებს არცერთი ეს მოვლენა არ ჰქონდათ გათვალისწინებული და ისევ ძველებურად, „მამა-პაპურად“ გულუბრიყვილოდ მოელოდენ, ევროპა ისევ აუტეხს ოსმალებს ომს და ამით საქართველოს ეშველებაო. ამიტომაც ქართველების და რომის პაპის იმედი „წმინდა ადგილების“ და საქართველოს ურწმუნოებისაგან განთავისუფლების შესახებ უბრალო ბავშური ოცნება იყო, და ეს იდეაც ადვილად დაინგრა, როგორც სათამაშო ხუხულა.

საქართველოში ნგრევის პროცესი (განკერძოების პროცესი) დიდი ხნიდან იყო დაწყებული. 1459 წელს მესხეთის მთავარი ბურგუნდიის მთავარს სწერდა, ასეთი ზავი ჩვენ შო-

რის, როგორიც დღესაა, უკვე 50 წელია, რაც არ ყოფილაო. სწორედ ეს მხარე—მესხეთი—იყო, რომ საქართველოს მთლიანი სხეულის დაშლაში პირველი ადგილი დაიჭირა. მესხეთის მთავარი ისე გაძლიერდა, რომ 1466 წელს საქართველოს მეფე გიორგი ალექსანდრეს-ძე ტყვედ ჩაიგდო. ეს გიორგი იმერეთის მეფეს ბაგრატსაც ჩაუვარდა ხელში ტყვედ. მესხეთის ბატონი ამ დროს ევროპაში ცალკე დესპანებს აგზავნიდა, როგორც დამოუკიდებელი მეფე.

იმერეთი ჯერ თვით გამოეყო მთლიან საქართველოს და შემდეგ იმერეთის მეფემ ბაგრატმა ძლია სრულიად საქართველოს მეფე გიორგის და ამრიგად ბაგრატის ხელში ისევ გაერთიანდა იმერეთის და ქართლ-კახეთის სამეფოები.

მესხეთის შემდეგ მთლიან საქართველოს სამეგრელო-აფხაზეთი და გურია გამოეყო. ამის შემდეგ იმერ-ამერიც ხელახლა გამოეთიშა ერთმანეთს. მე-XV-ე საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის სამეფო ცალკე დაარსდა და მე-XIII-ე საუკუნიდან დაწყებული რღვევის პროცესი მე-XV-ე საუკუნის ბოლოში ამრიგად დასრულდა.

ოსმალეთის საერთოშორისო მდგომარეობა.

მე-XV—XVI-ე საუკუნეებში ოსმალეთის ძლიერება თანდათანობით იზრდებოდა. ის არ დაკმაყოფილდა კონსტანტინოპოლის აღებით; მან გაავრცელა თავისი ბატონობა შავი ზღვის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაპირებზე: აიღო ტრაპეზუნდი და კაფა (ფეოდოსია) და მოუახლოვდა საქართველოს საზღვრებს როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილო-დასავლეთიდანაც. ამგვარად ჩაიკეტა შავი ზღვა და მისი ერთადერთი მბრძანებელი და ბატონ-პატრონი ოსმალეთი გახდა. მანვე შეჰქმნა საკმაოდ ძლიერი ფლოტი და სამხედრო მოქმედება ხმელთაშუა ზღვაზე გადაიტანა. ოსმალეთი მიზნად კიდევ უფრო ფართო გეგმის განხორციელებას ისახავდა: მას უნდოდა დასავლეთ ევროპის შუაგულში შეჭრილიყო და მთელი ევროპა თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ამ მხრით ოსმალეთმა კიდევაც გადადგა ნაბიჯი და უნგრეთში შეიჭრა; ალყა შემოარტყა ქ. ვენას და იმპერატორმა მხოლოდ ხარკით იხსნა თავი (1526 წელს).

ოსმალეთის წინააღმდეგ მე-XV-ე საუკ. თუ არ შესდგა კოალიცია, მე-XVI-ე საუკუნეში მაინც, როდესაც ოსმალეთის წინსვლა ევროპის სახელმწიფოების ყოფნა-არყოფნის საკითხს შეეხო, უნდა შექმნილიყო ძალა, რომელიც ოსმალეთის ზრახვებს საზღვარს დაუდებდა.

მაგრამ მოლოდინი აქაც არ გამართლდა. ევროპის ეკონომიურად მოღონიერებული სახელმწიფოების—იტალიის,—პორტუგალიის და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების—ინტერესები ამაში ვერ შეთანხმდენ. იტალიის ქალაქების ინტერესები მოითხოვდენ ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის დაცვას და, მაშასადამე, ოსმალეთის დასუსტებას;

ხოლო პორტუგალია კი ინდოეთთან ვაჭრობის საწარმოებლად ამ გზას სრულებით არ საჭიროებდა, რადგანაც მის განკარგულებაში იყო უფრო მოხერხებული, ვასკო-დე-გამას მიერ აღმოჩენილი, საზღვაო გზა. პირიქით, პორტუგალიის კაპიტალი ცდილობდა, იტალიის ქალაქები ჩაეკეტა ხმელთაშუა ზღვაში და მით თავიდან მოეშორებია იტალიის სავაჭრო კაპიტალის მეტოქეობა ინდოეთში. ამგვარად, როგორც წინა თავში იყო ნათქვამი, იტალიის ქალაქმა ვენეციამ ალეპოზე გამვლელ ხმელეთის გზით გააძლიერა ვაჭრობა აღმოსავლეთთან. მან აქ მოკავშირეც გაიჩინა სპარსეთის სახით.

საქმე ის არის, რომ სპარსეთის არსებობას და ბატონობას აღმოსავლეთში ოსმალეთის გაძლიერება საფრთხეს უმზადებდა. ამ ორ სახელმწიფოს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა და მტრული განწყობილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მე-XVI-ე საუკუნის დამდეგს ოსმალეთსა და სპარსეთს შორის შეტაკებებიც კი ხდებოდა. ეს იყო დასაწყისი იმ დაუცხრომელი და განუწყვეტელი ომებისა, რომელიც წარმოებდა ამ ორ სახელმწიფოს შორის შემდეგ საუკუნეებში.

იტალიის ქალაქები (და განსაკუთრებით კი ვენეცია) ხელს უწყობდენ ოსმალეთს და სპარსეთს შორის დამოკიდებულების გამწვავებას; ისინი აქეზებდენ და ფულითაც ეხმარებოდენ სპარსეთს ოსმალეთთან ბრძოლაში და მით სურდათ ოტომანის იმპერიის დაუძლურება. ამ ორ ძალას შორის პირველობისათვის ჭიდილი საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან ხდებოდა. სულ მოკლე ხანში საქართველო ჩათრეულ იქნა ამ ომებში და სამხედრო მოქმედების ასპარეზად იქცა.

საქართველოს შინაური მდგომარეობა.

მე-XV-ე საუკუნის დასასრულიდან საქართველო ერთ მთლიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ოთხი მთავარი პოლიტიკური ერთეული: ქართ-

ლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო).

სრულიად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის ასე დაქსაქსვის მიზეზი იყო ის ეკონომიური უკანდახევა, რომელიც განიცადა საქართველომ მე-XIII—XIV—XV-ე საუკუნეებში. როგორც ზევით იყო ნათქვამი, აღნიშნულ საუკუნეებში საქართველო უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირში ჩავარდა. გარეშე ქვეყნებთან სააღებმიცემო და კულტურული ურთიერთობა შესწყდა. ფულის მეურნეობა თანდათანობით დაეცა. ამან შიგნით საქართველოში დაარღვია ეკონომიური მთლიანობა ცალკე კუთხეებს შორის. გარეშე მტრებთან წარმოებულ ომებისა და მრავალი სხვა უბედურობის გამო მოსახლეობა დიდად შემცირდა. ამგვარად დამყარდა ობიექტური პირობები ქვეყნის დაშლისა და დაქსაქსვისათვის. თუ მე-XII-ე საუკ.მსხვილ მემამულეთა და დიდგვარიან აზნაურთა აჯანყებებსა და განდგომებს სახელმწიფო შესაფერის პასუხს აძლევდა და ძირშივე სპობდა, ამ დროს ასეთი პირობები არ არსებობდა და ქვეყანამ ეკონომიურ მთლიანობასთან ერთად პოლიტიკური მთლიანობაც დაჰკარგა.

დაწყებული რღვევის პროცესი ქვეყნის ოთხ სამეფოდ ჩამოყალიბებაზე არ შეჩერებულა. დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს ჩამოსცილდა ოდიში (სამეგრელო) და გურია. დამოკიდებულება გართულდა აგრეთვე ქართლის სამეფოსა და ქსნისა და არაგვის საერისთაოებს შორის. ქვეყნის ასე დაკნინებამ და დაქსაქსვამ თავისდათავად წარმოშვა მეფე-მთავრებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა.

მსხილი მემამულეების უპასუხისმგებლო თარეში თვითეულ სამთავრო-სამეფოში გამდიდრებისა და განდიდების მიზნით, თვით სამთავრო-სამეფოებს შორისაც განუწყვეტელი ბრძოლა პირველობისა და გაბატონებისათვის,—აი, რა ახასიათებს ამ ხანას.

საქართველოს დამოკიდებულება სპარსეთსა და ოსმალეთთან.

მე-XVI-ე საუკუნეში დაიწყო საქართველოში სპარსელების და ოსმალების შემოსევები. სპარსელებისთვის საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება ბევრნაირად იყო ხელსაყრელი: პირველ ყოვლისა, დამპყრობელებს აქედან შეეძლოთ ნადავლ-ნაცარცვის გაზიდვა, მოსახლეობის დაბეგვრა და ტყვეების გაყვანა; სპარსეთი გამუდმებულ ომებს აწარმოებდა და ამისათვის მას სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა (ჯარი). ტყვეებისაგან სპარსეთის შაჰი ადგენდა ყულის (მსახურთა) ჯარს, რომელიც გარეშე ქვეყნების წინააღმდეგ საომრად გაჰყავდა, და აგრეთვე საიმედო ძალას წარმოადგენდა შინაური არეულობების დროს შაჰის ძალა-უფლების დასაცავად. მაგრამ ტყვეების შოვნა მშვიდობიანი გზით და უსასყიდლოდ შეუძლებელია; ამისათვის საჭიროა ომები, ქვეყნის აოხრება და მოსახლეობის ტყვედ წაყვანა. სწორედ ამ გზას დაადგენ სპარსელები საქართველოში. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ არბევდენ და აოხრებდენ სპარსელები საქართველოს და გაჰყავდათ აქედან ტყვედ მრავალი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები.

ოსმალეთიც ამ დროს დაპყრობითს ომებს აწარმოებდა. ის რკალივით შემოერტყა საქართველოს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან. სპარსეთის გაბატონება საქართველოში სრულებით არ იყო ხელსაყრელი ოსმალეთისათვის არც ეკონომიურად და არც პოლიტიკურად. მასთან ერთად, რაც ოსმალეთმა ბოსფორი ხელში ჩაიგდო და შავ ზღვაზე გაბატონდა, ის ცდილობდა აქ ვაჭრობისა და ტრანსპორტის საქმე თავის მონოპოლიად გაეხადა. ოსმალეთმა მოუსპო საშუალება იტალიის ქალაქებს, თავისი საქონელი უშუალოდ შემოეტანათ შავ ზღვაში და მის ნაპირებზე მდებარე ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა ეწარმოებიათ. ასეთ ზომებს ოსმალეთმა მიმართა იმიტომ, რომ ვენეციელებისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლისი

ნებართვის მიცემა დიდ ზიანს მოუტანდა ოსმალეთის ეკონომიურ განვითარებას: ვენეციელები კარგი მეზღვაურებიც იყვნენ და კარგი ვაჭრებიც; ამიტომ ოსმალეთის ქვეშევრდომი თურქები და ქრისტიანები მათ კონკურენციას ვერ გაუწევდენ და გაკოტრდებოდენ*)

მაგრამ ოსმალეთი მარტო ამით არ განსაზღვრავდა თავის გავლენას შავი ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებზე და განსაკუთრებით საქართველოზე: სულთანის მისწრაფება იყო საქართველოს პოლიტიკურად დამორჩილება და ეკონომიურად გაცარცვა. საერთოდ, მაჰმადიანი ქვეყნები, და განსაკუთრებით კი ოსმალეთი, ტყვეებისა და მონების შრომაზე**) ემყარებოდენ. ფართო დაპყრობებით გატაცებული ოსმალეთი ტყვეებით ავსებდა იანიჩართა ჯარს. ამიტომ ის დიდად ზრუნავდა მონების გამრავლებაზე და ყოველმხრით ხელს უწყობდა ისეთი პირობების შექმნას, რაც გაუადვილებდა მას მონებისა და ტყვეების შოვნას. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამ მხრით ფრიად ხელსაყრელია ომები, მეზობელი ქვეყნების აოხრება და გაღატაკება. ორივე სახელმწიფოს მიერ (სპარსეთი და ოსმალეთი) ასეთი საშუალებები მომარჯვებულ იქნა საქართველოს მიმართ.

ჩვენი ქვეყანა ამ თავდასხმებსა და ბრძოლებს პოლიტიკურად დაქსაქსული ხვდებოდა. მე-XVI-ე საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოს შემოესია სპარსეთის შაჰი ისმაილი მრავალრიცხოვანი ჯარით. ქართველებმა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებლად დაინახეს, რადგან ქართლის მეფეს დამოკიდებულება იმერეთთან და კახეთის თავად-აზნაურობასთან გამწვავებული ჰქონდა. ამიტომ დავით მეფემ არჩია, მტერს უბრძოლველად დამორჩილებოდა. სპარსელებმა დააკისრეს ქართლ-კახეთს ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმის გა-

*) Путешествие кавалера Шардена по Закавказью в 1672—1673 г.г. გვ. 13—14.

**) М. Покровский. Очерк истории русской культуры, часть I.

დახდა და ქართლ-კახეთი იძულებული შეიქნა, ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებია (1518 წ.).

ამავე დროს ოსმალეთი საქართველოსაკენ მოიწევდა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს უახლოვდებოდა.

მდგომარეობა რთულდებოდა აგრეთვე იმითაც, რომ საათაბაგოს მფლობელი მზად იყო ქართლისა და იმერეთის სამეფოებისაგან თავისი სრული დამოუკიდებულობის მოსაპოებლად და შესანარჩუნებლად ოსმალეთის მფარველობას და გავლენას შერიგებოდა. ოსმალეთის შემოსვლა საათაბაგოში დასავლეთ საქართველოსათვის მეტად სახიფათო იყო და ამიტომ იმერეთის მეფე ბაგრატ III საათაბაგო დაიპყრო, ხოლო ათაბაგი (ყვარყვარე) ტყვედ ხელში ჩაიგდო 1535 წ.

ამის საპასუხოდ ოსმალეთმა მე-XVI-ე საუკუნის ნახევარში დაიპყრო საათაბაგო, ციხეებში თავისი ჯარი ჩააყენა და თუმცა მართვა-გამგეობა ყვარყვარეს შვილს ქაიხოსროს ჩააბარა, მაგრამ ტაო, არტანუჯი და არტაანი თავისთვის დაიტოვა. ამის შემდეგ ოსმალეთს განზრახული ჰქონდა, მთელი საათაბაგო თავის უცილობელ სამფლობელოდ გამოეცხადებია. ამგვარად, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთის უშუალო გავლენის ქვეშ მოექცა. ოსმალეთის ასეთი დაპყრობითი პოლიტიკა აშკარა შეიქნა საათაბაგოსთვის და მან ორიენტაცია იცვალა.

აღმოსავლეთ საქართველოში ისევ სპარსელები განაგრძობდენ ბატონობას. ქართლ-კახეთის ბატონებმა სცადეს სპარსეთისაგან თავი გაეთავისუფლებიათ, და ქართლის მეფემ ლუარსაბმა სპარსეთს ხარკის ძლევა შეუწყვიტა; მაგრამ სპარსეთის ბატონი შაჰ-თამაზი შემოვიდა ტფილისში, გადასწვა ქალაქი, დახოცა მრავალი მცხოვრები, შიგ თავისი ჯარი ჩააყენა და დიდი ნადავლით და ტყვეებით დაბრუნდა უკან; ამის შემდეგ ქართლის მეფეებმა თავისი რეზიდენცია გორში გაიჩინეს. ამგვარად, საქართველოზე გარეშე მტრებს იერიში ორის მიმართულებით

მოჰქონდათ: სამხრეთ-დასავლეთიდან (ოსმალეთს) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (სპარსეთს).

ამ დროს ქართველ მეფე-მთავრებს შორის არ არსებობდა ერთი აზრი. სამცხის ათაბაგი, იმერეთის მეფე და კახეთი სპარსელების გავლენის ქვეშ არჩევდენ დარჩენას, ხოლო ქართლის მეფე ოსმალეთთან ეძებდა სპარსეთის წინააღმდეგ შველას. მაგრამ 1553 წელს სპარსეთი და ოსმალეთი შეთანხმდენ და ეს საკითხი საქართველოს მართველი წრეების დაუკითხავად გადასჭრეს. ამ სპარსეთ-ოსმალეთის შეთანხმების ძალით ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო სპარსეთის გავლენაში მოექცა, ხოლო იმერეთის სამეფო სადადიანო-საგურიელოიანა ოსმალეთის ბატონობას უნდა დამორჩილებოდა.

ბატონყმობა მე-XV—XVI—VII-ე საუკუნეებში.

ამ დროს ქართველი საზოგადო ბა წოდებებად იყო დაყოფილი. ყველაზე მაღლა დიდი მამულებისა და მრავალრიცხოვანი ყმების პატრონები—გავლენიანი თავადები—იდგენ, მერმე—აზნაურები, რომ ლთაც არც იმდენი მამული ჰქონდათ და არც იმდენი ყმა ჰყავდათ. სწორედ ამიტომ იდგენ ესენი თავის გავლენითა და მნიშვნელობით თავადებზე დაბლა. აზნაურებს მსახურთ წოდება მისდევდა, რომელსაც აზნაურებსა და გლეხებს შორის შუა დგილი ეჭირა. ასეთივე იერარქიული დამოკიდებულება არსებობდა სასულიერო წოდებაშიც. ყველაზე დაბლა, როგორც საზოგადოების საერო ნაწილში ისე სასულიერო უწყებაში, გლეხები იდგენ. გლეხების მდგომარეობა წინანდელთან შედარებით თანდათანობით გუარესდა: თუ წინანდელ დროში გლეხი პირადად თავისუფალი იყო და მემამულის სასარგებლოდ მას ევალებოდა მხოლოდ გადაწყვეტილი გადასახადების ძლევა და სამსახურის გაწევა, ამ დროს ერთი ნაწილი გლეხობისა უკვე პირად თავისუფლებას ჰკარგავს და ბატონის სრული ყმა ხდება. ამგვარად, გლეხობა ორ ჯგუფად გაიყო; მხოლოდ ნაწილი გლეხობისა დარჩა პირადად თავისუფალი—ეს იყო გლეხობის ის ნაწილი, რომელსაც თავისი საკუთარი ბინა შერჩა, ან თავისი საკუთარი მიწა არ ჰქონდა და მემამულის მიწაზე ცხოვრობდა, მაგრამ განსაზღვრულ გადასახადს აძლევდა მემამულეს და პირადად მაინც თავისუფალი იყო. ასეთ გლეხს შეეძლო, როდესაც სურდა, მაშინ გაეწყვიტა კავშირი მემამულესთან და წასულიყო. ის ყმები კი, რომლებმაც პირადი თავისუფლება დაჰკარგეს, ამგვარ უფლებას მოკლებული იყვნენ. ისინი ბატონის მიწაზე იყვნენ დაკრული და არ ჰქონდათ უფლება, ბატონის მამულს მოშორებოდენ.

რამ წარმოშვა ყმა, რომელსაც პირადი თავისუფლება დაკარგული ჰქონდა? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავიხსენოთ ის ეკონომიური გაჭირვება, რომელიც გამოიარა საქართველომ მე-XIII—XIV—XV-ე საუკ. ჩვენ ვნახეთ ზევით, რომ მამულების შემოსავალი იმ ხანაში გადასახადებს და ხარჯებს ვერ აუდიოდა. ამ დროს შრომის ნაყოფიერებაც ძალიან დაბლა იდგა და ამიტომ როგორც მსხვილი, აგრეთვე წვრილი მეურნეობაც ეცემოდა. აუარებელი მსხვილი და წვრილი მამული გაიყიდა. მრავალი ხალხი გაღატაკდა და მათ შორის განსაკუთრებით დიდი ნაწილი წვრილი გლეხობისა ულუკმაპუროდ დარჩა. აუარებელი მამული და ქონება ჩაიგდეს ხელში მევახშეებმა. გლეხობის უმრავლესობა იძულებული ხდებოდა, მდგომარეობის გამოსასწორებლად ვალები აეღო მევახშეებისაგან და დიდი %-ის გადახდა ეკისრნა კრედიტორის სასარგებლოდ; მაგრამ ვალის სწრაფი ზრდის გამო იგი ვერც ვალს იხდიდა და ვერც მის სარგებელს. ასეთი შეუძლო პირები პირად თავისუფლებას ჰკარგავდენ და მევალეების ყმები ხდებოდენ. მრავალი გაჭირვებული იძულებული ხდებოდა შვილი გაეყიდა, ან თავისი თავი მიეცა ლუკმაპურში შეძლებული მემამულისათვის. ამგვარად, ადამიანი გახდა ცოცხალი საქონელი და ბატონის ყურმოჭრილი მონა; მემამულემ ის თავის მიწაზე დაასახლა და ზედ დაამაგრა.

მე-XV-ე საუკუნეში აღბულას *) სამართალმა ყმა ბატონის საკუთრებად აღიარა და ცხოვრების მიერ შექმნილი მდგომარეობა კანონად აქცია. ყმა უფლებრივად შევიწროვდა და ბატონის ნებადაურთველად სულ მცირე პირობითაც ვერავის შეეკვროდა. ბატონები მეტად აწუხებდენ და ავიწროებდენ ყმებს. ამიტომ ხშირად ყმები გარბოდენ, რათა ამ სატანჯველისათვის თავი დაეხწიათ. მაგრამ გაქცეულ ყმას თუ ბატონი იპოვნიდა, უფლება ჰქონდა უკან მოეყვანა. ყმას მხოლოდ

*) აღბულა იყო სამცხის ათაბაგი; ცხოვრობდა მე-XV-ე საუკ.

ერთადერთი მოჩვენებითი ნუგეში-ღა დარჩენოდა: შეეძლო შვიდ წელს ჩუმად შეჰფარებოდა სხვას, ან ოცდაათს წელიწადს სადმე შორს, „სადაც მიწდომა ძნელია“, გადაკარგულიყო და მაშინ სამუდამოდ გათავისუფლდებოდა ბატონისაგან. ყმის წასვლას და გაქცევას ხშირად იხსენიებს აღბუღა თავის სამართალში და ეს აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ ამ დროს ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავებულა. ამ მხრით კანონმდებლობის ჩარევა ყმასა და ბატონს შორის დამოკიდებულებაში, წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებისა, ყმის სასარგებლოდ კი არ სწყვეტდა საკითხს, არამედ მემამულეებისა და ბატონების ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად. აღბუღას სამართალი შვიდი და ოცდაათი წლობით გადაკარგვის შემდეგ ათავისუფლებდა ყმას, მაგრამ ეს ისეთი დიდი ვადაა, რომ ყმას არსებითად საშუალება ესპობოდა, ამ გზით დაეხწია თავი უნუგეშო მდგომარეობისათვის. ბატონისა და კანონის მიერ ქონებრივად და უფლებრივად შეზღუდული ყმები იძულებული ხდებოდენ, აშკარა წინააღმდეგობა გაეწიათ ბატონებისათვის. ჩვენ ზემოთ გვქონდა მოყვანილი ცნობა, რომ როდესაც მემამულეებს ყმებისთვის მე-XV-ე საუკუნეში გადასახადები გაუდიდებიათ, მოთმინებიდან გამოსული და ილაჯგაწყვეტილი გლეხები ამოძრავებულან და აშკარა წინააღმდეგობა გაუწევიათ მემამულეებისათვის ასეთი უზომო და უსამართლო ყვლეფის გამო. წყაროებიდან არა სჩანს, ჰქონდა თუ არა ადგილი ყმების მხრით ასეთ ფართო წინააღმდეგობას სხვა დროსაც, მაგრამ, სამაგიეროდ, მოიპოვება ცნობები, რომ თავმობეზრებული და მოთმინებიდან გამოსული ყმა-გლეხი ბატონს სცემდა და ჰკლავდა კიდევაც. კანონი ასეთ დამნაშავეს სასტიკად სჯიდა.

მე-XVI—XVII-ე საუკუნეებში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა; თავისუფალი გლეხების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და მის ხარჯზე ყმების რიცხვი გაიზარდა.

ყმები ჰყავდათ კერძო ბატონებს, მეფეს (სახასო ყმანი) და ეკლესია-მონასტრებს. ეკლესია ყმებით და მამულებით მდი-

დარი იყო, რადგანაც „ცოდვილნი მებატონენი“ „სულის საცხონებლად“ არ იშურებდენ ეკლესიისათვის ყმებისა და მამულების შეწირვას. ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში საბატონო ყმები იყვნენ. მათ უნდა ეხადათ საბატონო, სახასო (სამეფო) და საეკლესიო გადასახადი.

საბატონო ყმებზე უკეთეს მდგომარეობაში სახასო ყმები იყვნენ: სახასო ყმებს უნდა ეხადათ სამეფო და საეკლესიო გადასახადი. საეკლესო ყმებს კი თითქმის არ ეხებოდათ არც საბატონო და არც სახასო გადასახადი, გარდა ლაშქარ-ნადირობისა და საურისა *). ამიტომ ისინი, საბატონო და სახასო ყმებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ.

საბატონო, სახასო (სამეფო) და საეკლესიო ყმების გადასახადები და ვალდებულებანი.

I. საბატონო ყმების გადასახადები და ვალდებულებანი.

ყმა ორნაირად ემსახურებოდა ბატონს: იგი ბატონს უწევდა ქონებრივს და პიროვნულ სამსახურს. მიწით სარგებლობისათვის მას უნდა გადაეხადა ღალა, დაახლოვებით $^1/_4$—$^1/_5$ მოსავლისა სარწყავ მიწაზე, $^1/_7$-დი—ურწყავზე. კულუხი **) ბატონს $^1/_4$ მიჰქონდა; ხშირად მხოლოდ ერთი მეხუთედიც გამოურთმევიათ. ყმები გადასახადს აძლევდენ ბატონებს პირუტყვებზედაც: დიდ სოფელს წელიწადში ხარი უნდა გადაეხადა, საშუალოს—ძროხა, პატარა სოფელს—გამოზამთრული და სხვა. საძოვრებისთვის ასზე სამი ბატკნიანი ცხვარი უნდა ეძლიათ ბატონისათვის. იყო ფუტკრის და სხვა გადასახადებიც.

პიროვნულ სამსახურს შეადგენდა ბეგარა, რომელიც გადაწყვეტილი არ იყო. ხშირად ბატონი ამუშავებდა ყმას იმდენს, რამდენიც სურდა. ყმას ბატონისთვის საჭიროების დროს

*) საური იყო საკომლო გადასახადი.

**) კულუხი—ღვინის გადასახადია.

უნდა მიერთმია ურემი. დაწესებული იყო ძღვენი: სააღდგომოდ ბატკანი; ბატონს და მის მხლებელებს ყმა უნდა გამასპინძლებოდა, როგორც კი ისინი ესტუმრებოდენ. ყმას ევალებოდა გზის კეთება და გასწორება. ბატონი რომ მოკვდებოდა, ყმას უნდა გაეღო თავისი წვლილი მის დასამარხავად.

ვინ ჩამოთვლის იმას, თუ როგორ იყო ყმა დაბეგრილი ბატონის მიერ! არცერთი დარგი მეურნეობისა, ყმის შრომის არცერთი ნაყოფი არ რჩებოდა ისე, რომ მას ბატონის ხელი არ შეხებოდა. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფულით გადასახადი თითქმის არ სჩანს, ან, თუ სადმე იყო, ძალიან იშვიათად; ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მე-XVI—XVII-ე საუკუნეებში საქართველოში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა. ოჯახის მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს როგორც ყმა-გლეხი, ისე მისი ბატონი ადგილობრივი, ოჯახში დამზადებული ნაწარმოებით იკმაყოფილებდენ. ვაჭრობა დაცემული იყო და ძალიან იშვიათად იძენდენ საჭირო საგნებს ფულის საშუალებით.

გარდა ბატონის გადასახადისა, საბატონო ყმას აწვა სამეფო გადასახადი და სამსახური. მეფის სასარგებლოდ საბატონო ყმას უნდა ეძლია ღალაც, საბალახოც, ღორების, ცხენების და ცხვრების პირისთავიც. აგრეთვე „ლაშკარ-ნადირობა არც ერთს არ დააკლდების, უნდა ქნას, თუ ხემწიფემ არ გაათარხნა“ *). ამდენი იყო გადასახადი ბატონისა და მეფის სასარგებლოდ, მაგრამ მას ემატებოდა აგრეთვე ხარჯი ეკლესიისა და მოხელეების შესანახად.

საეკლესიო გადასახადზე „არ გაგონილა, რომ ყმამ უარი სთქვას“. აქა-იქ გადასახადს ყმა იხდიდა ფულის სახითაც— მოხელეთა შესანახად.

მაგრამ ყველაფერი ამით არ თავდება. არსებობდა არაპირდაპირი გადასახადიც: ბაჟი მარილზე, თევზზე, ქონზე და

*) გათარხნება — გათავისუფლება.

სხვა. აქ ჩამოთვლილი გადასახადები სრული არ არის; გადასახადები რიცხვით 120-ს აღემატებოდა, მაგრამ მეტის აქ ჩამოთვლა უადგილო იქნებოდა, რადგანაც ზემომოყვანილიდანაც შეუძლია მკითხველს წარმოიდგინოს საბატონო ყმის მაშინდელი მდგომარეობა.

II. სახასო ყმები.

სახასო ყმებს უნდა გადაეხადათ მალი, ღალა, კულუხი. სოფელს (დაახლოებით 100 კომლისაგან შემდგარს) უნდა მიეცა საშობოდ—18 ცხვარი, სააღდგომოდ—18 და სხვა. ლაშქრობა-ნადირობასაც ვერ გაექცეოდენ ყმები. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ის გადასახადები, რომელიც ჩვენ ჩამოვთვალეთ საბატონო ყმების განხილვის დროს, სახასო ყმებსაც ეხებოდათ; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სახასო ყმები მარტო მეფეს ემსახურებოდენ, ხოლო საბატონო კი—ბატონებსაც, მეფესაც და ეკლესიასაც.

III. საეკლესიო ყმები.

საეკლესიო ყმასაც იგივე გადასახადი ედო, რაც საბატონოსა და სახასოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საეკლესიო ყმებისთვის ყოველთვის სავალდებულო არ იყო, ბატონისა და მეფისთვის გადასახადი ეძლია.

ძირითად გადასახადს აქაც შეადგენდა ღალა—$^1/_5$, კულუხი—$^1/_3$, მუშაობა ეკლესიის ვენახში, საბალახო—ცხვარი აღდგომას, მდიდარი ძღვენი და სხვა. ლაშქრობა-ნადირობა არც ამათ დააკლდებოდათ.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საეკლესიო ყმები სახასო და საბატონო ყმებზე უკეთეს პირობებში იყვნენ, მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეკლესია თავის ყმებს შელავათიანად

იმიტომ ეპყრობოდა, რომ სასულიერო წოდებას კაცთმოყვარეობა და ყმებისადმი სიბრალული ამოქმედებდა. ფრანგი მოგზაური შევალიე შარდენი (მოიარა საქართველო 1672—3 წლ.) და არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობენ სასულიერო წოდების „საგმირო საქმეებს“ საქართველოში: ეკლესიის წარმომადგენელნი და „ზეციერი მამის მოციქულნი“ ტყავს აძრობდენ ისედაც გაღატაკებულ და განადგურებულ მშრომელ მოსახლეობას. ზემომოყვანილ ცნობებიდანაც აშკარაა, რომ სასულიერო წოდება მარტო საეკლესიო ყმებით არ კმაყოფილდებოდა და სრულიად გაძვალტყავებული ყმების ნაოფლარის მითვისებაზედაც უარს არ ამბობდა. ამას ჩადიოდა ის სასულიერო წოდება, რომელსაც სიმდიდრით და ქონებით ვერც თავად-აზნაურობა და თითქმის ვერც მეფე ვერ შეედრებოდა.

ხშირად მეფე ათავისუფლებდა ვალდებულებათა და გადასახადებისგან როგორც თავისას, აგრეთვე საეკლესიო ყმებსაც. მაგრამ ეს გათავისუფლება ყმების ინტერესების დაცვას სრულიადაც არ ისახავდა მიზნად.

მაშ, რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა?

პირველ ყოვლისა, მეფე ან თავის ყმას სწირავდა ეკლესიას, ან საეკლესიო ყმას ათავისუფლებდა გადასახადებისაგან „სააღაპოდ“. მეფის მიერ „გათავისუფლებულს“ და შეწირულ ყმას თვით მეფე უნიშნავდა, რა უნდა მიეტანა მას აღაპზე. ერთ-ერთი დედოფლის ბრძანებით, სამეფო გადასახადებისაგან „გათავისუფლებულს“ საეკლესიო ყმებს, ერთი ეკლესიის შემავალთ, აღაპზე უნდა მიეტანათ: ორი ცხვარი, ერთი ხარი, სამი კოდი პური, ოთხი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი, ერთი ლიტრა ყველი, ერთი ლიტრა სანთელი, ჩარექი საკმელი და სხვა. *) დაწვრილებით ჩამოთვლილი იყო რიცხვი და რაოდენობა შესაწირავისა. ამგვარად, მეფე თითქოს თავის მხრით ათავისუფლებდა ყმებს ვალდებულებათგან, მაგრამ იმა-

*) ა. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. გვ. 108.

ვე დროს ავალებდა მათ, იგივე გადასახადი ეკლესიაში მიეტანათ, რათა ეპისკოპოსს კარგად ელოცა მისთვის. რასაც ყმები აქამდის მეფისთვის იხდიდენ, ამ დროიდან ეკლესიას მიჰქონდა; ამგვარად ორი საქმე კეთდებოდა: დედოფალიც დალოცვილი იყო და სასულიერო წოდებაც მაძღარი, ხოლო ყმების მდგომარეობა კი არსებითად იგივე რჩებოდა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, საბატონო ყმებს სამსახური უნდა გაეწიათ და გადასახადი ეხადათ არა მარტო თვითონ ბატონის სასარგებლოდ, არამედ მეფისა და ეკლესიისათვისაც. ხშირად როგორც მეფე, ისე ეკლესიაც ათავისუფლებდა თავის ყმებს ზოგიერთი გადასახადებისაგან, მაგრამ საბატონო ყმებს კი ამ მხრით ისინი ხელუხლებლად სტოვებდენ და მათგან ყველა ვალდებულებების შესრულებას მოითხოვდენ. ამგვარი პოლიტიკის წარმოებით მათ სურდათ ერთმანეთის ყმების გადაბირება, რადგანაც სიმდიდრის და ძლიერების ერთადერთი წყარო ყმების სიმრავლე იყო. ამ მხრით კერძო ბატონსა, ეკლესიასა და მეფეს შორის ინტერესთა დიდი წინააღმდეგობა და და მეტოქეობა იყო.

მეტი შესაძლებლობა თავისი მისწრაფების განხორციელებისა ჰქონდათ სახემწიფოს და ეკლესიას. თავის ყმების გასამრავლებლად მეფემ მიიღო მთელი რიგი ზომებისა.

ყმა, რომელიც ექვს წელიწადს დაემალებოდა თავის ბატონს, ხელმწიფის ყმად ხდებოდა. რადგანაც სახასო (სამეფო) ყმების მდგომარეობა რამოდენიმედ მაინც უკეთესი იყო საბატონო ყმების მდგომარეობაზე, ყმების გადმობირებაც ადვილი შეიქნა.

ჩვეულებით მიღებული იყო, რომ უკანონო შვილი ხდებოდა იმ ეკლესიის ყმად, რომლის მიწაწყალზედაც ის დაიბადა; სახემწიფომ დაარღვია ეს ჩვეულება და სრული უფლება მიანიჭა უკანონო გლეხის შვილს, გადასულიყო სახასო ყმად.

მეფე აგრეთვე ცდილობდა, ესარგებლა ყოველგვარი შემთხვევით, რომ უკან წაერთმია მებატონისათვის ნაბოძები ყმები. მეფის

შვილმა გიორგიმ ანდრონიკაშვილს წაართვა ყმა პეტრიაშვილი, რომლის ქალი გაუპატიურებულ იქნა ბატონისაგან. პეტრიაშვილი გადმოასახლეს სახელმწიფო მამულზე.

მეფეს და სახელმწიფოს არც ეკლესია ჩამორჩა. ის განზრახ უქმნიდა შედარებით უფრო შეღავათიან პირობებს თავის ყმებს და ათავისუფლებდა მათ ზოგიერთი გადასახადისაგან. ამან გამოიწვია გლეხების ლტოლვა საეკლესიო მამულისაკენ. სასულიერო წოდება ამის გამო თანდათან განდიდდა, გაძლიერდა; ის ომების დროს ხშირად მისი ყმებისაგან შემდგარ ჯარს სარდლობასაც კი უწევდა. საქართველოს საეპისკოპო განსაკუთრებულს ფეოდალურ დაწესებულებას წარმოადგენდა: „სულიერს მწყემს“ საეკლესიო გამგეობას გარდა სახორციელო მართველობაც ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც მთავარსა და ერისთავს. ეკლესიამ თავისი „კრულ, შეჩვენებულ და წყეულ იყავნ“ არ იკმარა, ხორცის ბატონობაც დაიჩემა და სააქაო დიდება და ბატონობა არ უარჰყო.

მეურნეობის დაცემა და ტყვეებით ვაჭრობა.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ საქართველოში თანდათანობით განმტკიცდა ნატურალური მეურნეობა. ფულის ტრიალი ძალიან იშვიათი იყო; ადგილი ჰქონდა მხოლოდ ნატურალურ ცვლას. გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა მხოლოდ ბაზრობაზე, რომელიც სხვადასხვა ადგილას ეწყობოდა. ფული შემოჰქონდათ უფრო სომეხ და სხვა ვაჭრებს. ფულს უმთავრესად ხმარობდენ დასამატად, როცა ერთი საქონელი მეორეს არ უთანასწორდებოდა ფასში.

მაღალი წოდება უდიდეს ნაწილს თავისი მოთხოვნილებისას ყმებისაგან შემოსული გადასახადებით იკმაყოფილებდა. ბატონების სიმდიდრე დამოკიდებული იყო ყმების სიმრავლეზე და მათს ექსპლოატაციაზე. თვითეული ყმა ვალდებული იყო ერჩინა თავისი ბატონი ორი-სამი დღე წელიწადში. ამიტომ

ბატონები თითქმის მთელი წლის განმავლობაში სტუმრად დადიოდენ და თან დაჰყავდათ ცოლ-შვილი და ზოგჯერ უცხო პირებიც. მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ხალხში შრომის ნაყოფიერებამ იკლო და მასთან მეურნეობაც დაეცა. ხალხში ზედმეტი ნაწარმოები ან სულ არ გროვდებოდა, ან ძალიან ცოტა იყო და ისიც მემამულეს მიჰქონდა. ამგვარად, უმეტეს შემთხვევაში, გლეხი, სოფლის მეურნე მოკლებული იყო საშუალებას, მეურნეობისათვის საჭირო იარაღები და სამუშაო ძალა (ხარი) შეეძინა, თუკი მას ასეთი დასჭირდებოდა. ასეთ მდგომარეობას უცხოელების შემოსევები და ადგილობრივ მემამულეებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო აღრმავებდა. დაუცხრომელმა ომებმა მოათავა ის, რაც ადგილობრივ ბატონების მცარცველობას გადაურჩა.

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც მდგომარეობა თითქმის ერთნაირად ყალიბდებოდა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ დასავლეთი საქართველო გეოგრაფიულად ზღვისპირული ქვეყანაა, ხოლო აღმოსავლეთი კი არა. ზღვა აღებმიცემასა და გაცვლა-გამოცვლას ხელს უწყობს. თუმცა შავი ზღვა ოსმალეთის ხელში გადავიდა და ევროპელებს მოესპოთ საშუალება, თავისუფალი მიმოსვლა ეწარმოებიათ საქართველოსთან, მაგრამ ახლა თვით ოსმალეთმა აიღო ვაჭრობისა და აღებმიცემობის საქმე ხელში. მას მოჰქონდა ევროპის ვაჭრებისაგან შეძენილი საქონელი,—ხშირად თავის ნაწარმოებიც,—და გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ქვეყნებთან.

საქართველო ამ დროს უმთავრესად ნედლი მასალის ქვეყანა იყო. მართალია, აქაც მზადდებოდა სელისა და აბრეშუმის ქსოვილები და ზოგიერთი სხვა საგნები, მაგრამ ამას ქვეყნის ეკონომიური წინსვლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ სამეურნეო იარაღები და სხვა საჭირო საგნები მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მაღალ წოდებას, უცხოეთიდან უნდა მიეღო.

ოსმალეთის გემებს მოჰქონდათ კონსტანტინოპოლიდან და კაფიდან *) უნაგირები, რომლის დიდი მოთხოვნილება იყო საქართველოში, მარილი, თევზი, ხიზილალა, ქონი, მატყლი, სპილენძის ჭურჭელი და რკინის იარაღი, მიწათმოქმედების იარაღები, ქსოვილები (შალისა და ტილოსი) ყველა ფერისა, ტანისამოსი, საბანი, ჩექმები, საფთიაქო და სამკურნალო საქონელი და სხვა. ვაჭრებისაგან საქონელს დასავლეთ საქართველოში გაცვლის საშუალებით იძენდენ. ვაჭრებს მიჰქონდათ გურია—სამეგრელო—იმერეთიდან თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილოს ქსოვილები, ძაფი, აბრეშუმი, ხარის, კვერნის და წავის ტყავი, სელის თესლი და ბზის ხეები.

მაგრამ, რადგანაც შრომის ნაყოფიერება და მეურნეობა დაცემული იყო, მოსახლეობა თავის ნაწარმოების საშუალებით ვერ იძენდა უცხოეთიდან შემოტანილ ყველა საჭირო საგნებს. ამის გამო მემამულეებმა და თავად-აზნაურობამ ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობა გააჩაღეს.

საქმე ის არის, რომ საერთოდ აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნები (და მათ რიცხვში ოსმალეთიც) მონების შრომაზე ემყარებოდენ. ეს ქვეყნები უძველესი დროიდან აწარმოებდენ ცოცხალი საქონლით ვაჭრობას. მე-XVI-ე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მე-XVIII-ე საუკუნის დასასრულამდე, უმთავრესად მონებისა და ტყვეების მიმწოდებელი იყო საქართველო და შავი ზღვის პირად მდებარე ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

ტყვეებით ვაჭრობა საშუალებას აძლევდა ქართველ წარჩინებულ წოდებას, შეეძინა უცხოელი ვაჭრებისაგან ფუფუნებისა და აუცილებელი მოთხოვნილების სხვადასხვა საგნები. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები მოშლილი და დაცემული იყო; ასე რომ გლეხისა და ყმის შრომა ვერ იძლეოდა ბატონების დასაკმაყოფილებელად საკმარის ნა-

*) კაფა—ფეოდოსია.

ყოფს. ტყვეებით და ყმებით ვაჭრობა გაძლიერდა. ამრიგად, დოვლათისა და სიმდიდრის შემქნელი ელემენტი თვით იქცა საქონლად და ამით კიდევ უფრო გამოეთხარა ძირი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას. თვით მეფე-მთავრებს შორის ბრძოლის მთავარი მიზეზი ტყვეების შეძენა იყო. თუმცა ასეთი ბრძოლა სამეურნეო წარმატებას წინ ეღობებოდა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ ისპობოდა, რადგანაც ტყვეებით ვაჭრობა დიდ სარგებლობას იძლეოდა.

დასავლეთ საქართველოში მრავალცოლიანობაც კი გავრცელდა, რომელსაც იმით ამართლებდენ და ხსნიდენ, რომ ბავშების გაყიდვა, და საჭმელსა და ტანსაცმელში გაცვლა შეიძლებოდა. *) ამგვარად, ზნეობა-მორალი ეკონომიური ინტერესების ბრძანებას დაემორჩილა.

სამეგრელოს ნავსადგურებზე მოედნები იყო. ამ მოედნებზე საქონლის საწყობი და ვაჭრების სადგომი ფაცხები იყო გაკეთებული. აქ თითქმის ყოველთვის ეყარენ ჯაჭვით ერთმანეთზე მიკრული სხვადასხვა ასაკისა და სქესის ტყვეები.

შინაური არეულობა და მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა მეტად ხელსაყრელი იყო ოსმალო ვაჭრებისათვის. მაგალითად, მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის ატეხილი ომი დიდ მოგებას აძლევდა ოსმალეთის ვაჭრებს: აფხაზებს მოჰყავდათ ტყვეები და მოჰქონდათ ნაცარცვი საქონელი, რომელსაც მათგან ოსმალო ვაჭრები ყიდულობდენ. ეს ვაჭრები სამეგრელოში, გურიაში და აფხაზეთში ნაყიდ საქონელს და ტყვეებს თავის ქვეყანაში სამოთხჯერ მეტ ფასად ჰყიდდენ.

მე-XVII-ე საუკუნეში გურიიდან მიჰყავდათ ოსმალეთში დაახლოვებით 10,000—12,000 სული ტყვე წლიურად. ამდენივე გადიოდა სამეგრელოდანაც. ყოველწლიურად 3000 ტყვე

*) არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა.

მიდიოდა ოსმალეთის გემით კონსტანტინეპოლში. მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში მონების რიცხვი ისე გამრავლდა



სურ. № 20. გორი მე-XVII-ე საუკუნეში.

და ტყვეებით ვაჭრობა ისე გაბშირდა, რომ მათი ფასი ძლიერ დაეცა. 25—40 წლის მამაკაცი ღირდა მაშინდელ ფულზე

დაახლოვებით 9 მანეთად*), ახალგაზრდა ქალი 13—18 წლისა— 7 მან. და ერთი აბაზად. ახალგაზრდები მიჰყავდათ ოსმალებს იანიჩართა ჯარში, ზოგს კი ამუშავებდენ გემებზე და სხვაგან. ლამაზი ქალები მიჰყავდათ ჰარამხანებში, სხვებს კი იყენებდენ სხვადასხვა სამუშაოზე.

სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესები აღმოსავლეთ საქართველოში და მათი შემოსევები.

მე-XVI-ე ს. პირველ ნახევარში ოსმალეთისა და სპარსეთის მხრით მოტანილი იერიშები იყო დასაწყისი იმ დიდი და საქართველოსთვის გამანადგურებელი ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა მთელი მე-XVI—XVII—XVIII-ე საუკუნეების განმავლობაში. ოსმალეთი და სპარსეთი საქართველოში თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდენ.

თვით საქართველოს შინაური დაქსაქსვა და მეფე-მთავრებსა და მსხვილ მემამულეებს შორის მეტოქეობა და თავისი წოდებრივი და პირადი ინტერესებისათვის დაუცხრომელი ბრძოლა უადვილებდა გარეშე ძალებს ქვეყნის ეკონომიურად და პოლიტიკურად დამორჩილებას. ერთი სამეფოს ან სამთავროს გაძლიერება სხვების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და მათი მხრით შესაფერისი ზომების მიღებას იწვევდა. მაგალითად. რომელიმე გაძლიერებული სამთავროს წინააღმდეგ სხვები ერთიანდებოდენ, ან უცხო ძალებს იწვევდენ ქვეყნის შინაურ საქმეებში გასარევად.

ოსმალეთიც და სპარსეთიც ხელს უწყობდენ საქართველოში მდგომარეობის გართულებას, აომებდენ ქართველ მეფე-

*) ეს ცნობები ამოღებულია შარდენის წიგნიდან „Путешествие“... იმის ცნობებით, ტყვე მამაკაცი 25—40 წლამდე 15 ეკიუდ იყიდებოდა, რაც უდრიდა 9 მანეთს. აგრეთვე ახალგაზრდა ლამაზი ქალი ღირდა 12 ეკიუდ. (ეკიუ უდრიდა 60 კაპეიკს.)

მთავრებს ერთმანეთთან და ამით ანადგურებინებდენ და აოხრებინებდენ მათ თავისივე სამფლობელოებს. ტფილისი, გორი, ახალციხე და სხვა ქალაქები და ციხე-სიმაგრეები ამ დროს ხან ოსმალეთის იანიჩარებისა და ხან სპარსეთის ჯარის ხელში გადადის.

თუ რომელიმე სამთავრო თავის დამოკიდებულების დაცვას მოინდომებდა და ოსმალეთის ან სპარსეთის გავლენას და ბატონობას არ დაემორჩილებოდა (ხარკის ძლევას და ტყვეების გზავნას შეუწყვეტდა), ისინი მრავალრიცხოვანი ჯარით შეიჭრებოდენ ქვეყნის შუაგულში, ამოხოცავდენ ხალხს, გაცარცვავდენ ქვეყანას, აყრიდენ მოსახლეობას და სპარსეთში, ან ოსმალეთში გადაასახლებდენ.

უთვალავი შემოსევისა და აოხრების სანიმუშოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

მე-XVI-ე საუკუნის მეორე ნახევარში, შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში სხვადასხვა უზურპატორებს შორის, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, დაიწყო არეულობა. ამავე დროს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა სპარსეთს და ხელში ჩაიგდო სპარსეთის მფარველობისა და ბატონობის ქვეშ მყოფი ეკონომიური და სტრატეგიული ცენტრები: თავრიზი, ერევანი, გორი, ტფილისი და თითქმის მთელი აზერბეიჯანი. ოსმალეთმა ტფილისის გამგედ დანიშნა ოსმალო ფაშა და ქალაქში 1000 ჯარისკაცი ჩააყენა. ამგვარად, ტფილისში მართვა-გამგეობის საქმე ხელში ჩაიგდო ოსმალეთის წარმომადგენელმა და მართველობის შინაურ საქმეებშიც ჩაერია.

ოსმალეთი ამ დროს ძლიერი იყო და ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ანვითარებდა თავის სახელმწიფოში. მას სჭირდებოდა მოხერხებული სავაჭრო ცენტრები, რათა საქონელი შემოეტანა და ადგილობრივ ნაწარმოებზე გაეცვალა.

არზრუმიდან, რომელიც იმ დროს ოსმალეთის ხელში იყო, საქართველოში მოდიოდა ორი გზა: ერთი — ყარსით, მეორე —

არტაანით. ამ გზებზე ტფილისსა და არტაანს შორის დადიოდენ ვაჭრები ქარავნებით. ოსმალეთის ინტერესები მოითხოვდა, დაპყრობილ ადგილებში, და ამ შემთხვევაში კი ტფილისშიც, მართვა-გამგეობა და პოლიტიკური ძალა-უფლებაც ხელში ჩაეგდო, რათა მიმოსვლისა და ვაჭრობის საქმე უფრო თავისუფლად და მოხერხებულად ეწარმოებია.

ქართლის მეფე სვიმონი ამ დროს სპარსეთში იმყოფებოდა. სპარსელებმა მას მისცეს დიდძალი საჩუქრები, ცხრაათასი თუმანი ფულად, გამოაყოლეს წინა ომების დროს სპარსეთში ტყვედ წაყვანილი ქართველები და გამოისტუმრეს ქართლში. სვიმონმა გააჩაღა ბრძოლა ტფილისის ასაღებად ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო. ოსმალების ბატონობა თავრიზში, ერევანში, განჯაში, ტფილისში და სხვა დაპყრობილ ადგილებში რამოდენიმე ათეული წლები გაგრძელდა.

ამავე დროს სპარსეთი ძლიერდებოდა, ვაჭრობა და, საერთოდ, მისი ეკონომიური განვითარება ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ. სპარსი ვაჭრების და ბატონების ინტერესები მოითხოვდენ დაკარგული ქვეყნების და ქალაქების ოსმალეთის ხელიდან გამოგლეჯას. მე-XVII-ე საუკუნის დამდეგს შაჰ-აბაზ I ომი გამოუცხადა ოსმალეთს, დაიბრუნა თავრიზი, ერევანი, განჯა, ტფილისი და სხვა ქვეყნები. ტფილისში მან დანიშნა სპარსი ციხის უფროსი, ხოლო ქართლის მეფის (ლუარსაბ II) და შეირთო ცოლად. სპარსელები ცდილობდენ, გავლენიანი ქართველების გამაჰმადიანებისა და მათთან დამოყვრების საშუალებით თავისი ერთგული წრეები გაეჩინათ საქართველოში და მით სპარსეთის გავლენა და ბატონობა განემტკიცებიათ. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ნათესაობა და მეგობრობა ვერ გადასწყვეტს ქვეყნის არსებობის, მისი ბედ-იღბლის საკითხს.

კახეთისა და ქართლის სამეფოების მიზანი და მისწრაფება იყო სპარსეთისა და ოსმალეთის მცარცველური და გამანადგურებელი ბატონობისაგან თავის გათავისუფლება. მე-XVII-ე



სურ. № 21. ტფილისი მე-XVII-ე საუკუნეში.

საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიზნით საქართველო ცდილობდა რუსეთთან კავშირის გაბმას და მის მფარველობაში შესვლას. რუსეთს საქართველოზე უშუალო გავლენის მოპოვების სურვილი დიდი ჰქონდა, მაგრამ შესაძლებლობა კი იმდენი არა, რადგანაც რუსეთში სავაჭრო კაპიტალს მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა და იმდენად არ იყო განვითარებული, რომ საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში მას ვაჭრობა გაეჩაღებია. რუსეთსა და კახეთს შორის ხელშეკრულება მაინც დაიდვა. ამ ხელშეკრულების ძალით, რუსეთს კახეთისათვის მფარველობა უნდა გაეწია, ხოლო თავის მხრით კახეთს რუსეთისათვის ხარკი უნდა ეძლია. მაგრამ დადებული ხელშეკრულება მხოლოდ სიტყვად დარჩა.

ქართლ-კახეთი სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ იყო და კახეთს მეფე თეიმურაზი ქართლის მეფე ლუარსაბ მე-II-ეს კავშირით შეეკრა—საერთო ძალებით ქვეყნის დაცვის მიზნით. სპარსეთი მშვენივრად გრძნობდა, რომ საქართველოში მისი მდგომარეობა გართულების გზას ადგა. ამიტომ სპარსეთის ბატონმა შაჰ-აბაზმა დაივიწყა ქართველ მეფეებთან ნათესაობა და გადასწვიტა, ბოლო მოეღო ქართლ-კახეთისთვის.

შაჰ-აბაზის გეგმაში შედიოდა, რა ფასადაც უნდა დაჯდომოდა, ქართლ-კახეთის შემომტკიცება. ამ მიზნით მან გადასწყვიტა, საქართველოს და რუსეთს შორის კავშირი ჩაეშალა და მოსახლეობა გაემაჰმადიანებია.

შაჰ-აბაზის პირველი ლაშქრობა საქართველოში მოხდა 1614 წელს, ხოლო მეორე კი ორი წლის შემდეგ. პირველი შემოსევის დროს შაჰ-აბაზმა გაცარცვა კახეთში ეკლესიები, აღწერა ხალხი და გააწერა გადასახადი. სპარსელებმა კახეთიდან მრავალი ხალხი აჰყარეს და სპარსეთში გადაასახლეს. ამ გადასახლებულთა უმრავლესობა მალე გაწყდა მავნე ჰავის გამო. კახეთი ხელახლა აჯანყდა და მეფე თეიმურაზ I-მა კახეთში მდგომი სპარსეთის ჯარი დაამარცხა და ძალა-უფლება

ხელში ჩაიგდო. ამან გამოიწვია შაჰ-აბაზის მეორე შემოსევა. ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სპარსელებმა ალყა შემოარტყეს მცხოვრებლებს და ლეკების დახმარებით ამოხოცეს აუარებელი ხალხი. მაჰმადიან ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობების თანახმად—სპარსელებს დაუხოცავსთ დაახლოვებით საქართველოს 60.000 მკვიდრი, ხოლო საქართველოდან სპარსეთში გადაუსახლებიათ 80.000 სული; ფერეიდანში დღესაც არის იმ დროს გადასახლებული ქართველების შთამომავლობა, რომელსაც თავისი ქართული ენა დღემდე შეუნარჩუნებია. ამავე დროს მტერმა საქართველოში ხელთ იგდო აუარებელი სიმდიდრე; სახლების უმეტესი ნაწილი დაანგრიეს და დასწვეს, აჩეხეს და მოსპეს თუთის (ბეოლის) ხეები.

ეს მოვლენა მეტად საგულისხმოა და გარკვეულად ახასიათებს სპარსეთის პოლიტიკას საქართველოში. საქმე ის არის, რომ სპარსეთი მთელს აღმოსავლეთში ცნობილი იყო, როგორც აბრეშუმის მომწევი და ძვირფასი ქსოვილების დამამზადებელი ქვეყანა. სპარსეთში მე-XVI—XVII-ე საუკუნეებშიც ბლომად მოჰყავდათ აბრეშუმი და მისგან სხვადასხვა ძვირფას ქსოვილებს ამზადებდენ. ამავე დროს საერთოდ საქართველო და კერძოდ კახეთი განთქმული იყო მეაბრეშუმეობით. უცხოელი მწერლების ცნობები ამტკიცებენ, რომ აბრეშუმის ქსოვილების ხმარება ისე გავრცელებული ყოფილა საქართველოში, რომ ყველა, ვისაც შეძლება ჰქონდა, აბრეშუმის ტანისამოსს ატარებდა. თვით პერანგიც კი აბრეშუმის აცვიათო,—მოგვითხრობს არქანჯელო ლამბერტი. მაგრამ ეს ცოტაა: აბრეშუმი ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთშიც კი გაჰქონდათ.

აღმოსავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის მოსპობით სპარსეთი ცდილობდა, საქართველო ეკონომიურად დაესუსტებია, ქვეყანა დამოკიდებული გაეხადა სპარსეთის აბრეშუმისაგან და, მაშასადამე, საქართველო სპარსეთთან დაეკავშირებია ეკონომიურად.

ამავე დროს რუსეთისათვისაც საქართველო მეაბრეშუმე-

ომბის უახლოესი ქვეყანა იყო და ამიტომ რუსეთიც დაინტერესებული იყო საქართველოს ბედიღბლის გადაწყვეტით. ასეთი ინტერესები საქართველოში ოსმალეთსაც ჰქონდა. ამგვარად, სპარსეთი ცდილობდა, საქართველოში მეაბრაშუმეობა მოესპო, რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-ოსმალეთს შორის ეკონომიური კავშირი და ურთიერთობა შეესუსტებია.

შაჰ-აბაზის შემოსევამ აღმოსავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით კახეთს დიდი უბედურება დაატეხა თავს: მოსახლეობა ამოწყვეტილ და გადასახლებულ იქნა. სპარსელებმა ქვეყანა გაცარცვეს, სახლები და შენობები დაანგრიეს, სოფლები გადასწვეს. მეურნეობის დაცემას და მოშლას შესაფერისი პირობები შეუქმნეს და მით ქვეყნის მომავალიც უკიდურეს განსაცდელში ჩააგდეს.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ძლიერდება სპარსელების გავლენა და ბატონობა. კახეთის დაცარიელებულ ადგილებში სპარსეთს გადმოჰყავდა მისი ქვეშევრდომი თათრის ტომები და ასახლებდა მათ. გარდა ამისა, როგორც კახეთში, ისე ქართლშიც იგი ნიშნავდა თავის ერთგულ მაჰმადიან მართველებს. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს მოვლენა მას შემდეგ, რაც 1634 წ. სპარსეთმა ქართლში მეფედ დაამტკიცა როსტომი, სპარსეთში აღზრდილი, მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებათა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი ადამიანი. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ როსტომმა სპარსულ-თურქული ტერმინები შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდებოდა. როსტომის დროსა და შემდეგაც ქართლის და კახეთის მართველებს ზურგს უმაგრებდა სპარსეთის ჯარი, მათი ძალა-უფლება მტკიცდებოდა და მაგრდებოდა უცხო ძალის დახმარებით.

კახეთის და ქართლის თავად-აზნაურობისათვის არ იყო

სახეირო მეფეების ძალა-უფლების განმტკიცება, რადგან ამით მათი (თავად-აზნაურების) წოდებრივი ინტერესები შეილახებო-



სურ. № 22. დიდებულობის ჩაცმულობა (ტანისამოსი დასავ. საქართველოში მე-XVII-ე საუკ.)

და. მაგრამ, რადგან მეფენი მაჰმადიანობისადმი იყვნენ მიდრეკილნი და უცხო ძალას ემყაოებოდენ, ფეოდალების გამოსვ-

ლებს მაჰმადიანი მეფეების წინააღმდეგ ყოველთვის ეროვნული თავისუფლებისა და ქრისტიანობისთვის ბრძოლის ელფერი ეძლეოდა. წოდებრივი და პირადი ინტერესებისთვის ბრძოლა იდეურ ახსნაში პოულობდა გამართლებას.

შინაური არეულობანი და ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მდგომარეობა მე-XVI—XVII-ე საუკუნეებში.

დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშო იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. „დღიდან იმერეთის დამოუკიდებელი სამეფოს წარმოშობისა, დაახლოვებით სამი საუკუნის განმავლობაში, იქ ჩვენ ვხედავთ ოცდაათ მეფეს, რომელნიც ართმევენ ერთმანეთს ტახტს. მათ შორის შვიდი იღუპება საშინელ წამებაში, სამი დაბრმავებულია, 22 ჩამოგდებულია ტახტიდან. არავის ძალუძს, ასეთ საშინელ ანარქიასა და არევ-დარევას ბოლო მოუღოს. თვით გავლენიანი ქალები და სასულიერო წოდებაც გატაცებული არიან ამ მოძრაობით“—ასე ახასიათებს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას *).

წოდებრივი და პირადი ინტერესებისთვის ზრუნვა,—აი, რა ამოქმედებდა ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებს. მეფე-მთავრებსა და მსხვილ მემამულეებს შორის ბრძოლა და არეულობა ნიადაგს აცლიდა ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებას, მის საწარმოო ძალთა ზრდას. მშრომელი ხალხი ასეთი დაუსრულებელი არეულობის, მთავრებისა და მემამულეების ავაზაკური თავდასხმის მსხვერპლი ხდებოდა. მტრის შემოსევის დროს მოსახლეობა მთებსა და ტყეებში გარბოდა თავის შესაფარებლად; ქალებს მიჰყავდათ ბავშვები, მამაკაცები კი ურმებით მიათრევდენ საოჯახო ნივთებს გადასამალავად.

*) Бакрадзе и Бердзенов. Тифлис в историч. и этногр. отнош.

საშინელი იყო ეს შიში და ტანჯვა მცხოვრებლებისა. გზაზე ეყარა მრავალი ლონეგამოლეული და მომაკვდავი ლტოლვილი, რომელნიც გულშემზარავად კენესოდენ და შველას თხოულობდენ (შარდენი).

ქვეყნის ყოველგვარი გასაჭირი ყმებსა და მშრომელ გლეხობას უნდა გადაეტანა თავის თავზე. უმეტეს შემთხვევაში ბრძოლა და თავდასხმები მიზნად ისახავდა ტყვეების გატაცებას, რათა ეს მოტაცებული ადამიანები შემდეგ, როგორც საქონელი, უცხოელებისათვის მიეყიდათ მონებად, ან საქონელზე გაეცვალათ. ამგვარად, საქართველოში ნიადაგი სავსებით მომზადებული და მომწიფებული იყო იმისთვის, რომ გარეშე ძალას თავისი მისწრაფებანი და ზრახვები ადვილად მოეყვანა სისრულეში.

ოსმალეთმა ორგვარ საშუალებას მიმართა დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად: ერთი იყო ომები და შემოსევები, რომლითაც ოსმალეთი ფიზიკურად აუძლურებდა ქვეყანას, მეორე კი—შავი ზღვის შეკვრა და ყოველგვარი სავაჭრო და ეკონომიური კავშირის გაწყვეტა გურია—სამეგრელო—იმერეთთან. ზღვის შეკვრამ და ოსმალთა შემოსევებმა მოსახლეობა გასტეხა და იძულებული გახადა, შერიგებოდა ოტომანის იმპერიის ბატონობას დასავლეთ საქართველოში, რაც გამოიხატებოდა ფულად თუ საქონლად ხარკის ძლევაში და სულთანისთვის ქალ-ვაჟთა გზავნაში.

ოსმალეთის უშუალო გავლენისა და ბატონობის ქვეშ განსაკუთრებით საათაბაგო (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) მოექცა.

თუკი თვით ათაბაგი ერთ დროს სრულიად საქართველოს მეფეს გადაუდგა და მისგან გამოყოფის მიზნით ოსმალეთის გავლენას და „მფარველობას“ შეურიგდა, ახლა თვით საათაბაგოს მემამულეებს ჰქონდათ სურვილი, განდგომოდენ ათაბაგს და ამიტომ ხელს უწყობდენ ოსმალეთის შემოსევასა და გაბატონებას საათაბაგოში. ამგვარად, ერთხელ დაწყებული

ოღვევის პროცესი არ შეჩერებულა; ეკონომიური გაჭირვების ზრდასა და ქართველი მეფეების ძალა-უფლების დაცემასთან ერთად ის კიდევ უფრო გაღრმავდა. ათაბაგის ურჩი მემამულეები გამაჰმადიანების გზით ჰპოულობდენ დახმარებას და მფარველობას ოსმალეთის წარმომადგენლებისაგან. ბოლოს იმდენად გაიზარდა ოსმალეთის გავლენა ამ მხარეში, რომ სულთანი მე-XVII-ე საუკ. პირველ მეოთხედში აშკარად ჩაერია საათაბაგოს შინაურ საქმეებში და ეს მხარე ახალციხის საფაშოდ გამოაცხადა. ამ დროიდან ოსმალეთი თვითონ ნიშნავდა ახალციხის ფაშებს.

მე-XVII-ე საუკუნის პირველ ნახევარში ახალციხის საფაშოში (ყოფილი საათაბაგო) ოსმალეთმა ქვეყნის გამაჰმადიანების და გათათრების მიზნით ქრისტიანულ მოსახლეობაზე, გარდა ჩვეულებრივი გადასახადებისა, გააწერა სულზე დრაჰკანი, ხარკად დადო მიწის ყოველგვარი შემოსავლის $^1/_7$, ცხვარზე—ორი შაური, ძროხაზე—აბაზი, ცხენსა და კამეჩზე—ექვსი შაური. გარდა ამისა, პირადად ფაშის სასარგებლოდ დადებული იყო სულზე დრაჰკანის ერთი მესამედი.

მაგრამ მარტო ოსმალეთის მხრით მიღებული ზომები არ იყო საკმარისი საუკუნეების განმავლობაში ხალხში განმტკიცებული რწმენისა და მსოფლმხედველობის აღმოსაფხვრელად. ამ მხრით დიდი გავლენა ჰქონდა თვით საქართველოს შინაურ სოციალურ ვითარებას: ბატონყმობა, რომელიც ასე თანდათანობით განმტკიცდა და გაძლიერდა საქართველოში, მდაბიო ხალხს აუტანელ გაჭირვებაში აგდებდა. საშინელ ჩაგვრას განიცდიდა მშრომელი ხალხი, ყმა-გლეხები, გაბატონებულ წოდებისაგან. ამავე დროს თვით ოსმალეთში ყმის უფლებები და მდგომარეობა იმდენად არ იყო შეზღუდული, როგორც საქართველოში. ოსმალეთის კანონმდებლობა და წესები თანდათანობით გავრცელდა და განმტკიცდა ახალციხის საფაშოში. ვინც ქრისტიანობას დასტოვებდა და გათათრდებო-



სურ № 23. ქუთაისი მე-XVII-ე საუკუნეში.

და, მას ოსმალეთის მთავრობა ზედმეტი გადასახადისაგან და ბატონთან პირადი დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებდა.

ასეთ პირობებში ამოძრავდენ ფართო მასები; მაჰმადიანობის მიღება მათ საგრძნობლად უმსუბუქებდა მდგომარეობას და ამიტომ ხალხის გათათრება ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ. გავრცელდა აგრეთვე—ჯერ მაღალ წოდებაში და შემდეგ მდაბიო ხალხშიც—თათრული ენა და ზნე-ჩვეულება.

ამგვარად, ეკონომიურმა შევიწროვებამ და წოდებრივმა ჩაგვრამ სარწმუნოების ბედი გადასწყვიტა და მესხეთის მოსახლეობა საქართველოს ჩამოაშორა.

მე-XVII-ე საუკ. ნახევრიდან ახალციხის ფაშას დაეკისრა ზედამხედველობა იმერეთსა და გურია-სამეგრელოზე. ახალციხის ფაშები აწარმოებდენ წამქეზებელ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის: შესევები და რბევა-აოხრება დიდად სასარგებლო იყო ახალციხის ფაშებისა და ოსმალეთის აგენტებისათვის, რადგანაც შემოსევების დროს მათ ბლომად გაჰყავდათ ტყვეები საქართველოდან და ჰყიდდენ ოსმალეთში. ამასთან ერთად ფაშას ბლომად მოსდიოდა ძღვენი და ქრთამი ბრძოლაში დასუსტებული მეფისა თუ მთავრისაგან, რომ ფაშას მისთვის შემწეობა აღმოეჩინა მოძალადე მეზობლის წინააღმდეგ.

დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული იყო სამი მთავარი პოლიტიკური ერთეული: იმერეთი, გურია და სამეგრელო; მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს ამ უკანასკნელს გამოეყო აფხაზეთის სამთავრო. ამავე ხანებში იწყება რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის ბატონების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. ამ დროიდან ბრძოლა და ერთმანეთის რბევა უფრო ხშირდება. ოდიშის მთავარი ლევან მე-II-ე დადიანი მე-XVII-ე საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერდა და მიზნად დაისახა იმერეთის სამეფოს დაპყრობა და მთელს დასავლეთ საქართველოში გაბატონება. ამ მიზნით მან გააუმჯობესა საომარი იარაღები, ჩამოასხმევინა ფრანგ მეზარბაზნეს 30 ზარბაზანი და

არტილერია გაიჩინა. დიდი ხნის მზადების შემდეგ ლევანმა ორჯერ გაილაშქრა ქუთაისზე, რომელსაც იმერეთის ჯარი, სვანები და ოსმალეთის რაზმები იცავდენ. ლევანმა ქუთაისი ვერ აიღო, მაგრამ ქვეყანა მოაოხრა, ქალაქი ზარბაზნებით დაანგრია, აუარებელი ნაცარცვი წამოიღო და ტყვეები წამოიყვანა. სამხედრო ტყვეები სამეგრელოს მთავარმა იმერეთს ისევ დაუბრუნა განსაზღვრულ სასყიდელში. ამგვარად, ბრძოლა და ერთმანეთის სამფლობელოში შესევა იყო გამდიდრების წყარო.

დადიანის ასეთი გაძლიერება არც ოსმალეთისთვის იყო ხელსაყრელი და ამიტომ, იმერეთის მოწვევით, ოსმალეთის ჯარი სამეგრელოს შეესია და მოაოხრა ქვეყანა; დადიანი იძულებული გახდა, ოსმალეთისთვის მორჩილება გამოეცხადებია.

შინაურმა ბრძოლამ და გარეშე მტრების თარეშმა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში: იმერეთის მეფე ოდიშის მთავარს ებრძოდა, ოდიში—აფხაზეთს და გურია—იმერეთს.

ეს განუწყვეტელი და ქვეყნის გამანადგურებელი ბრძოლა გაგრძელდა მთელი მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომაც. დასავლეთ საქართველოს ასეთ მდგომარეობას თავისი წამქეზებელი პოლიტიკით და შემოსევებით ოსმალეთი კიდევ უფრო ართულებდა და აღრმავებდა.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მე-XVII-ე საუკ. მეორე ნახევარში.

მე-XV-ე საუკუნის ნახევარში ქართლ-კახეთში დაახლოებით ირიცხებოდა ნახევარ მილიონამდე მცხოვრები. მე-XVII-ე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იმავე ქართლ-კახეთში იყო დაახლოებით ორასიათასი მცხოვრები.

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო უნუგეშო იყო. მე-XVI-ე საუკუნის დამლევს და მე-XVII-ე ს. დამდეგს მთელს დასავლეთ საქართველოში ირიცხებოდა დაახ-

ლოებით ნახევარ მილიონზე. ცოტა მეტი მცხოვრები, ხოლო მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში კი არა უმეტეს ორასიათასი სულისა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მოსახლეობამ ერთი-ორად და ერთი-სამადაც იკლო.

მოსახლეობის შემცირებას და ქვეყნის მრავალჯერ აოხრებას საქართველოში მოჰყვა მეურნეობის მოშლა და ქვეყნის ეკონომიურად ჩამოქვეითება. ჯერ კიდევ არქანჯელო ლამბერტის დროს (იტალიელი მისიონერია და ცხოვრობდა სამეგრელოში 1633—1653 წლამდე) დასავლეთ საქართველოში მოსახლეობა საკმაოდ ასწრებდა მიწათმოქმედებასა და მეურნეობის სხვა დარგებში.

გურია-სამეგრელო-აფხაზეთში ჰავა მეტად ნოტიოა. ეს გარემოება ხელს უშლიდა მშრომელ ხალხს, სასოფლო მეურნეობა წარმატებით ეწარმოებია. ამიტომ ხეებს აჭრიდენ ტოტებს და სტოვებდენ ხშირად მარტო ღეროს ხისას, რომ მზეს გაეშრო წყლიანი მიწა და ჩრდილს არ ევნო ლომისა და სიმინდისათვის. ხეების გაკრეჭისა მიწის დამზადების შემდეგ მას ხნავდენ რამოდენიმეჯერ გუთნით და სთესავდენ ლომს, სიმინდს, პურს და ბრინჯს. ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში ისე ბლომად მოდიოდა, რომ უცხო ქვეყანაშიც კი გაჰქონდათ გასაყიდად.

მისდევდენ აგრეთვე ბაღების კეთება-გაშენებასაც, მაგრამ რადგანაც ბატონები ყოველგვარ მოსავალს ართმევდენ ყმებსა და გლეხებს, ამიტომ ისინი მხოლოდ პატარა ბაღებს აშენებდენ. ბოსტნებში და ბაღებში მოჰყავდათ ნესვი, ლობიო, ფხალი (კომბოსტო) და აგრეთვე ხილი. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ბლომად მოდიოდა კარგი ღვინო.

მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და გაუარესდა. ხეების ტოტების შემოჭრა და გაკრეჭა უკვე არა სჩანს; ამიტომ მიწაც იმდენად

წყლიანია, რომ მას მოხვნა არ სჭირდება, თესლს მოუხნავ მიწაზე ჰყრიან და მცენარე ამოდის (შარდენი).

ამავე დროს, თუ ბრინჯი წინეთ დასავლეთ საქართველოში ბლომად მოდიოდა, ამ დროს მას ძალიან ცოტას სთესავდენ. ხორბლის პური ამ დროს იმდენად იშვიათი გახდა, რომ მას სჭამდენ მხოლოდ ზოგიერთი შეძლებული ბატონები, ღარიბი და მშრომელი ხალხი კი ან სულ არა, ან ძალიან იშვიათად. მხოლოდ ღვინო მოდიოდა ძველებურად.

როგორც ზემოთქმულიდან სჩანს, სასოფლო მეურნეობა ძალიან დაცემულა, მოსახლეობას ზედმეტი პური და საერთოდ სურსათი თითქმის არ მოეპოებოდა. შარდენი მოგვითხრობს, რომ მას საჭმლის შოვნა გაჭირვებია და მგზავრობის დროს დიდი შიმშილობა გამოუცდია.

მაგრამ სოფელს დაქვეითებაში არც ქალაქი ჩამორჩა. ქალაქები თითქმის სულ განადგურებული იყო; სამეგრელოში ერთადერთი ციხე-ქალაქი, რომელსაც იხსენიებს შარდენი, არის რუხი. აქ ცხოვრობდა ოდიშის მთავარი. ამ პატარა ქალაქში ბინადრობდენ გადმოსახლებული სომხები, რომელნიც ვაჭრობით ირჩენდენ თავს. ქალაქს ჰქონდა გარშემოვლებული ქვის კედელი და შიგნით ინახებოდა არტილერია. ქალაქში იყო კოშკი, სადაც 60 კაცამდე ეტეოდა. მასში ინახებოდა მთავრისა და წარჩინებული პირების სიმდიდრე და ძვირფასეულობა. იქვე იყო ხის კოშკები, სადაც თავს აფარებდენ ომიანობის დროს ქალები და ბავშები. მთავარს სასახლე სხვა ადგილებშიც ჰქონდა; მათ შორის ყველაზე შესანიშნავი იყო თავისი სიმშვენიერით და სიმდიდრით ზუგდიდის სასახლე.

იმერეთში მთავარი ქალაქი ქუთაისი იყო. აქ ცხოვრობდა იმერეთის მეფე. ქუთაისი ორი ნაწილისაგან შესდგებოდა: ერთი იყო გამაგრებული ნაწილი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე—მთაზე, მეორე კი რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და გაშლილი და გაუმაგრებელი იყო. იმერეთში იყო კი-

დევ რამდენიმე ციხე-სიმაგრე; მათ შორის აღსანიშნავია ძველის-ძველი ციხე-სიმაგრე სკანდა.

ქუთაისი მე-XVII-ე საუკუნის პირველ ნახევარში კარგი სავაჭრო ქალაქი იყო. ამ დროს იქ ცხოვრობდა დაახლოებით 500 კომლი მცხოვრები, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ის ძალიან ჩამოქვეითდა; ამ დროს ქუთაისში ცხოვრობდა მხოლოდ 200 კომლი. იმერეთის მეფე ვალდებული იყო, ყოველწლიულად ოსმალეთისთვის ეგზავნა 80 ქალ-ვაჟი; გურიის მთავარი უგზავნიდა იმავე ოსმალეთს 46 ბავშს, ხოლო სამეგრელო კი 180,000 არშინ ადგილობრივ დამზადებულ სელის ქსოვილებს. იმერეთი იხდიდა დროგამოშვებით გადასახადს აგრეთვე სპარსეთის სასარგებლოდაც.

ამგვარად, გარეშე მტრების შემოსევებმა, მთავრებსა და მემამულეებს შორის ბრძოლამ და ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობამ დასავლეთი საქართველო ეკონომიურად დასცა. მოსახლეობა დიდად შეამცირა და გარეშე ქვეყნების ყურმოჭრილ ყმად აქცია.

ამ ხანაში აღმოსავლეთ საქართველო განირჩეოდა ეკონომიური მხრით დასავლეთ საქართველოსაგან. მართალია, მე-XVII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლ-კახეთმა განიცადა ეკონომიური აოხრება, მოსახლეობის ფიზიკური ამოჟლეტა და გადასახლება შაჰ-აბაზისაგან, მაგრამ ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობა და მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა, როგორც დასავლეთ საქართველოში იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მაინც არ გამოუვლია. ამიტომ საერთო მდგომარეობა ქართლ-კახეთში უკეთესი იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

ქართლი ნაყოფიერი ქვეყანაა, — ამბობს შარდენი. აქ ბლომად მოდიოდა პური, ხილი, ბევრი ჰყავდათ შინაური ცხოველი, აუარებელი მოდიოდა ღვინო და აბრეშუმი, რომელიც უცხოეთში გაჰქონდათ. ვაჭრობას აწარმოებდენ ოსმალეთთან და სპარსეთთან. ქარავნები დადიოდა ტფილისსა და არზრუმს შორის.



სურ. № 24. სურამის ციხე.

საზოგადოების მდიდარი ნაწილი ფულსა და საქონელს დიდს სარგებელში ასესხებდა და მევახშეობას ეწეოდა, რაც მშრომელ ხალხს მძიმე ტვირთად აწვებოდა და მდიდრებისა და მემამულეებისაგან ეკონომიურად და უფლებრივად დამოკიდებულს ხდიდა.

რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეურნეობა და აღებ-მიცემობის საქმე უკეთეს პირობებში იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ქართლ-კახეთში საქალაქო ცხოვრება ისე არ იყო მოშლილი, როგორც ლიხთ-იმერეთში. ტფილისი, გორი, სურამი და ალი—ქართლის სავაჭრო ცენტრები იყო.

გორი პატარა, მაგრამ შედარებით მდიდარი ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდენ მდიდარი ვაჭრები, რომელთაც სავაჭრო და ეკონომიური დამოკიდებულება ჰქონდათ ქალაქ აზრუმთან (ოსმალეთი).

მაგრამ, შარდენის აზრით, პირველი ადგილი არამც თუ საქართველოს, არამედ სპარსეთის ქალაქებს შორისაც ტფილისს ეჭირა. ქალაქი მჭიდროდ იყო დასახლებული, მრავალი უცხოელი ვაჭარი ცხოვრობდა იქ; ვაჭრებს შემოჰქონდათ უცხოეთის ნაწარმოები ძვირფასეულობა და დიდკაცობაზე ასაღებდენ. მიუხედავად ქვეყნის საერთო ეკონომიური დაქვეითებისა, მეფე და დიდკაცობა ფუფუნებას, მდიდრულ ცხოვრებას და ქეიფში დროს ტარებას არ იკლებდა. მაშინ, როდესაც თვით სიმდიდრისა და დოვლათის შემქნელ მშრომელ მოსახლეობას ლუკმა-პური აკლდა და დიდს გასაჭირში იყო, დიდკაცობა ასობით იკრიბებოდა და მდიდრულად მორთულ სასახლეებში ნადიმებს მართავდა, ჩიტის რძესაც კი არ იკლებდა.

შარდენი გაკვირვებით აგვიწერს იმ მდიდრულ მორთულობას, რომელიც მას უნახავს ტფილისის სასახლეში ერთ-ერთი ნადიმის დროს. სასახლეს ჰქონდა უზარმაზარი ბაღი. აქ იყო საფრინველე, სადაც სხვადასხვა ჯიშის მრავალი ფრინველი

ჰყავდათ. ბაღში იდგა დიდი შენობა, სადაც მწევარ-მეძებრებს ინახავდენ. იყო საუკეთესო საშევარდნო სახლი. სასახლე შეს-



სურ. № 25. ნადიმი მეფის სასახლეში (ტფილისში), რომელსაც დაესწრო შარდენი 1673 წ.

დგებოდა მრავალი ვეებერთელა ოთახისაგან. დარბაზი მორთული იყო ოქროსა და ვერცხლის ქსოვილებით. მას ამშვენებდა ორ-

მოცი შანდალი; მათგან ოთხი ოქროსი იყო, დანარჩენები კი ვერცხლისა. თვითოეული შანდალი 40 გირვანქას იწონიდა. სასახლეში შარდენს უნახავს მეტად მდიდრული ბუფეტი: 120 ძვირფასი ვაზა, 12 ვერცხლის დოქი, მრავალი ძვირფასი ქვებით შემკული ოქრო-ვერცხლის სასმისები და სხვა.

საქართველო მე-XVIII-ე საუკუნის დასაწყისში.

საქართველო მე-XVIII-ე საუკუნის დასაწყისში არსებითად სპარსეთისა და ოსმალეთის მოხარკე ქვეყანას წარმოადგენდა. მართალია, ოსმალეთი და სპარსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში ნაკლებად ერეოდენ, უფრო ხარკის აღებით კმაყოფილდებოდენ (სპარსეთი ხშირად ჯარსაც მოითხოვდა ხოლმე), მაგრამ ქართველი მეფე-მთავრების დანიშვნისა და გადაყენების საკითხი მაინც სტამბოლსა და ისპაჰანში წყდებოდა. როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთის გავლენა და ბატონობა იყო გავრცელებული, დასავლეთ საქართველოში კი—ოსმალეთის.

ქართველი მეფე-მთავრების დამტკიცებასა და ან გადაყენებაში სპარსეთი და ოსმალეთი ხელმძღვანელობდენ იმით, თუ ისინი (ქართველი მეფე-მთავრები) რამდენად იყვნენ მათი მოშბრენი და მათი იდეების განმახორციელებელნი. წინააღმდეგობის გამწევ ქართველ ბატონებს ისინი გადაყენებულად აცხადებდენ და ამის შემდეგ გადაყენებულნი იძულებული ხდებოდენ, ან ისევ მოეხარათ ქედი მათ წინაშე, ან გამუდმებული ბრძოლა ეწარმოებიათ მათ წინააღმდეგ. მათდამი ერთგულობის გამოჩენა ფორმალურად შეიძლებოდა მათი სარწმუნოების მიღებით. ამიტომაც მე-XVII-ე საუკუნეში და მე-XVIII-ე საკუნის პირველ ნახევარში ქართველი მეფე-მთავრები, გარეგნულად მაინც, მუსლიმანური სარწმუნოებისა ღმსარებელნი იყვნენ. მათს ვალდებულებას შეადგენდა უცხოელების მიერ განწესი-

ბული გადასახადების აკრეფა თავის ქვეყანაში და მათდამი მირთმევა. ხარკი, რა თქმა უნდა, მძიმე და აუტანელი იყო, მაგრამ ეს უბედურება, როგორც მხოლოდ მატერიალური დანაკლისი, მაინც იოლი იყო მეორესთან შედარებით: საქართველოდან აუარებელი ტყვე გაჰყავდათ ხარკისა და სავაჭრო საქონლის სახით და აგრეთვე აშკარა მტაცებლობით.

ახალგაზრდა ქართველი ვაჟებისაგან ადგენდენ სპარსეთში ყულის რაზმებს, ოსმალეთში კი—იანიჩართა ჯარებს. ახალგაზრდა ქართველი ქალები მუსლიმანი მეფეების და დიდკაცობის ჰარამხანებს ამშვენებდენ.

ამრიგად, ქართველ ხალხს ისინი ცარცავდენ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, და მით თავის უმსგავსო ჟინსა და მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდენ.

სპარსეთის და ოსმალეთის დესპოტებისათვის არ იყო ხელსაყრელი საქართველოს გაერთიანება და ეკონომიურად და კულტურულად ამაღლება. მათი ინტერესები მოითხოვდა, რომ საქართველო ყოფილიყო დაქუცმაცებული, ქართველი მეფე-მთავრები—ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ამოძრავებულნი. მათ მშვენივრად იცოდენ აგრეთვე, რომ ქონებრივი სიძლიერე ბრძოლისა და თავდაცვის უნარიანობას აძლიერებს. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმაროობდენ, რომ საქართველო ქონებრივად იმდენად დაესუსტებიათ, რომ მათი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლებოდა. ცნობილია, რომ შაჰ-აბაზ I ბრძანება გასცა, რაც კახეთში თუთის (ბჟოლის) ხე იყო, ძირიანა ამოეჭრათ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ამის შემდეგ კახეთში მართლაც ვერ წამოჰყო თავი მანამდის დიდად განვითარებულმა მეაბრეშუმეობამ. ლევან მე-II-ე დადიანმა ქოხში მიიღო ოსმალეთის დესპანები, რომ მათთვის არ ეჩვენებია ქვეყნის ეკონომიური შემძლეობა. ცნობილია აგრეთვე, რომ ამავე მიზნით სპარსეთის და ოსმალეთის ფული დიდად მუშაობდა ლეკეთში, რომ ლეკების ყაჩაღებს ეცარცვათ საქართველო.

სპარსეთის დასუსტება.

საქართველო დროგამოშვებით ისვენებდა გარეშე მტრების შემოსევებისაგან და ამით მისი შინაური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგებოდა და განვითარების გზას ადგებოდა.

ოსმალეთისა და სპარსეთის მბრძანებლები და ფეოდალური არისტოკრატია თავის ქვეყანაშიაც ცარცვა-გლეჯასა და ხალხის დამონავებაზე ამყარებდენ თავის იმედებს. ამისთვის, მათი ფიქრით, საჭირო იყო მხოლოდ სამხედრო ძალების გაძლიერება, რითაც ვითომ უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი კეთილდღეობა და დღეგრძელობა. ტეხნიკის და მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ. მათ არ გააჩნდათ ოდნავადაც რიგიანი სამიმოსვლო საშუალებანი, გზები და ხიდები. გარდა ამისა, საზოგადოდ მუსლიმანურ ქვეყნებში და კერძოთ სპარსეთში მუდმივი და საზოგადო მოვლენა იყო ტახტის მემკვიდრეთა შორის სასტიკი და დაუცხრომელი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რაც უმთავრესად მრავალცოლიანობით იყო გამოწვეული. ეს ყველაფერი საშინლად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ წინსვლას.

სახელმწიფოში შემავალ პროვინციებს არავითარი—არც ეკონომიური და არც კულტურული—კავშირი არ აერთიანებდა ცენტრთან. პროვინციებს ეწვეოდენ მხოლოდ გაცარცვისა, დაბეგვრისა და დატყვევნის მიზნით.

მე-XVII-ე საუკუნის მიწურულში ასეთი პოლიტიკის გამო სპარსეთს აუჯანყდა პროვინცია ავღანისტანი. ეს მხარე მთაგორიანი და უნაყოფო ქვეყანაა. მწირი ნიადაგი, სამუშაო იარაღთა განუვითარებლობასთან ერთად, ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობას თავისი მოსავლით. ამასთან ერთად, როგორც ვთქვით, სპარსეთის პლუტოკრატია (ფეოდალური მეპატრონენი) და შაჰები ამ პროვინციასაც უწყალოდ ავიწროებდენ. ავღანელებსაც არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მათაც მცარცველობისა

და ყაჩაღობისთვის მიეყოთ ხელი. მათი ძლიერი იერეშები, უპირველეს ყოვლისა, სპარსეთის ცენტრისკენ იქნა მიმართული. უნიჭო და უილაჯო შაჰი სულთან-ჰუსეინი თავისი საკუთარი ძალებით ვერ გაუმაგრდა ავღანელებს (ავღანელებს მეთაურობდა ნიჭიერი ბელადი მირვეისი).

ამ დროს სპარსეთში მრავლად იყვნენ ქართველები—როგორც ბატონიშვილები, ისე მხედრობაც. შაჰმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ქართველები მიუსია ავღანელებს. მთელი სპარსეთის სამხედრო ძალების ხელმძღვანელად დანიშნულ იქნა იმ დროს იქ მყოფი ქართველი მეფე გიორგი მე-XI-ე. დიდი გამარჯვების შემდეგ ქართველი მხედრობა მეფითურთ მაინც იქნა ამოწყვეტილი (ღალატით).

სპარსეთის საქმეები ავღანელებთან ბრძოლაში სულ უკან და უკან მიდიოდა.

ამ დროს ქართლის მეფე ვახტანგი შეკრებილი ჯარით ლეკების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას. სპარსეთიდან მას ბრძანება მოუვიდა, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლისთვის თავი გაენებებია და ისპაჰანს მიშველებოდა ჯარით. ქართველ მხედრობას თავი ჰქონდა მობეზრებული უცხოეთში ბრძოლის წარმოებით და უმიზნო სისხლის ღვრით. სპარსეთში გალაშქრებაზე მან გადაჭრით განაცხადა უარი. ამ ნიადაგზე ამბოხება მოხდა ქართულ ჯარში და ეს ამბოხება იმდენად სერიოზული იყო, რომ მეფემ მხოლოდ სასტიკი ზომებით შესძლო მისი ჩაქრობა.

ამასობაში ამ ერთადერთი იმედის (ქართველების მიშველების) გაცრუებით ისპაჰანის ბედიც გადაწყდა: იგი აღებულ იქნა ავღანელების მიერ და სპარსეთის შაჰმა ავღანელების ბელადს (მირვეისის მემკვიდრეს მაჰმუდს) თავისი ხელით დაადგა შაჰის გვირგვინი (1722 წ.). ამ ომიანობამ და ფსიქიურად ავადმყოფმა მაჰმუდმა ერთ მილიონამდე მცხოვრები დააკლო სპარსეთს.

შაჰის შვილი თამაზი ამ დროს თავრიზში იმყოფებოდა და თავი მაინც მთელი სპარსეთის შაჰად მოჰქონდა.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალი აღმოსავლეთისაკენ მიიწევს.

მე-XVIII-ე საუკუნის დასაწყისში რუსული სავაჭრო კაპიტალი იმდენად ძლიერი იყო, რომ ის უკვე სძლებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო შუამავლობის გაწევას. აღმოსავლეთიდან დასავლეთში მთავარ გასაზიდ საქონელს იმ დროს ბეწვიანი ტყავეულობა შეადგენდა, უმთავრესად კი აბრეშუმი. ამ უკანასკნელის მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდი იყო ევროპაში.

რუსეთის კაპიტალიც ენერგიულად აწარმოებდა ამ ოპერაციას. მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მან იშოვა გასავალი ბალტიის ზღვით დასავლეთ ევროპისკენ. მან ჩაიგდო ხელში ამ ზღვის აღმოსავლეთი ყურე და იქ სადგომიც გაიჩინა (პეტერბურგი). ამასობაში ის მედგრად მიიწევდა შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებისაკენ, რაც ყირიმის თათრებს ეჭირათ. ამ დროს კასპიის ზღვაზე უკვე ჰქონდა მას ფეხი გამაგრებული (ასტრახანი მის ხელში იყო). ამგვარად, ეს დიდი სავაჭრო გზა კასპიის ზღვიდან მდინარე ვოლგით ბალტიის ზღვამდე და ევროპაში — რუსული კაპიტალის განკარგულებაში იყო, მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდებოდა: მას უნდოდა, უფრო ღრმად შეჭრილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთში, სპარსეთში. ის ლამობდა მთელი სპარსული ვაჭრობის ხელში ჩაგდებას. ამიტომ პეტრე დიდმა სიამოვნებით მიიღო ზემოხსენებული შაჰ-თამაზის მიპატიჟება სპარსეთის საქმეებში გასარევად. მაგრამ მას თავისი მიზნების აღმოსავლეთში უფრო კარგად განსახორციელებლად თანაშემწენი სჭირდებოდა და ამიტომაც მან ახლა სიამოვნებითვე გაიხსენა ის, რომ ქართველი მეფე-მთავრები დიდიხანია, რაც რუსეთის მთავრობას შემწეობას სთხოვდენ სპარსეთის, ოსმალეთის და ლეკთა თარეშების წინააღმდეგ. მაგრამ მაშინ რუ-

სეთის კაპიტალი არ იყო ისე ძლიერი, რომ ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორც საქართველო და სპარსეთია, შესულიყო და საქმეები გაეკეთებია: მის ძალას და ინტერესებს ეს მაშინ აღემატებოდა და საქართველო რუსეთიდან ვერავითარ დახმარებას ვერ იღებდა.

მაგრამ ახლა სხვა დრო იყო. პეტრემ დიდის ყურადღებით მოისმინა ვახტანგის მიმართვა და მისი სპარსეთის ომიანობაში ჩათრევა გადასწყვიტა. შეთანხმება მოხდა, რომლის მიხედვითაც 1723 წელს ვახტანგი და პეტრე თავისი ჯარებით უნდა შეყრილიყვნენ და სპარსეთისკენ გაეწიათ. ვახტანგი საომრად გამზადებული 30—40 ათასამდე კაცით ყარაბახში უცდიდა პეტრეს, მაგრამ პეტრე არ მოდიოდა: როგორც კი ბედი შემოუწყრა პეტრეს და რუსეთის პლუტოკრატიისთვის სავნოდ დაინახა ამ ომიანობის გაგრძელება, დაუყოვნებლივ იბრუნა პირი ჩრდილოეთისაკენ, საქართველო კი გაღიზიანებულ და გაშმაგებულ მტრებს შეატოვა ხელში.

სპარსეთი და ოსმალეთი მშვენივრად ხედავდენ, თუ რამდენად სახიფათო იყო მათთვის რუსეთის ფეხის მოკიდება საქართველოში, რაც შემდგომ გამართლდა კიდეც. ამიტომ ისინი კატეგორიულად მოითხოვდენ ვახტანგისაგან რუსეთთან ყოველნაირი კავშირის გაწყვეტას და ისევ ძველი მდგომარეობის აღდგენას. მაგრამ ეს არც ვახტანგის ნებაზე იყო დამოკიდებული. ამის გამო საქართველოს შემოუტიეს ყოველი კუთხიდან: ჯერ ლეკებმა ააოხრეს ტფილისი და სხვა ადგილებიც, შემდეგ, 1723 წ. ოსმალოებმა აიღეს ტფილისი და დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ციხე-სიმაგრეები იგდეს ხელთ. სპარსეთის საქმეები ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, მაგრამ მალე მანაც იწყო წამობოგინება და პირველი იერიშები საქართველოზე მიიტანა.

ქართლში მთავარი სავაჭრო გზა გადიოდა; ტფილისი კი უმთავრესი სავაჭრო და სტრატეგიური ცენტრი იყო. ამიტომ ეს ქვეყანა ყველას აინტერესებდა.

კახეთში გამეფებული მეორე შტო ბაგრატიონთა გვარისა ცალკე ცდილობდა ქართლის ხელში ჩაგდებას.

ამ მიზნით რამოდენიმეჯერ იქნა წარმოებული სერიოზული შეტაკებები ქართლსა და კახეთს შორის. ამავე დროს მიწერ-მოწერა და ურთიერთობის განმტკიცების მცდელობა რუსეთთან ისევ სწარმოებდა და ვახტანგს, როგორც რუსეთის ორიენტაციის რეალური განხორციელების მოტრფიალეს, საქართველოში აღარ დაედგომებოდა.

დიდიხნის მიწერ-მოწერის შემდეგ რუსის მთავრობამ ძლივძლივობით დართო ნება მას, რუსეთში გადასახლებულიყო. ვახტანგიც დიდის ამალით (1200 კაცით) გაემგზავრა რუსეთს. რუსეთი აღმოსავლური პოლიტიკის ასე უშედეგოდ დამთავრებას არ აპირებდა; იგი უცდიდა უფრო მოხერხებულ დროს. ამიტომ რუსეთში საჭიროდ მიიჩნიეს ემიგრანტ ქართველებისაგან სამხედრო ძალის შექმნა, რომ აღმოსავლეთისკენ შემდეგი გალაშქრების დროს გამოეყენებიათ იგი, როგორც აღმოსავლეთში ბრძოლის წარმოების საუკეთესო მცოდნე ძალა. ეს ვახტანგისთვის კიდევაც მოუთხოვიათ, მაგრამ, როგორც სჩანს ვახტანგის რუს მეფესთან მიმოწერიდან, ქართველებს ეს არ მოუსურვებიათ და თუმც მაჰმადიანთა ხელში, მაგრამ მაინც სამშობლოში დარჩენა აურჩევიათ. *) ამრიგად, რუსეთში მანამდეც არსებულ ქართულ ახალშენებს ახლა მიემატა ძლიერი

*) Переписка грузинских царей с российскими государями. Т. I. Броссе გვ. 190. რუსის მთავრობამ დაუნიშნა ვახტანგს სარჩოდ წლიურად 24000 მანეთი, 50000-მდე ფუთი პური (4000 четв.) 200 საჟენი შეშა. (იხ. იქვე გვ. 220. მეფის შვილის ვახუშტის თხოვნა 1739 წ. 17 დეკემბერს) გარდა ამისა, ვახტანგის ამალაში მყოფ ქართველ თავად-აზნაურობას მისცეს რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში მამულები და ყმები. ვახტანგს კი, როგორც სპარსეთში ნამყოფს და სპარსული ენის და ზნე-ჩვეულების მცოდნეს, მიანდვეს რუსეთის წარმომადგენლობა სპარსეთის მთავრობასთან. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს (1737 წ,) იგი გარდაიცვალა ქალ. ასტრახანში.

ძალა—1200 კაცი და ამით რუსეთი და საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს. თუმც ქართველობის ასეთი დიდრიცხოვანი გადასახლება უცხოეთში დიდი დანაკლისი იყო საქართველოსთვის, მაგრამ ამას დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა: რუსეთში გადასახლების შემდეგ ქართველ მოღვაწეებს დრო და საშუალება ეძლეოდათ კულტურული მუშაობისთვის. 1705 წელს მოსკოვში დაარსდა ქართული სტამბა. რუსეთში მოღვაწეობდა მეფის (ვახტანგის) შვილი ვახუშტი, რომელმაც „საქართველოს ისტორია“ და „საქართველოს გეოგრაფია“ დაწერა. იქ მოღვაწეობდენ საბა-სულხან-ორბელიანი, რომელმაც დაგვიტოვა ცნობილი ქართული ლექსიკონი, „წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა“, მოგზაურობა და სხვა. იქვე ცხოვრობდენ და მოღვაწეობდენ დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, ფავლენიშვილი და სხვები.

დასავლეთ საქართველო ამავე დროს.

დასავლეთ საქართველო ამ დროს, როგორც ნათქვამი გვაქვს, ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დაუცხრომელმა ბრძოლამ გარეშე მტრებთან და შინაურობაშიც ეს მხარე დასცა და მოშალა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად. კანონიერება, ზნეობა, სწავლა-მეცნიერება და სხვა—ყველაფერი ეს ფეხ ქვეშ იყო გათელილი. ერთის მხრით—ოსმალეთის ბატონობა, საოცრად გავრცელებული ვაჭრობა ტყეებით და ცარცვა-გლეჯა; მეორე მხრით—მეფე-მთავრებისა და გავლენიანი თავადების მიერ დაუსრულებელი ცვლა ორიენტაციისა და ერთმანეთის მიხტომა და რბევა, მეფეების ჩამოგდება ტახტიდან, მთავრების გაბატონება, მერმე მათი ჩამოგდება და ისევ გაბატონება-გამთავრება, ღალატი, ცბიერობა და სხვა,—ყველაფერი ეს დიდი სისწრაფით ხდებოდა და მაღალი კლასის სრული გახრწნილების, დეზორგანიზაციის და დემორალიზაციის მაჩვენებელი მოვლენა იყო.

ამ მდგომარეობის საილუსტრაციოდ სხვათა შორის მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგს: იმერეთის მეფემ ალექსანდრემ ხელახლა რომ გამეფდა, გავლენიანი თავადების მოსამხრობად და მით ტახტზე გამაგრების მიზნით შეირთო ცოლად ყველაზე უფრო გავლენიანი თავადის გიორგი აბაშიძის ასული, ათი წლის თამარ, შესანიშნავი სილამაზის ქალი. მაგრამ ეს მეფე იყო ყოვლად უზნეო პიროვნება, უნდო, მრუში და ტყვეებით მოვაჭრე. ამიტომ ახალგაზრდა თამარმა მალე შეიძულა იგი. მამამ (აბაშიძემ) იგი მიათხოვა ვინმე გოჩია ბაგრატიონს და ის გაამეფა კიდეც. შემდეგ გიორგი დადიანს მიათხოვეს ეს ქალი. ამ ქალის მამამ რამოდენიმეჯერ მისცა წინადადება ქართლის მეფეს გიორგი მე-XI-ეს და მის ძმას არჩილს—იმერეთის მეფედ ნამყოფს, ცოლად შეერთო თამარი და ასე შემდგომ.

ხშირი მოვლენა იყო იმერეთის სინამდვილეში, რომ ერთიდაიგივე ქალი დასავლეთ საქართველოსი ყველა თანამედროვე მეფე-მთავართა ცოლად ყოფილიყოს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს. აქ არ აქცევდენ არავითარ ყურადღებას არც ნათესაობას, არც წლოვანებას, არც სხვა რამ ზნეობრივ მხარეს.

სასულიერო თავადებიც არ იძლეოდენ უკეთეს მაგალითს: ქუთათელმა მიტროპოლიტმა გედევან გენათელმა თავი დაანება მღვდელმთავრობას, ცოლი მოსტაცა ძმისწულს და თვითონ შეირთო იგი; ამის შემდეგ მიმძლავრებით გაბატონდა ერთ-ერთ მხარეში.

მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისში იყო მთავრად ვინმე სვიმონი, რამდენიმე კაცის მკვლელი, ბოროტი, ტყვით მოვაჭრე, მრუში, ფიცის გამტეხი....

ასეთ პიროვნებში ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გლეხობის მდგომარეობა. ომები, ტყვევნა და ტყვით ვაჭრობა გლეხობის ანგარიშზე ხდებოდა. გადასახადების და სხვა ვალდებულებათა სფეროში არ არსებობდა არა-

ვითარი წესი და ნორმები. ბატონს როგორც მოეპრიანებოდა, ისე ყვლეფდა და ცარცვავდა თავის ყმას. ყველა ამის გამო გლეხობა ვერ ეწეოდა მეურნეობას და მისი კეთილდღეობა სულ უკან მიდიოდა. ამ ნიადაგზე იყო შიმშილობა, გადამდები სენი და სხვა, რაც ძლიერ აქვეითებდა და რიცხვობრივად ანადგურებდა გლეხობას. ტყვით ვაჭრობა ხომ საოცრად გახშირებული იყო.

რა მიზნით მოდიოდენ საქართველოში უცხოელები.

საქართველო, როგორც ვიცით, ბუნებრივად და გეოგრაფიულად გზა და ხიდია როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ისე აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორისაც. საქართველო ყოველთვის დიდს სავაჭრო გზას წარმოადგენდა; იმავე დროს იგი ბუნებრივად ძლიერ მდიდარი ქვეყანაა. ამიტომ იყო, რომ აქეთკენ მოესწრაფებოდენ იარაღით ხელში საბერძნეთის, რომის, ბიზანტიის, არაბეთის და სპარს-ოსმალეთის ვაჭრები და ბედის მაძიებელნი. არცერთი მშრომელი ხსენებული ქვეყნებისა არ იყო დაინტერესებული საქართველოს, როგორც სავაჭრო გზის, ბაზრის და მცარცველობის ობიექტის, დაპყრობით. არცერთს უცხოელ გლეხს და მშრომელს არ დაუბიჯებია ფეხი საქართველოს მიწაწყალზე დაპყრობის მიზნით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ საშინელ ძალდატანებას, რითაც ერეკებოდა უცხოეთის ფული და დიდკაცობა საქართველოსკენ თავის ქვეყნის მშრომელთ იარაღით ხელში. საკმაო ღვაწლი მიუძღვოდა აგრეთვე უცხოეთის კაპიტალს საქართველოს შინაური არეულობებისა და დაქუცმაცების მოწყობაში, რომ უკეთ შესძლებოდა მას აქ გაბატონება. ბლომად იხარჯებოდა აგრეთვე სპარსული და ოსმალური ფული დაღესტნის და სხვა მთიელი ბეგების ასამხედრებლად საქართველოს წინააღმდეგ. ეს მოსყიდული მთიელი აზნაურები თავის გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობიდან

რაზმებს ადგენდენ და ცარცვავდენ და იკლებდენ საქართველოს. ამით სპარსეთის და ოსმალეთის საქმეებიც კეთდებოდა და მოთარეშენიც, რომლებსაც მათი მწირი და მთა-კლდიანი ქვეყანა ბევრს ვერაფერს აძლევდა, მით უმეტეს, რომ მათი სამეურნეო ცოდნა და ტეხნიკა ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობაში იყო, საკმაოდ ითბობდენ ხელს ნადავლ-ნაცარცვით.

ამრიგად, უცხოეთის კაპიტალი და მტაცებლები სხვადასხვა საშუალებით ერეკებოდენ საქართველოსკენ თავიანთის ქვეყნების მშრომელთ, მაგრამ დროებით აქ მოსული უცხოელი გლეხი იმ წამს, რა წამსაც საამისო დრო და გარემოება დაუდგებოდა, სტოვებდა აქაურობას და თავის ქვეყანაში მიეშურებოდა. აქ რჩებოდენ მხოლოდ პლუტოკრატია და სხვა ბატონები. არც ერთი გროში, არც ერთი მისხალი აბრეშუმი და, მით უმეტეს, ტყვე, აქედან მოტაცებული და ხარკის სახით გაზიდული, არ ხმარდებოდა არც სპარს, არც ოსმალს და არც სხვა გლეხს. ვის ჰარამხანებს ამშვენებდენ საქართველოდან სხვადასხვა ხარკის და ჯარიმის სახით გაყვანილი ლამაზი ქალები? ვის კეთილდღეობას უწყობდენ ხელს და ვის ძალა-უფლებას ამაგრებდენ ქართველი ტყვე ახალგაზრდებისაგან შემდგარი იანიჩართა და ყულის ჯარები? ვის ჯიბეებს ავსებდა აქედან წაღებული ფული და სხვა ნივთი?—ყველაფერი ეს მდიდრების და არისტოკრატების მონოპოლია იყო და მათს გაუმაძღარ მადას აკმაყოფილებდა ხოლმე.

ოსმალებმა სხვა უბედურებასთან ერთად მოსწყვიტეს საქართველოს საუკეთესო ეკონომიური და კულტურული ძალა—სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ახლანდელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრა, ბათომის ოლქი და მათ ახლოს მდებარე სხვა კუთხეები.

ამ ქვეყნების ისევ შემოერთებას საქართველომ მთელი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი შეალია, მაგრამ მაინც

ვერ მოიყვანა სისრულეში. ამ ქვეყნების შემოერთება, ცოტას გამონაკლისით, მხოლოდ რუსეთის აქ გაბატონების შემდეგ შეიქნა შესაძლო.

სპარსეთი უფრო ადრე გაბატონდა აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩრდილოეთის კაპიტალი ჯერ კიდევ არ იყო იმდენად ლონიერი, რომ იგი ამ შორეული ქვეყნების ბაზრით და გზით დაინტერესებულიყო. ამიტომაც რჩებოდა უშედეგოდ საქართველოს მიმართვანი რუსეთისადმი შემწეობის შესახებ, ამიტომ ჩაიშალა პეტრესა და ვახტანგ მეექვსეს მიერ განზრახული ლაშქრობა სპარსეთში.

დასავლეთ საქართველოში ოსმალო ვაჭრებს შავი ზღვით გემებით შემოჰქონდათ შეძლებულ კლასთა მოსახმარი სხვადასხვა საქონელი: ტყავეულობა, შალის ქსოვილები, თევზი, უნაგირები, სამკაული და იარაღები. ოსმალები საქონელს იძენდენ იტალიელი და სხვა ვაჭრებისაგან, ჰყიდდენ ჩვენში და სამაგიეროდ გაჰქონდათ აქედან ადგილობრივი ნაწარმოები: სელი, სელის თესლი, პური, ბრინჯი, კანაფი, თაფლი, ცვილი, სანთელი. ეს უკანასკნელი მაშინ დიდს ხმარებაში იყო, უმთავრესად შეძლებულ ოჯახებში, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოშიც: გარდა იმისა, რომ ეკლესიაში იხმარებოდა იგი, კერძო ცხოვრებაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქონის სანთელი გასანათებლად ნაკლები ღირსებისა იყო, სხვა სანთლების კეთება მაშინ არ იცოდენ და არც ნავთი იყო ხმარებაში. თაფლის სანთელი კი საუკეთესო საქონელი იყო ამ მხრით.

მაგრამ უმთავრესი, რაც აქედან მიდიოდა უცხოეთში საქონლის სახით, ეს იყო ისევ ტყვეები. ადგილობრივი და უცხო ბატონები სხვადასხვა „კანონიერი“ და არაკანონიერი გზით თავს უყრიდენ აუარებელ ტყვეს და უცდიდენ ოსმალეთიდან გემების მოსვლას, ასე რომ ოსმალეთიდან საქონლით დატვირთული გემების მოსვლა მოასწავებდა ერთი მხრით შეძლე-

ბული ჯგუფების საქონლით დაკმაყოფილებას, მეორე მხრით— მრავალი ქართველი დედის, ცოლის და შვილის ატირებას. ამ-რიგად, ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას ხელიდან ეცლებო-და მრავალი საუკეთესო ძალა—ახალი თაობა.

ოსმალების და სპარსელების ვაჭრობას ხელს უწყობ-დენ აგრეთვე ებრაელი და სომეხი ჩარჩი ვაჭრები. ლამბერტი ამბობს: „დადიანმა უცხოელები მოიწვია, განსაკუთრებით სომ-ხები და ურიები, რომლებიც დიდს ვაჭრობას ეწევიანო....და გა-გზავნა ისინი სავაჭროდ სპარსეთსა და ოსმალეთში“*).

მთელი ეს ვაჭრობა მთავრის და ჩარჩი ვაჭრების—ებ-რაელების და სომხების—მონოპოლია ყოფილა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც ვაჭრობა უმთავრესად სპარსი და სომეხი ვაჭრების ხელში იყო. აქაც დიდკაცობის მოსახმარი საქონელი მოდიოდა. მეფეები და სხვა ბატონები ან თვით აწარმოებდენ აღებმიცემობას, ან დიდ ბაჟს აწესებ-დენ როგორც გატანილ, ისე შემოტანილ საქონელზე. ვახ-ტანგ მეფის „დასტურლამაში“**) სხვათა შორის ნათქვამია: „გორის ბაჟისა არის, თავრიზის საპალნე რომ მოიტანონ მძი-მე ფარჩა, თუ მსუბუქი გაუხსნელად, იმაზე გამოერთმევის სა-პალნეზე მინალთუნი***) სამი, ურდუვარის საპალნეზე—მინალ-თუნი—ორი, ენდროზე****) აბაზი, მარილის საპალნეზე ორი ბისტი*****), ბრინჯზე ხუთი შაური, თევზზე, ხიზილალაზე,ქონ-ზე, ერბოზე, მატყლზე, ღაზლზე, ბალანზე თითო აბაზი გა-მოერთმევის“ (გვ. 20).

აქედან ცხადია, რომ ვაჭრობა სპარსელების და სომ-

*) არქანჯელო ლამბერტი—სამეგრელოს აღწერა.—გვ. 43.

**) სასახლის ქონებათა და შემოსავალ-გასავალთა განწესრი-გების წიგნია.

***) მანეთი.

****) საღებავია.

*****) შაური.

ხების ხელში იყო და მხოლოდ შეძლებული კლასების მოსახმარი საქონელი შემოჰქონდათ: ფარჩა, ხიზილალა, აბრეშუმის ქსოვილები და სხვა ასეთი ძვირფასიანი და მძიმე ბაჟით დაბეგრილი საქონელი ქართველი გლეხისათვის რა მოსახმარი იყო, ან როგორ შეეძლო გლეხობას მათი შეძენა.

საქართველოს სამეურნეო ძალების გამოცოცხლება.

სპარსეთის დასუსტებამ დასცა მისი როგორც საშინაო, ისე საგარეო აღებმიცემობა და გაანადგურა მისი სამხედრო ძლიერება; იგი (სპარსეთი) მე-XVIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის სრულიად დაცემის გზას დაადგა, ამას კი თავისებური გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ვითარებაზე. მართალია, ამავე დროს ოსმალები და ლეკები მოსვენებას არ აძლევდენ საქართველოს; ბრძოლა შინაურ ბატონებს შორისაც არ ცხრებოდა, მაგრამ სპარსეთის დროებით ჩამოშორება ოდნავად მაინც ათავისუფლებდა ქართველ გლეხობას ომიანობისა და გადასახადებისაგან; ამით კი მას შედარებით უფრო მეტი დრო და სხვა ხელშემწყობი პირობები ეძლეოდა, რომ მეურნეობისათვის მიეყო ხელი. ამავე დროს საქართველოში დიდი კულტურული მუშაობა წარმოებდა. სხვათა შორის, ამ დროს დაიწერა ვახტანგ მეფის ცნობილი სამართლის წიგნი, სადაც ახალ, დროს შესაფერის კანონმდებლობასთან ერთად შერჩეულია და თავმოყრილი საქართველოში სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოყენებული კანონები.*)

*) ვახტანგის კანონდებლობაში გათვალისწინებულია ექვსი სახე სამართლისა: 1. ფიცი, 2. შანთი, 3. მდულარე, 4. ხრმალი, 5. მოწამე და 6. ცოდვის მოკიდება. ამრიგად, მეთვრამეტე საუკუნის საქართველო ძლიერ ჰგავს საშუალო საუკუნეების რაინდულ დასავლეთ ევროპას. საყურადღებოა მეოთხე სახე გასამართლებისა, „ხრმალი“, რომელიც ევროპულს საღვთო სამართალს, ანუ, რაც იგივეა, „დუელს“ მოგვაგონებს. საქმე შემდეგში იყო: თუ ვინმე წამოუყენებ-

საერთოდ საქართველო ჯერ დღემდეც უმთავრესად მიწათმოქმედების ქვეყანაა. აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგი რწყვას მოითხოვს და ამიტომ უძველესი დროიდან აქ მორწყვის საქმეს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ეს აუცილებელი იყო და ამ აუცილებლობამ ქართველი გლეხობა ძალიან დაახელოვნა ამაში. მე-XVIII-ე საუკუნეში ქართლ-კახეთი მრავალი სარწყავი არხით იყო დასერილი და სადაც ეს არ ხერხდებოდა, იქ მოსავალიც ცუდი იყო. ვახუშტის ნათლად აქვს ნათქვამი, რომ „კასპის დასავლით მინდორი მტკვრისა და კვერნაქ შუა არის აშურიანი, უწყლობით უნაყოფოო“ (გეოგრ. გვ. 106).

საქართველოში ყველა სხვა პურეული კულტურიდან პურის კულტურას უმთავრესი ადგილი ეჭირა. ამას გარდა აქ მოჰყავდათ ქერი, შვრია, დიკა; დასავლეთ საქართველოში—ღომი, სიმინდი, ჭვავი და სხვა. პურის კულტურის შესახებ ვახტანგის „დასტურლამა“ში ნათქვამია: „გუთანმა უნდა მოხნას ერთმა დღიური 50, დღიურში დაითესების ორ კოდ ნახევარი, იქნების ერთ პირად ამისი თესლი კოდი ასოცდახუთი. კოდზე უნდა მოვიდეს ურემი, ურემს უნდა გამოვიდეს რვა

და ბრალდებას რომელიმე პირს (რა თქმა უნდა, პრივილეგიური წოდებიდან) მეფის ღალატში, ეკლესია-მონასტრის, ან მეფის ხაზინის გატეხასა და გაცარცვაში, მაშინ ორივენი,—ბრალმდებელი და ბრალდებული,—უნდა გამოსულიყვნენ „ხრმალში“. თვითეული მათგანი ორმოცი დღის განმავლობაში ემზადებოდა მარხულობით, ლოცვით და სხვა ამგვარი წამებით იმ განსჯის დღისათვის. დანიშნულ დღეს საამისოდ მოწყობილ მოედანზე, მეფის და მისი ამალის თანდასწრებით, შეიარაღებულნი ეძგერებოდენ ერთმანეთს ცხენებით. თვითეულს მათგანს უნდა ხლებოდა თითო უიარაღო „მემათრახე“ (სეკუნდანტი). ამათ ვალდებულებას შეადგენდა: დაეცვათ დამარცხებული გამარჯვებულის მიერ მოკვლისგან; დამარცხებულს—დაჭრილს ან ცხენიდან ჩამოგდებულს—„მემათრახენი“ მეფეს წარუდგენდენ და შემდეგი სასჯელი მეფის საქმე იყო („მდულარე“ და „შანთიც“ იგივეა, რაც დასავლეთ ევროპაში იცოდენ.

(კოდი), იქნების ერთ პირ კოდი ათასი. ეს ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდა ათისა დღისა ნახნავზე უნდა ამ წესით მოვიდეს“ (დასტურლამა, გვ. 23). აქედან ნათელია, გლეხობის შრომის უნარიანობა საკმაოდ მაღალი ყოფილა და სამუშაო იარაღიც რიგიანი ჰქონიათ, მოსავალი კი ერთი-რვა მოდიოდა. მაგრამ ეს მეფის მამულია და მას ინვენტარი, თესლი, მიწა და სხვა მოწყობილობა, რა თქმა უნდა, საუკეთესო ექნებოდა. მაგრამ აქედან მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ დაახლოებითი წარმოდგენა გლეხის მეურნეობაზე. ერთი იმდროინდელი მოგზაური (დე-ლა-პორტი—1770 წ.) ამბობს, გლეხს დიდი გადასახადი ადევსო: „გლეხს უტოვებენ პურს იმდენს, რამდენიც მას წლიდან წლამდე ყოფნის“. აქედან ცხადია, გლეხის მოსავალი, მიუხედავად მძიმე გადასახადისა, მაინც საკმაო ყოფილა.

გარდა პურის მოყვანისა ქართულ მეურნეობაში საპატიო ადგილი ეჭირა აგრეთვე ბრინჯის მოსავალს. იგი მოდიოდა ყარაიაზში, მდ. ბერდუჯის (ბორჩალო) ნაპირებზე და სამეგრელოში. მოგზაურს გიულდენშტედტს 1772 წ. აქ ალგეთის ნაპირებზე ბრინჯით დათესილი მინდვრები უნახავს (გვ. 246).

საქართველოში მაშინ მსხვილი მრეწველობა არ იყო. მოსახლეობა მხოლოდ წვრილი ხელოსნური ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს და ამიტომ აუცილებელი იყო ბამბის, სელის, კანაფის და აბრეშუმის მოწევა და აგრეთვე მატყლის დამზადება. ეს ნედლი მასალა უცხოელებსაც გაჰქონდათ; აბრეშუმს კი ხარკში აძლევდენ უცხო მოძალადეებს.

მეფუტკრეობა ქართულ მეურნეობაში ერთი მთავარი დარგთაგანი იყო. თაფლი, ცვილი და სანთელი აგრეთვე საგარეო ვაჭრობის საგნები იყო. სანთელი საქართველოში, განსაკუთრებით დიდკაცების ოჯახებში, გასანათებელ მასალად იყო გამოყენებული. ადუღებულ თაფლში სდებდენ კაკლით გაფისულ ძაფს; ამნაირად დამზადებული ძაფი ძვირად ფასობდა.

მევენახეობა საქართველოში არასოდეს არ იყო უცნობი. მისი კულტურული მოვლა მაშინაც ცოდნიათ: „ზვარს რაც მუშაობა და სარი მოუნდება, უნდა იმუშაონ“,—ნათქვამია „დასტურლამაში“ (გვ. 17) ბოლნისელების შესახებ.

მეფე ყველაზე დიდი მემამულე და ყმების პატრონი იყო. მეფის ვენახს რაც მოვლა უნდოდა, ეს გლეხების ვალდებულება იყო.

კახეთს გარდა ქართლშიც საუკეთესო ღვინო მოდიოდა. ატენური ტვინო სხვა კუთხის არცერთ ღვინოს არ ჩამოუვარდებოდა.

არცერთი დარგი მეურნეობისა არ რჩებოდა სახელმწიფო გადასახადებს გარეშე. არაყზე მაგარი ფასები იყო დაწესებული და იმით ვაჭრობის ნებართვა იჯარით იცემოდა ხელისუფლების მიერ (მონოპოლია). კანონმდებლობაში ნათქვამია, რომ „ვინც იჯარით აიღებს არაყს, სხვა კაცი მის მეტი ვერც იყიდის და ვერც გაყიდის... სოფლის არაყს იყიდის ლიტრას სამ ბისტათ, შაურად, მერე დაუდაშათ გამოხდის და ექვს შაურად ლიტრას გაყიდის, ხან შვიდ შაურად“ (დასტურლამა, გვ. 6)

აგრეთვე მესაქონლეობას ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მსხვილი მესაქონლეობა ისევ მეფე-მთავრების და დიდი მემამულეების ხელში იყო. არსებობდა მთელი რიგი ყმათა ჯგუფებისა, რომელთაც მხოლოდ ბატონის ჯოგის მოვლა ეკისრებოდათ. „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა, წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩემ სახლ-კარიდან გამაგდეს შორა“,—ამბობს ზაქრო „კაკო ყაჩაღში“. მთავარი საბალახო ადგილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა: „ბაკურიანის იქით, თორის წყლიდამ ტბის ყურამდე (აწინდელი ახალქალაქის მაზრაა) დგების ზაფხულს ცხოვართა და პიროუტყვთა სიმრავლე“,—ამბობს ვახუშტი (გეოგრ. გვ. 84), ან კიდევ „ტბა ფანავრისა (ესეც ახალქა-

ლაქის მაზრაშია) არის დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვლისა შედის ტბასა მას და იტყვიან მისგან (აქაური თევზის) უგემურობასაო“ (იქვე, გვ. 54). გაზაფხულობით ქართლ-კახეთის ჯოგი ახალქალაქის მაზრაში მიემგზავრებოდა და შემოდგომამდის იქ იკვებებოდა. ასე რომ, საქართველოს მესაქონლეობა ამ მაზრის საბალახოებით სულდგმულობდა და უმისოდ წარმოუდგენელიც იყო.

ქართველ ბრწყინვალე საზოგადოებას ძალიან უყვარდა ნადირობით გართობა. ნადირობა უმთავრესად მეფე-მთავრებისა და სხვა ბატონების მონოპოლია იყო. სანადირო ადგილებში, გარდა მეპატრონე ბატონებისა, სხვას არავის არ შეეძლო შესვლა. გლეხი ბატონის ავ ძაღლსაც ვერ შემოარტყამდა ჯოხს, არამცთუ საბატონო ტყეში თოფს გაისვრიდა და ნადირს მოჰკლავდა. ბატონის ბრძანებით ყველა მისი სამხედრო ძალები უნდა გამოცხადებულ იყვნენ დანიშნულ დროს სანადიროდ წასასვლელად. აქ ბატონი ათვალიერებდა და გებულობდა როგორც მოყმეების ერთგულებას, ისე აგრეთვე მათ მოწყობილობას და სამხედრო მომზადებას—ეს აღლუმი იყო. ნადირის ხორცი საუკეთესო ულუფად ითვლებოდა სასახლეებში, ნანადირევის ტყავი კი უხვად გაჰქონდათ უცხოეთში.

ამ „გართობას“ დიდი ხარჯი და საშვალებანი სჭირდებოდა. არქანჯელო ლამბერტი ამის შესახებ სწერს: „ნადირობის კარგათ მოწყობისათვის მთავარი (დადიანი) ისე ბევრსა ხარჯავს მწევარ-მეძებრებზე, ქორ-მიმინოებზე და ბაზიერებზე*), რომ არა მგონია, მოიძებნოს სხვა მთავარი, რომელმაც გადაჭარბოს მას ამ ხარჯში. ყველა ამაების სარჩენათ მიჩენილია კარგა ძალი სოფლები, რომელთა მოვალეობაცაა თავის დროზე მიაწოდონ ბაზიერებს რიგიანი საჭმელი, ქორ-მიმინოებს ქათმები

*) მონადირე ძაღლების მომვლელები.

და ძაღლებს ღორები, თხები და ღომი". (ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 60).



სურ. № 26.
საჭრაქე (ანუ მაშხალა).

მიწის გულიდან ამონაღები სიმდიდრეთა რაოდენობა მაშინდელ საქართველოში უმნიშვნელო იყო. აქა-იქ— ბორჩალოს მაზრაში, სოფ. წედისში (რაჭაშია) და სხვაგან—რკინის ქარხნებიც იყო გამართული. მაგალითად, სოფ. წედისში ადგილობრივი რკინისაგან კეთდებოდა ცხენის ნალი, ნამგალი, ცული, ჯაჭვი, ქვაბები, მაგრამ ამ ხელობას მაინც წვრილი ხელოსნური ხასიათი ჰქონდა და უმნიშვნელო იყო.

ბატონყმობა.

ბატონყმურმა დამოკიდებულებამ, რაც საუკუნეთა განმავლობაში ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან შეფარდებით ყალიბდებოდა, მაგრამ მაინც რამე საზომით არ განისაზღვრებოდა, ამ დროს, ვახტანგ მეექვსის „სამართალში", განსაზღვრული იურიდიული სახე მიიღო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მე-XVIII-ე საუკუნეში ქართული მეურნეობის სხვადასხვა დარგები მაინც წარმატების გზას ადგა. ჩვენ გავიცანით აგრეთვე მეფეების და სხვა დიდი მემამულეების მსხვილი მეურნეობანი. ბატონების მოთხოვნილება ამ დროს ვიწრო ფარგლებით არ განისაზღვრება. უცხოეთიდან ფუფუნების და სხვა საქონელი შემოდის. ძლევამოსილი საგარეო ომები, რაც გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყარო

იყო, უკვე ისტორიას ჩაბარდა. წარჩინებული წოდებისთვის ყმა და გლეხი მიწასთან ერთად ისეთი აუცილებელი საჭირო შეიქნა, რომ, რაც მეტი ყმა ჰყავს მას, ის მით უფრო შეძლებული და ბედნიერია. ამიტომ, თუ წინათ, პატრონ-ყმობის დროს, როდესაც ბატონი შინაურს მეურნეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, გლეხობის ნაწილიც პირადად თავისუფალი იყო, ახლა (მე-XVIII-ე ს.) მეურნეობის მნიშვნელობის გადიდებასა და ბატონების მოთხოვნილებების შედარებით გაფართოებასთან ერთად, მთელი გლეხობაც ბატონის მამულზე იქნა მიმაგრებული და ბატონის კერძო საკუთრებად იქცა. ახლა აღარ მოიპოება არც ერთი გლეხი, რომელსაც შეეძლოს თავისუფლად თავის ბატონ-პატრონობა.

ფაქტიურად ყმა მთელი თავისი ქონებით ბატონს ეკუთვნოდა. ვახტანგის „სამართალმა“ ეს დააკანონა. იქ ნათქვამია, რომ „ყმაც ბატონისა არის და საქონელიც“ (§ 260), ან კიდევ: „ყმამ ბატონი მოჰკლას, ამისი სისხლი არ გაჩინდების, იმისთვის რომე, ყმისა ყველაფერი ბატონისა არის“ (იქვე § 258). ასე მსჯელობდა „კაცია-ადამიანის“ გმირიც: „წარ-თმევა არაფერი, ეგ, რასაკვირელია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩით-მერდინიცა“.

ყმა უშთამომავლოდ რომ გადაშენდებოდა, რაც ხშირი მოვლენა იყო, მაშინ მთელი მისი ქონება ბატონის ხელში გადადიოდა.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო წარმოადგენდა ზედმიწევნილობით წოდებებად დაყოფილ საზოგადოებას, სადაც თვითეულს წოდებას და ჯგუფს თავისი განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩნეული. გლეხის მოკვლა ყველას შეეძლო, თუკი 12 თუმანს გადაიხდიდა.

„ბატონი ყმას უხელმწიფოდ, ე. ი. მეფის ნებადაურთველად, ნურც მოჰკლავს და ნურც ოჯახს გაუპარტახებსო,—ამბობს ვახტანგი. ცხადია, მაშ, რომ ეს მუხლი კანონმდებლობისა არ

დაიწერებოდა, თუკი ეს მოვლენა ხშირი და საზოგადო არ ყოფილიყო. გლეხს კი არავისი მოკვლა არ შეძლო. „ყმამ ბატონი მოჰკლას, ამისი სისხლი არ გაჩინდების, იმისთვის რომე ყმისა ყველაფერი ბატონისა არისო“. გლეხს კი მცირე დანაშაულობისათვის საშინლად სჯიდენ ხოლმე, მაგ., ვახტანგ მეფის „სამართლის მიხედვით, თუ გლეხი ბატონს ჯოხს დაარტყამდა, მისთვის ხელი უნდა მოეკვეთათ, ან, თუ შეაგინებდა, ენა უნდა ამოეჭრათ. ამით მეფე ანგარიშს უწევდა ბატონების ძალას. ერთადერთი გამოსავალი გლეხის უმწეო მდგომარეობიდან ის იყო, რომ, თუ ბატონი მას უკიდურესობამდე მიიყვანდა, იგი გადაიკარგებოდა და დაემალებოდა ბატონს ექვსი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ ის მეფეს ეყმობოდა. „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დააატანს, თორემ წავა, ექვსს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგებათო“ (იქვე § 201).

მეფე ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც ცდილობდა გლეხის უმწეო მდგომარეობა გაეუმჯობესებია. ამას თვით მეფის ინტერესებიც მოითხოვდა: ფეოდალებთან ბრძოლის დროს ყმა-გლეხების სიმრავლე გამარჯვების სასწორს მის მხარეზე ხრიდა.

ამ დროს სასამართლოც, როგორც წოდებრივი ინსტიტუტი, გაბატონებული კლასის იარაღი უნდა ყოფილიყო. თუ ბატონი ყმას მოჰკლავს, ეგ არაფერია, უკიდურესს შემთხვევაში სხვისი ყმის მოკვლისათვის 12 თუმანს გადაიხდის ყმის ბატონის სასარგებლოდ, მაგრამ გლეხი თუ არასასიამოვნო რამეს ეტყოდა ბატონს („თუ შეაგინებდა“)—ენას ამოჭრიდენ.

გარეშე მტრებთან ბრძოლაში მეფე ისევ დიდი ბატონების ძალასა და გავლენაზე უნდა დამყარებულიყო და ამიტომ ამ მხრით საუკუნეებით გლეხზე განმტკიცებული შეხედულებანი და მისი უუფლებო მდგომარეობა მეფემ ვერ გაუმჯობესა.



სურ. № 27. გლუხის დარბაზი (ქართლში).

აშკარა არის, ქვეყანა რომ თავის საკუთარ ძალთა განვითარებაზე მდგარიყო, მაშინ მეფის კანონმდებლობაც უფრო გაბედული იქნებოდა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ კანონების შედგენაში მეფე დამოუკიდებლად ვერ მოქმედობდა: ამ საქმეში დიდებულნიც იღებდენ მონაწილეობას.

მევახშეობა.

მეთვრამეტე საუკუნეში მევახშეობა საშინელ მძიმე ტვირთად აწვა ქართველ გლეხობას. გადასახადები, განადგურებული საწარმოო საშუალებების აღდგენა, სტიქიური უბედურებანი, მოარული (გადამდები სენი) და სხ. იძულებულს ხდიდენ გლეხებს, მიემართათ ფულის პატრონთათვის სესხის სათხოვნელად. მევახშეები სარგებლობდენ მათი უბედურობით და უზომო სარგებელს ახდევინებდენ. მაგ., თუმნის სარგებელში თვიურად მანეთს იღებდენ. ნასესხებ ღვინოში ერთი-სამს ახდევინებდენ წლის განმავლობაში; ასე დიდი სარგებელი მიჰქონდათ აგრეთვე პურში და სხვადასხვა სანოვაგე-საქონელშიც. არსებობდა სარგებლის სარგებელი და ამრიგად საშინლად იზრდებოდა ვალი, ასე რომ ამ ნიადაგზე ხშირი იყო გაყიდვა თავისი თავის და შვილისაც.

ვახტანგ მეფეს ამ ბოროტმოქმედების აღკვეთაც განუძრახავს და ეს გასაგებიცაა: ფულის მსესხებელნი, უმეტეს შემთხვევაში, ჩარჩი-მევახშე ებრაელი და სომეხი ვაჭრები იყვნენ. მაშ, ამისთანა შემთხვევებში ქართველ გლეხებს ტყავს აძრობდენ არა ქართველი ბატონები, არამედ უცხოელი ჩარჩები. ამით ქართველ გლეხობას ბატონის ბეგარის და სხვა ვალდებულებათა შესრულების უნარი ეკარგებოდა და ეს კი არც პირადად ვახტანგისთვის იქნებოდა ხელსაყრელი და არც იმ კლასისთვის, რომლის წარმომადგენელიც ის იყო.

ამრიგად, მეფეს დაუწესებია და კანონებში ჩაუწერია თუმნის სარგებლად თვეში ხუთი შაური და ნაკლებიც. სარ-

გებლით ერთი-ორად გაზრდილ ვალში მეტი სარგებლის გადახდევინება აუკრძალავს და სხ. მაგრამ საფიქრებელია, რომ არც ეს მცირე შელავათები გატარებულა ცხოვრებაში. ეს მით უმეტეს, რომ თვით კანონმდებელი მუდმივ მერყეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თავისი კანონების დამრღვევნი სასტიკად დაესაჯა. ამ თავის მერყეულ მდგომარეობას თვითონ გრძნობდა, ალბათ, მეფე, როდესაც თავის კანონებს ბოლოში მიაწერა შემდეგი: „მე ასე დამიწერია და ვის როგორც გინდა, ისე იხმარეთ“.

მეურნეობის ფორმები და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში ამ დროს არსებითად ისეთივე იყო, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს კანონმდებლობამ იქაც ჰპოვა ნიადაგი და მიღებულ იქნა უმნიშვნელო შესწორებებით.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალის სპარსეთის საზღვრებიდან უკანდახევამ დიდი გავლენა იქონია საქართველოზე. დასავლეთი საქართველო ფაქტიურად ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. რეალური განხორციელება ამ ბატონობისა ახალციხის ფაშას ჰქონდა მინდობილი. ვინც უფრო ასიამოვნებდა მას და მეტს საჩუქარს და ქრთამს მიართმევდა, ის იქნებოდა გამარჯვებული ქვეყნის პოლიტიკურ ზედაპირზე.

ქართლის სამეფო სახლის და სხვა დიდკაცების მიერ რუსეთის ორიენტაციის არჩევამ უფრო გააღიზიანა მუსლიმანური ქვეყნები. მართალია, რუსეთმა დროებით დაანება თავი აღმოსავლურ პოლიტიკას, მაგრამ ისპაჰანში და სტამბოლში არც ისეთი გულუბრყვილო ხალხი იჯდა, რომ საქართველოს მიერ ორიენტაციის ცვლის შედეგები არ გაეთვალისწინებია.

მაგრამ, რადგან ამ დროს სპარსეთი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ოსმალეთი, ამიტომ ამ უკანასკნელმა გადასწყვიტა, მომავალი ხიფათის (ჩრდილოეთის მხრით) თავიდან ასაცილებლად მთელს საქართველოს დაჰპატრონებოდა. ამ მიზნით ოსმალებმა გამოსწიეს ქართლისკენ და 1723 წ. ჩადგენ ტფილისში. ტფი-

ლისის დაჭერა იმდენად ღირსშესანიშნავი ამბავი იყო ოსმალეთის ბატონებისა და სოვდაგრებისათვის, რომ ეს ამბავი კონსტანტინეპოლში ზეიმით და ქალაქის გაჩირაღდნებით გადაიხადეს. ქართლის ფაქტიურმა გამგემ ისაყ-ფაშამ ააშენა ციხე-კოშკები მუხრანში და ავჭალაში და შიგ თავისი მეომრები ჩააყენა.

თავისი ძლიერების უფრო განსამტკიცებლად ოსმალთა მართველობა რომელიმე ადგილობრივ, ქართულ ძალას უნდა დაყრდნობოდა. ღირსშესანიშნავი მოვლენა აქ ისაა, რომ მან ამ შემთხვევაში გვერდი აუარა ქართველ ფეოდალებს და მოქალაქეთა წრეებზე დაყრდნობა სცადა: ვაჭართა კლასს მაგარი ძალა-უფლების შექმნა სჭირდებოდა, ფეოდალების ინტერესებს კი ეს ეწინააღმდეგებოდა. ამ დროს დაწინაურდა და უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ტფილისის და მთელი ქართლის მართველობაში არა ფეოდალმა, არამედ პლუტოკრატიის წარმომადგენელმა — ვინმე აშხარ-ბეგ ბებუთაშვილმა.

ოსმალეთის მოხელეებმა ასწერეს მთელი მოსახლეობა და როგორც ერთს დროს საათაბაგოში, აქაც კაცის სულზე თითო დრაჰკანი გააწესეს, მსხვილფეხა საქონელზე — ექვს-ექვსი შაური, ცხვარზე — ორი შაური და მთელი შემოსავლის ერთი მეხუთედიც მოითხოვეს.

მაგრამ ოსმალეთის გეგმა მარტო ქართლის დაპყრობით არ განისაზღვრებოდა. მის მიზანს მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა შეადგენდა. ამიტომ ქართლის შემდეგ ჯერი კახეთზე მიდგა და 1729 წელს ისიც ოსმალეთის ბატონობას დაემორჩილა.

მალე ქართლის და კახეთის ფეოდალთა უმრავლესობა წინააღუდგა ოსმალთა ბატონობას; ზოგიერთები ერთიანდებოდენ ამ საერთო მტრის წინააღმდეგ, ზოგნი კი ცალ-ცალკე ებრძოდენ მას. სხვადასხვა მხრიდან პარტიზანული თავდასხმით ფეოდალები მოსვენებას არ აძლევდენ დამპყრობელებს.

ამავე დროს ლეკების შემოსევებიც გრძელდებოდა. ოსმალეთის ფული, როგორც იყო ნათქვამი, ლეკთა რაზმებს უსევ-

და საქართველოს. მაგრამ ახლა, როდესაც თვით ოსმალები გაბატონდენ საქართველოში, საქმე სხვანაირად დატრიალდა: ამის შემდეგ მათთვის არ იყო საჭირო ეს თარეშები. ლეკები ცარცვავდენ ქართველ ხალხს და ეს გარემოება კი ოსმალების შემოსავალს ამცირებდა: ქართველი ხალხი ისედაც ვერ იხდიდა ოსმალების მძიმე გადასახადებს და ლეკების მიერ გაცარცვის შემდეგ, რა თქმა უნდა, უფრო ვერ გადაიხდიდა მას. დრაჰკნები და ქალ-ვაჟები სოკოები ხომ არ იყო, რომ ყოველდღე ამოსულიყო. ამიტომ ოსმალებმა ლეკების წინააღმდეგ ზომები მიიღეს, მაგრამ ვერას გახდენ. ოსმალებმა სცადეს ქართველი ფეოდალების შემორიგება, მაგრამ აქედანაც არა გამოვიდა რა. მთელი საქართველო უკიდურეს მდგომარეობაში იყო. ამ მატერიალურ და პოლიტიკურ უბედურობას თან დაერთო რელიგიური ძალდატანებაც: სოფლებში მოლები ჩააყენეს. სიკვდილის კარზე მიმდგარმა ხალხმა თავისი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად მაჰმადიანობაზე იწყო გადასვლა, ეს კი ეროვნულ სიკვდილს ნიშნავდა. ამის მაგალითს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იძლეოდა.

ამ დროს კახეთის ტახტის მემკვიდრე თეიმურაზი ფშავეთში იმალებოდა. მას გვერდში უდგა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მხნე და ცხოვრებაში ჩახედული ვაჟი—ერეკლე, რომელმაც თხუთმეტი წლისამ უხელმძღვანელა მცირე რაზმს და ქიზიყის წასახდენად წამოსულ ლეკთა თარეშებს მუსრი გაავლო (1733 წ.)

მეურნეობა, ვაჭრობა და კულტურა მე-XVIII-ე საუკუნეში.

მე-XVIII-ე საუკუნეში საქართველო, მიუხედავად პოლიტიკური უკანდახევისა და აურაცხელი გადასახადებისა და თარეშებისა, მაინც აღორძინებისა და წარმატების გზას ადგა. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანამ ძველს გზას და აზიურ კარჩაკეტილობას გადაჭრით ზურგი შეაქცია.ამას

წარმატების და ქვეყნის გადახალისების აუცილებლობა მოითხოვდა.

მიუხედავად საქართველოს მიმართ რუსეთის მთავრობის მიერ მერყევი პოლიტიკის წარმოებისა, საქართველო მაინც ჩრდილო-დასავლეთისკენ იყურებოდა და არა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. როდესაც რუსეთის ელჩი ტფილისში იმყოფებოდა და საქართველოს ოსმალეთთან საომარ კავშირში იწვევდა, ოსმალეთის დესპანებიც აქ იყვნენ და მოითხოვდენ მხოლოდ ნეიტრალიტეტს. ამის სამაგიეროდ ისინი დიდს პოლიტიკურ და ეკონომიურ დათმობაზე მიდიოდენ საქართველოს მიმართ. საქართველო უყოყმანოდ მიემხრო რუსეთს. ასეთი მაგალითი მრავალია.

როგორც მოწმობს თვითმხილველი გერმანელი აკადემიკოსი გიულდენშტედტი, რომელიც 1772 წელს საქართველოში იყო და აღწერა იგი, აქ მოჰყავდათ პური, ბრინჯი ქერი, ბამბა, სელი, კანაფი, ჩინებულად უვლიდენ ვენახს და სხ. ბუნებაც ხელს უწყობდა მოსავლის რიგიანად მოყვანას და, მიუხედავად ათასნაირი გაჭირვებისა, სოფლის მეურნეობა მაინც წინ მიიწევდა და ქვეყანას დროს მიხედვით დოვლათი აღარ აკლდა.

შინამეურნეობა საგრძნობ დადებითს შედეგებს იძლეოდა. ქართული ვაჭრობა განვითარების გზას ადგა. აქ მოჰქონდათ სავაჭრო საქონელი სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან და სამაგიეროდ აქედანაც გაჰქონდათ ადგილობრივი ნაწარმოები. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოვიყვანოთ იგივე გიულდენშტედტის ცნობა ქ. ხონის აღებმიცემობის შესახებ.

იქ იმ დროს თურმე, როგორც ახლაც, თავს იყრიდა პარასკეობით მრავალი ხალხი სავაჭროდ. იქ მოდიოდენ ჩრდილო კავკასიიდან ონის გზით (მამისონის უღელტეხილი) უცხოელები და მოჰქონდათ სხვადასხვა ნაწარმოები, უმთავრესად შალეულობა. სამაგიეროდ აქ ისინი იძენდენ ადგილობრივ ნა-

წარმოებს: აბრეშუმის ქსოვილებს, საღებავ მასალას (ენდროს ძირს და სხ.).

აქ შეიძლებოდა შეძენა წითლად და შავად შეღებილი თფილი ბამბის ქსოვილებისა, რომლის წყრთა (წყრთა=1 ფუტს) $^3/_4$ არშინიან განისა 8 კაპ. ფასობდა. ადგილობრივ მზადდებოდა მაუდი (შალი) რომლის წყრთა აბაზად ღირდა. გამოჰქონდათ გასასყიდად სპილენძის ქვაბები, საყვირი (ბუკი). ყირიმიდან ფოთით მოჰქონდათ ზღვის მარილი, რომლის გირვანქა 2 კაპ. ღირდა. აქვე იყიდებოდა შავი და კასპიის ზღვის საუკეთესო ხარისხის თევზეულობა; უდუმო და ურქო ცხვარი აქვს აბაზად ფასობდა. ცხენები საუკეთესო 30—40 მანეთამდე და სხ. (გიულდ. გვ. 355).

სოფელ წედისში (რაჭაშია) იყო რკინის სახელოსნოები. აქ მზადდებოდა ადგილობრივი რკინისაგან ცხენის ნალი, ნამგალი, ცული, თოხი, ქვაბი, ჯაჭვი და ეს საქონელი იყიდებოდა როგორც შიგნით საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც.

სურამში და საზოგადოდ გორის მაზრაში საკუეთესო პური მოდიოდა. იგი ჩამოჰქონდათ ტფილისში ტივებით. პურის გაყიდვის შემდეგ ტივიც საღდებოდა საშენ მასალად.

სომხეთიდან, ოსმალეთიდან და სპარსეთიდან მოდიოდენ დასავლეთ საქართველოში ღომის შესაძენად. ღვინო ისე ბლომად მოდიოდა, რომ საუკეთესო ღვინოს ფუთს სამ შაურად და აბაზად იყიდდა კაცი. ღორის ხორცი ძალიან ხშირი საჭმელი იყო მაშინ და ღორის მოშენებას სათანადო ყურადღება ექცეოდა.

საქართველოს აბრეშუმი ცნობილი იყო უცხოეთშიც.

მადნეულობა, რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ტყვია გაგამოყენებული იყო ცხოვრებაში. მეფე ერეკლემ ზარბაზნის ჩამოსხმა დააწყებინა ტფილისში. სპილენძი და ვერცხლი კი ხაზინის თვალსაჩინო შემოსავალს შეადგენდა. ფული ტრი-

ალებდა ადგილობრივი—ვერცხლის და სპილენძის—და აგ-
რეთვე ოსმალური, სპარსული და რუსული.

ქალ. ტფილისი შეიცავდა მაშინ ოციათასამდე მცხოვრე-
ბელს. ქალაქს გალავანი ჰქონდა შემორტყმული, რომლის
სიგძე სამ ვერსს უდრიდა. ქუჩები ძალიან ვიწრო და უსუფ-
თაო ყოფილა. სახლები ქვისა და აგურისაგან იყო ნაკეთები.
სახლებს ბუხრები ჰქონდა. ფანჯრებში მინების ნაცვლად გა-
ზეთილი ქაღალდი ჰქონდათ ჩასმული. შენობებს მტკიცეს და
კარგს არ აკეთებდენ; ეს ალბად იმიტომ, რომ ქალაქს მტრები
ხშირად აოხრებდენ და კარგ ნაშენსაც დაანგრევდენ და ცუდ-
საც. ქალაქის ახლომახლო ვენახის და ხეხილის ბაღები იყო
გაშენებული.

რელიგიურს და ეროვნულს შუღლს აქ ადგილი სრუ-
ლიად არ ჰქონია. იგივე გიულდენშტედტი მოგვითხრობს, რომ
აქ (ტფილისში და საქართველოში) ყველას აქვს უფლება აღი-
არაოს ის სარწმუნოება, რომელიც მას მოსწონსო. ამიტომაც
იყო აქ ეროვნული მრავალფეროვანება მოსახლეობისა. აქ ცხოვ-
რობდენ სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსმალნი, სპარსნი,
ინდოელები, რუსები და სხვა ევროპელნი.

სწავლა-განათლების საქმეს წარმატება ეტყობოდა. ტფი-
ლისში და თელავში არსებობდა ეგრეთწოდებული „სა-
ფილოსოფიო სემინარია", სასულიერო აკადემიის მსგავსი უმაღ-
ლესი სასწავლებელი. უცხო ენებიდან სხვადასხვა სახელ-
მძღვანელოები ითარგმნებოდა და მზადდებოდა. ლიტერატუ-
რამ და საისტორიო მეცნიერებამ თვალსაჩინოდ იწყო აღორ-
ძინება. ამ მხრივ შესანიშნავია პაპუნა ორბელიანის ორიგინა-
ლური ისტორიული თხზულება, სადაც ავტორი მეცნიერულს
მიუდგომლობას იჩენს. ძველი დრომოჭმული ენა და იერი ქარ-
თულს ლიტერატურაში გზას უთმობს ახალს, ხალხურ ენას
და იერს.

ამ დროს საფუძველი ჩაეყარა საქალაქო მართველობის

და თვითმართველობის დებულებებს. იყო ღვაწლი—ცდა მუდმივი ჯარის შესაქმნელად და სხ. *).

ურთიერთობა სპარსეთთან.

ავღანელებთან სპარსეთის ბრძოლის დროს განდიდდა და ამაღლება იწყო ვინმე ნადირმა. 1722 წ. მან გადმოაგდო ტახტიდან შაჰი და ახალგაზრდა მემკვიდრის რეგენტობა იგდო ხელთ. ამრიგად, იგი გახდა ნამდვილი დიქტატორი მთელი სპარსეთისა. მან მაშინვე მიაქცია ყურადღება ოსმალების ბატონობას სპარსეთის ყოფილ სამფლობელოებში და მათ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო. 1735 წლისთვის მან უკვე დაასრულა ოსმალებთან ომი და ახლა სხვა თავის ზრახვების შესრულებას მიჰყო ხელი.

ამ ომების დროს საქართველო სპარსეთის მხარეზე იყო. საქართველოს მდგომარეობა ასეთი იყო უძველესი დროიდან: იგი ხან ერთს მტერს ემხრობოდა მეორეს წინააღმდეგ ბრძოლაში და ხან მეორეს—პირველის დასამარცხებლად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბატონობდა აქ იმ მომენტში და რომლის ბატონობა იყო უფრო დამღუპველი მისთვის. საბოლოო მიზანი კი ის იყო, რომ ერთი მტრის შემწეობით მეორე დაესუსტებია და ბოლოს გაედევნა აქედან ერთიც და მეორეც.

როგორც ვთქვით, უზურპატორ ნადირს დიდი სამხედრო პერსპექტივა და მიზნები ეშლებოდა თვალწინ და მის სისრულეში მოსაყვანად აუარებელი ფული და სხვა საშუალებანი ესაჭიროებოდა მას. მან ოსმალების განდევნის შემდეგ დაუყოვნებლივ მიჰყო ხელი საქართველოს დაბეგვრას: მოაკრებინა მარტო ტფილისში ათიათასი მანეთი, ქართლზე გააწერა ოცდაათიათასი მანეთი და ათიათასი კოდი პური, ქართლ-კახეთს ორიათასი მეომარი მოსთხოვა. ყველაფერი ეს მოკლე ხანში

*) ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქ. შორის მე-XVIII-ე ს.

იქნა შესრულებული და გაეგზავნა ნადირს. ამრიგად, მართალია, ოსმალო მცარცველები განდევნილ იქნენ აქედან, მაგრამ ამით საქართველოს მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესდა. ამის გამო წინა ომებში მის მხარეზე მყოფი ქართველი არისტოკრატია ახლა სრულიად გადუდგა ნადირს. შესდგა პარტიზანული რაზმები და ყოველის მხრით გამუდმებული დაცემებით საქმე გაუჭირეს სპარსეთის ჯარს. ამით ნადირი უფრო გამხეცდა. რამდენიმეჯერ ააოხრა მან ქვეყანა და, როგორც გადმოგვცემს იმდროინდელი საბუთები, აჰყარა ათასსამასი მოსახლე კაცი და სპარსეთს გადაასახლა. ამის გარდა კიდევ 6,500 ტყვე წააყვანია აქედან. მაგრამ არც ამით გაკეთდა საქმე: ქართველი პარტიზანები არ ცხრებოდენ, ნადირი კი ავღანისტანსა და ინდოეთში აპირებდა გალაშქრებას და ამიტომ მისი საბრძანებლის ჩრდილო საზღვრების უზრუნველყოფა აუცილებელი იყო მისთვის. სხვა რომ ვერაფერი შესძლო, ისევ ქართლ-კახეთის შემორიგება არჩია და ამ მიზნით ქართლ-კახეთს თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ეს შევიწროებანი და დიდი გადასახადები მისი მოხელეების საქმე იყო და მან ამის შესახებ არც კი იცოდა რა. სპარსი მოხელეების სასტიკად დასჯის შემდეგ მან გაათავისუფლა მრავალი ტყვე ქართველი დიდკაცობა, მხოლოდ კახეთის ბატონს თეიმურაზს მოსთხოვა შვილი ერეკლე და თვით მას განთავისუფლებას დაჰპირდა. ერეკლე საჩქაროდ გაემგზავრა ნადირთან და თეიმურაზი დაბრუნდა კახეთს მეფედ.

მთელი ორი წლის განმავლობაში ერეკლე ნადირს ახლდა ავღანისტანსა და ინდოეთში. მან ამ ხნის განმავლობაში დიდი სამხედრო ცოდნა და გამოცდილება მიიღო და შემდეგ, თავისი მეფობის დროს, ეს ცოდნა-გამოცდილება საქმეში გამოიყენა.

ნადირის წინადროინდელი ლმობიერება მხოლოდ მოჩვენებითი იყო. მის ბატონობას მხოლოდ ცარცვა და ტყვევნა ასულდგმულებდა. ამიტომ საქართველოსაც ისევ საშინელი დღეები დაუდგა. გაღატაკდა ქართველი ხალხი, გაღარიბდენ

ქართველი ბატონები. ქართველი გლეხის მთელი ნამუშევარი სპარსელების გადასახადებს უნდებოდა. დაიწყო ისევ აჯანყებები, გახშირდა პარტიზანული თავდასხმები სპარსელებზე.

ტფილისი და ქართლი მტრის ხელში იყო; მხოლოდ კახეთის მეფე ცდილობდა, შექმნილი მდგომარეობით ესარგებლნა: ის სპარსელების მხარეზე იყო და ამით ქართველი ფეოდალების დასუსტება და განადგურება სურდა, რომ მომავლისათვის მაინც უზრუნველეყო თავისი ბატონობა მათგან. ამ პოლიტიკამ გასჭრა: ძლიერმა შაჰ-ნადირმა 1744 წ. თეიმურაზს ქართლის სამეფო მისცა, მის შვილს ერეკლეს კი კახეთის.



სურ. 28. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის კაჟიანი თოფი საქართველოში.

მაგრამ ეს მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელდა: როგორც კი იგრძნეს თავი ცოტათი გამაგრებულად, მამა-შვილმა—თეიმურაზმა და ერეკლემ—სპარსეთის საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყეს და ქვეყნის გათავისუფლება განიზრახეს. ამ საქმეში მათ გარემოებამაც შეუწყო ხელი: შაჰ-ნადირი მოჰკლეს და სპარსეთში ისევ არეულობა დაიწყო. ამით სპარსეთი სუსტდებოდა. ქართლ-კახეთის მეფეები გაფაციცებით ადევნებდენ თვალყურს სპარსეთის ამბებს და ცდილობდენ, ყოველი მოხერხებული მომენტით ესარგებლნათ, რომ ფაქტიურად უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთი მოლონიერების გზას დადგომოდა.

გარეშე მტრების დასუსტების დროს ისინი არ ჯერდე-

ბოდენ მარტო შინაურ საქმეებზე შეჩერებას: როგორც კი დაუდგებოდათ ხელსაყრელი დრო, მაშინვე აქტიურ პოლიტიკაზე გადავიდოდენ ხოლმე და მეზობელ ქვეყნებს საქმეს უჭირებდენ.

სპარსეთის დასუსტების დროს თეიმურაზმა შესძლო თავის მოხარკედ გაეხადა ყაზახის, ერევნის, განჯის, შაქის და ყარაბახის სახანოები. 1751 წელს ერეკლე მეფე დიდი ჯარით სპარსეთისკენ აპირებდა გალაშქრებას, რომ სამხრეთი საზღვრები ქართლ-კახეთისა და სხვა სამფლობელოები უზრუნ-



სურ. № 29. მეთვრამეტე საუკუნის ზარბაზანი საქართველოში.

ველეყო იმ მხრით შემოსევებისაგან. მხოლოდ ლეკთა თარეშებმა და ზოგიერთი ფეოდალების ამბოხებამ აიძულა ის, დაბრუნებულიყო უკან და საკუთარი საქმისთვის მიექცია ყურადღება.

ლეკთა მოძრაობა მაინც არ ცხრებოდა. ლეკები მრავალრიცხოვანი რაზმებით სიცოცხლეს უმწარებდენ ქვეყანას. (იყო შემთხვევა, როდესაც ლეკები 10, 15 და 20-ათასი ჯარით დათარეშობდენ საქართველოში). როდესაც თვითონ თავისი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა მეფე ერეკლე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას, ის იძულებული ხდებოდა, ჩრდილოეთიდან

ჩერქეზები და სხვა მთიელი მეომრები დაექირავებია და ისე გამკლავებოდა ლეკთა შემოსევებს. ამ დროს ლეკების შემოსევაზე უფრო მეტი უბედურობა საქართველოსთვის არც კი იყო. მუდამ იარაღით ხელში უნდა მდგარიყვენ ქართველები, რომ დაეცვათ თავისი ავლადიდება და ცოლ-შვილი ლეკთა თავდასხმებისაგან.

ძლიერ რთული იყო ქვეყნის მდგომარეობა. ხალხი მოიქანცა საუკუნეთა განმავლობაში უამრავი გადასახადით, მოზღვავებულ მტაცებლებთან უსწორო ბრძოლით და სხვა. ამ პირობებში არ შეიძლებოდა არავითარი მშენებლობა, ეკონომიური და კულტურული აღორძინება ქვეყნისა. თეიმურაზი და ერეკლე ისევ დაადგენ ქართველი მეფეებისაგან არა ერთხელ ნაცად გზას, და რუსეთს მიმართეს. 1760 წ. თვით თეიმურაზი გაემგზავრა რუსეთს, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა ამ მგზავრობიდან: თეიმურაზი ქათინაურებით გამოისტუმრეს. იგი მოკვდა ასტრახანში 1762 წელს. გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ გახდა მისი შვილი ერეკლე.

მიზეზები, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს საქართველოში ერთი ცენტრალური ძალა-უფლების შექმნა.

საქართველო თავისი სოციალური ვითარებით მეთვრამეტე საუკუნეშიც ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა. საქართველოს ეკონომიური და კულტურული წინსვლა, უმნიშვნელო მომენტების გამოკლებით, ყოველთვის უცხო ძალების გავლენის ქვეშ ხდებოდა. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი საკუთარი გზით ევლო. ამიტომ ის, რაც სხვა ქვეყნებში შედარებით სწორი გზით მიდიოდა და განსაზღვრულ წესებს ემორჩილებოდა, აქ სულ სხვა სურათს იძლეოდა. საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი ეროვნულმა კაპიტალმა, ვერ განვითარდა აღებმიცემობა იმდენად, რომ მას მოეთხოვა და აუცილებელი გაეხადა თავისი ძლიერი ცენტრალური ძალა-უფლე-

ბის შექმნა. არ იყო ახალი ძალა—ძალა ფულისა, რომ ქვეყანა ემართა და ცხოვრებას სათავეში ჩადგომოდა. ისე დასრულდა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომ მის ერთადერთს დასაყრდნობ ძალას მაინც თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება წარმოადგენდა. ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნიდან ქართველი ბატონები საშინლად ეწინააღმდეგებოდენ საქართველოს გაერთიანებას და ძლიერი ცენტრალური ძალა-უფლების შექმნას.

მაგრამ იმ დროს საერთო პირობების მიხედვით ფულის და სამსახურის არისტოკრატიამ ნაწილობრივ ეს საქმე მაინც გააკეთა. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ქართული ეკონომიკა და სახელმწიფოებრივობა გაერთიანებული იყო, განსაზღვრულ კალაპოტში იყო ჩაყენებული და შედარებით ნორმალური გზით მიემართებოდა წინ.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის შინაურ საქმეებში უცხო ძალა გაერია (მონღოლები) და საქმეები არივ-დარია. ქვეყანა ისევ დაქუცმაცების და დანგრევის გზას დაადგა. ადგილობრივმა ბატონებმა ისევ წამოჰყვეს თავი, წარმოიშვენ სამეფოები და სამთავროები; ამათში კიდევ გაჩნდენ თითქმის დამოუკიდებელი ბატონები და ასე შემდგომ. ამის შემდეგ, მიუხედავად გამუდმებული მცდელობისა, ადგილობრივმა ეკონომიკამ ვერ შესძლო გაერთიანებული, მაგარი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. ქვეყანა მაინც მსხვილ მიწათმფლობელობაზე ემყარებოდა და ბურჟუაზიული მეურნეობის და კლასის ნასახიც კი არ სჩანდა.

მეთვრამეტე საუკუნეში ქვეყნის გაერთიანების და მთელი ძალა-უფლების ერთ ცენტრში თავის მოყრის მცდელობა უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა დროს. მაგრამ რადგან ადგილობრივი ფული და აღებმიცემობა ახლაც უსუსური აღმოჩნდა, ამ საქმის განსახორციელებლად დასაყრდნობ ძალას ისევ გლეხობა წარმოადგენდა. თავად-აზნაურობა ხომ მთელი თავისი

არსებით წინააღმდეგი იყო ამისი· გლეხების საარსებო ინტერესები მოითხოვდა, რომ მეფესა და ფეოდალებს შორის ბრძოლის დროს გლეხობა მეფის მხარეზე ყოფილიყო. მეფეებიც ცდილობდენ გლეხობის გადმობირებას თავის მხარეზე, მაგრამ ამის ასრულებას დიდი სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა სჭირდებოდა: მეფის გაუფრთხილებელ ნაბიჯებს ამ მხრივ შეეძლო მოწინააღმდეგის ძალები გააერთიანებია, ამით კი საქმე უფრო გართულდებოდა.

ვახტანგ მეფე ძლიერ ფრთხილია ამ-საქმეში: „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჰყობს, მოვა, ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგებათო“. ან კიდევ—იმავე კანონმდებლობაში მეფე ყმას ნებას აძლევს უჩივლოს ბატონს მეფესთან. მევახშეობის შესახებ დადგენილებაც ასეთი ხასიათისაა. მაგრამ მეფე ვერ ანხორციელებდა ამ მიზანს, რადგან გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს მას ისევ დიდი ბატონების ძალაზე უხდებოდა დაყრდნობა.

საერთოდ, მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეების ერთ მთავარ საზრუნავს მაინც ქვეყნის გაერთიანება შეადგენდა. ამ მხრივ ცოტა მაინც გაკეთდა: გაერ-



სურ. № 30. გურზი—სამარი ჯოხი (სვანეთიდან).

თიანდა ქართლ-კახეთი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების საქმეს დიდი ძალა და მეცადინეობა შეალია ერეკლე მეორემ. იმერეთის მეფეების მუდმივ საზრუნავს საშინაო პოლიტიკაში ისევ ქვეყნის გაერთიანება შეადგენდა. ბოლოს წამოიჭრა საკითხი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ეს აზრი ისე ძლიერი იყო, რომ ერთ დროს ერეკლეს გადაწყვეტილიც ჰქონდა, თუმც იარაღით ხელში, მაგრამ მაინც შემოეერთებია თავისი სამეფოსთვის იმერეთი. დაბრკოლება მხოლოდ იმაში იყო, რომ ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს თავის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნად თვლიდა და მის შემოერთებას შეეძლო სერიოზული გართულება გამოეწვია ამ ორ სახელმწიფოს შორის. ამ განზრახვის საპასუხოდ იმერეთის მეფემ სოლომონ I ხელი შეუწყო ვახტანგის შვილიშვილს ალექსანდრეს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობაში.

ოთხმოცდაათიან წლებში ისე შეაწუხა ქვეყანა იმერეთში ფეოდალებს შორის ბრძოლამ, ორ მეფეს შორის მეტოქეობამ (დავით მე-II-ე და სოლომონ მე-II-ე), ისე მოირწყო სისხლით ქვეყანა და ისეთი ზიანი მიაყენა იმერელ დიდკაცობასაც ამ არეულობამ, რომ ახლა იმათაც აუცილებელ საჭიროდ სცნეს ერთი მთლიანი ქართული ძალა-უფლების შექმნა, ე. ი. საქართველოს სრულიად გაერთიანება. ამ მიზნით იმერეთიდან ტფილისს მოვიდა საგრძნობად დიდრიცხოვანი დელეგაცია. ამ დელეგაციას შეუერთდენ ქართლის და კახეთის წარმომადგენელნიც და გაიმართა თათბირი. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ ეს კრება (იმერლების გამოკლებით, რომელნიც ყოველ შემთხვევაში მოითხოვდენ გაერთიანებას) მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ჯერჯერობით კიდევ შეუძლებელია ამ დიდი საქმის განხორციელებაო. ეს აზრი უფრო ერეკლეს ეკუთვნოდა. ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობდა იმით, რომ იმერეთის ტახტზე უნ-

და ასულიყო მისი შვილიშვილი სოლომონ მე-II-ე და იმერეთის და ქართლ-კახეთის გაერთიანება მას შესაძლოდ მიაჩნდა უმტკივნელოდ—ნათესაობის საფუძველზე, როგორც ეს მოხერხდა ქართლ-კახეთის გაერთიანების დროს.

ამ კარგ საქმეს შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის პოლიტიკური კავშირი შეიკრა. მეფე ერეკლემ, სოლომონ მე-II-ემ, დადიანმა და გურიელმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით მოკავშირენი სცნობდენ ერეკლეს პირველობას, როგორც ქართლ-კახეთის მეფისას და მას უზენაეს ხელმწიფედ აღიარებდენ.

წინათ დიდი თავადები თავის სამფლობელოებში თვით ასრულებდენ მართველის და მოსამართლის ფუნქციებს. ახლა მეფე უკვე ყველასაგან იღებდა საჩივრებს და ბატონების შინაურ საქმეებში საკმაოდ შეიჭრა. ახლა იგი გლეხებისაგანაც იღებდა საჩივრებს ბატონებზე. ცხადია, მეფეს უნდოდა მთელი ძალა-უფლების ერთ ცენტრში თავის მოყრა. ამით, რა თქმა უნდა, ფეოდალები უკმაყოფილონი იყვნენ და მეფეს მათ არა ერთი შეთქმულება და ამბოხება მოუწყვეს. 1757 წელს ქართლ-კახეთში მცხოვრები მუსლიმანური მოსახლეობა აუჯანყეს. აქ, უთუოდ, უცხო ხელიც მუშაობდა. მეამბოხენი დასჯილ იქნენ დიდი ჯარიმით: მათ გადაახდევინეს 5 ათასი ცხვარი, 4 ათასი ძროხა, ასი ცხენი და სხ.

მეორეჯერ (1767 წ.) დიდმა ბატონებმა ხელზე დაიხვიეს ვითომდა უსამართლობა, რის წყალობითაც ერეკლეს ქართლ-კახეთის მეფობა ეპყრა. ფეოდალებს სურდათ თავიანთ გავლენის ქვეშ მყოფი მეფე და პაატა ბატონიშვილის—ვახტანგ მე-VI-ის შკილიშვილის—გამეფება მოინდომეს. ერეკლემ ეს ამბოხებაც დიდის სისასტიკით ჩაახრჩო: პაატას თავი მოჰკვეთეს, სხვები ზოგი დახვრიტეს, ზოგი ჩამოახრჩვეს და ასე შემდგომ.

ამავე ხანებში მეფის მტკიცე ხასიათით და მკაცრი მოთხოვნებით გაბოროტებულმა ზოგიერთმა თავადებმა, თავის უფ-

ლებების და მდგომარეობის დამკირების შიშით, მეფეს სერიოზული შეთქმულობა მოუწყვეს. შეთქმულობას მეთაურობდა ზაალ ორბელიანი, მაგრამ მას არ დასცალდა განზრახვის სისრულეში მოყვანა. აქაც უცხო ხელი მუშაობდა (რუსეთის მთავრობის აგენტი ბაკუნინი). ასეთს შეთქმულობებს და აჯანყებებს როგორც ერეკლეს, ისე იმერეთის მეფეების წინააღმდეგ საზღვარი არა ჰქონდა. ეს დამახასიათებელია იმისა, თუ რამდენად მოუმწიფებელი იყო საქართველოში საღი საზოგადოებრივი ძალები, რომ ქვეყნის მოწყობისა და გამართვისათვის ხელი შეეწყოთ.

საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ომიანობის ხანაში.

(1768—1774 წწ.)

საქართველოს მთავრობამ კიდევ არა ერთხელ მიმართა რუსეთის მთავრობას შემწეობისთვის, მაგრამ ყველა ეს მიმართვანი უშედეგოდ რჩებოდა. როდესაც რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა გადასწყვიტა უთუოდ შავი ზღვის ნაპირების ხელში ჩაგდება და ამ მიზნით გადაწყდა ოსმალეთისთვის ომის გამოცხადება (1778 წ. ნოემბერს), საქართველოს საკითხიც თავისთავად წამოიჭრა რუსეთის მთავრობის წინ. პეტერბურგში საჭიროდ დაინახეს საქართველოს მეფე-მთავრების ამ ომიანობაში ჩათრევა, რომ ამით ოსმალეთის ძალები ამიერ-კავკასიის ფრონტზე დაბანდებულიყო. დიდი ხნის უშედეგო თხოვნების შემდეგ ქართველი მეფე-მთავრები დიდი სიხარულით შეხვდენ ამ ამბავს. რუსის მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოში ჯარის გამოგზავნა. რუს და ქართველ ჯარს საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფის მეთაურობით და ხელმძღვანელობით ოსმალეთისთვის ბრძოლა უნდა აეტეხა. ამის სამაგიეროდ რუსეთის მთავრობას ოსმალეთთან მომავალი ზავის დროს ზავის ერთ-ერთ პირობად საქართველოს გათავისუფ-

ლება უნდა მოეთხოვა ოსმალეთის მთავრობისგან. ეს გულისხმობდა ჩამორთმეული ქვეყნების—სათაბაგოს და სხვა კუთხეების დაბრუნებასაც.

საქართველოში ჩამოსულ რუსეთის ჯარს (3.600 კაცს) ხელმძღვანელობდა გენერალი **ტოტლებენი**. თითქოს განგებ იყო შერჩეული ამ ექსპედიციისთვის ეს ყოველ ღირსებას მოკლებული ავანტიურისტი გენერალი. მისი აქ მოვლინება საბედისწერო საქმედ იქცა საქართველოსთვის. საქმის გადამწყვეტ მომენტში, როდესაც რუს-ქართველი ჯარი მტერს უნდა შებრძოლებოდა (აწყურთან), ტოტლებენმა უცბად დასტოვა პოზიცია და სურამში ჩამობრძანდა. მცირერიცხოვანმა ქართველმა ჯარმა მარტო სძლია მტერს სოფ. ასპინძასთან, მაგრამ ამით რა გაკეთდებოდა: მოწინააღმდეგე მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო. ქართველმა ჯარმა იქ ვერ შესძლო გამაგრება და უკან დაიხია. ტოტლებენმა იმერეთში ქუთაისი, შორაპანი და ბაღდადი, სადაც სამოც-სამოცი ოსმალთა მეომარი იდგა თითოში, გაათავისუფლა. შემდეგ ქართლში გადმოვიდა და დუშეთის და ანანურის სიმაგრეებს დაეპატრონა.

მეფე ერეკლეს არ უნდოდა რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულება გაემწვავებია და ამიტომ დიდ ყურადღებას არ აქცევდა ტოტლებენის უმსგავსო მოქმედებას, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ტოტლებენის საქმე ეგონა და დარწმუნებული იყო, რომ მას რუსეთის მთავრობა ალაგმავდა და დასჯიდა. მაგრამ, როდესაც ტოტლებენმა აქა-იქ ხალხი რუსეთის მთავრობის ერთგულებაზე დააფიცა და ბოლოს გორის ციხეში გამაგრდა, მაშინ ერეკლემ მისი დაჭერა განიზრახა.

ამასობაში რუსეთიდან ამ საქმის გამოსაძიებლად კაცები გამოაგზავნეს. პეტერბურგში, თურმე, ამბავი ყოფილა მისული, ტოტლებენმა მეფე ერეკლე ტახტიდან ჩამოაგდო და ქვეყანას თვით დაეპატრონა რუსეთის მთავრობის სახელითო. ამიტომ გამოგზავნილ მოხელეს (იაზიკოვს) ორი სხვადასხვა ში-

ნაარსის წერილი მოჰქონდა თან: ერთი, თუ მეფე მართლა გადაყენებულია და ამ მიზეზით ქართველები არ ებრძვიან ოსმალებს, მაშინ მეფე ისევ უნდა აღედგინათ თავის უფლებებში; მეორე, თუკი ეს ასე არ არის, მაშინ ტოტლებენი უნდა მოეხსნათ სამსახურიდან. ტოტლებენი გადააყენეს, მაგრამ ვერც მისმა მოადგილემ (სუხოტინმა) გაართვა თავი აქაურ საქმეებს. შემდეგ, როდესაც რუსეთში და ოსმალეთში ზავის ჩამოგდებაზე დაიწყეს ლაპარაკი, ჯარიც დაუყოვნებლივ გაწვეულ იქნა აქედან. ზავის ჩამოგდების დროს რუსის მთავრობამ, წინაალმდეგ დაპირებისა, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომ ქვეყნად იცნო.

ახლა ერეკლემ უმთავრესად შიგნით გამაგრება გადასწყვიტა. მან გაიჩინა „მორიგე“ ჯარი. ამავე დროს ის განაგრძობდა საქართველოს გაერთიანებაზე ზრუნვას; გააუქმა ქსნის საერისთაო.

იმერეთის მეფეც ამავე აზრით იყო გამსჭვალული; მანაც შესძლო რაჭის საერისთაოს გაუქმება. ლეკების იერიშებს „მორიგე“ ჯარმა დიდი ზიანი მიაყენა. ამრიგად ქვეყანამ ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა იწყო. ქვეყნის ეკონომიურად განვითარებას, განათლებას და საერთოდ, კულტურულ წინსვლას ყურადღებით დაუწყეს მოპყრობა.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალი ისევ სპარსეთისაკენ მიიწევს.

ამ დროს რუსეთის კაპიტალს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, კასპიის ზღვას სრულიად დაპატრონებოდა. უნდა ითქვას, რომ მე-XVIII-ე საუკუნის პირველ ნახევარში რუსულ ვაჭრობას აღმოსავლეთში დიდად ჰქონდა ფეხი მომაგრებული. იმას არც მარტო კასპიის ზღვა მიაჩნდა საკმარისად თავისი ოპერაციებისათვის, მას სხვა გზაც ესაჭიროებოდა: მას უნდოდა ინდოეთისაკენ უფრო მოკლე გზა გამოენახა, ვიდრე დასავლეთ

ევროპას. ეს გზა, ცხადია, სპარსეთის გზა იყო*).

მაგრამ რუსეთის ვაჭრობისათვის არც გაერთიანებული და ძლიერი სპარსეთი იყო ხელსაყრელი და არც სუსტი, მუდმივ ანარქიის მორევში მცურავი**).

რუსეთის სავაჭრო ოპერაციები ისეთი თვალსაჩინო და ცნობილი მოვლენა იყო აღმოსავლეთში, რომ აღა-მაჰმად-ხანს 1797 წ. მეფე ერეკლეს სწერდა: „ასე იცოდე, რომ რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველჟამს აღებმიცემობა, ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, არას დროს იმათგან ხმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არა კაცს არ უნახავს“ (Грамоты и др. исторические документы—Цагарели т. II, стр. 134).

როგორც ვთქვით, რუსების სპარსეთში შესვლა და გავლენის მოპოება გადაწყვეტილი საქმე იყო.

მეფე ერეკლესთან ამ დროს იმყოფებოდა გერმანელი მოგზაური დოქტორ რაინეგსი. 1782 წელს იგი მიპატიჟებულ იქნა რუსეთში. მალე ის დაბრუნდა ისევ საქართველოში, მაგრამ ახლა უკვე როგორც რუსეთის წარმომადგენელი ქართველ მეფეებთან. იგი შეეცადა ჩაეგონებია მეფეები, რომ რუსეთის მთავრობისთვის ისევ ეთხოვათ მფარველობა და შემწეობა. რაინეგსის მისიამ და ზოგიერთი ჯგუფების მცდელობამ ნაყოფი გამოიღო და 1783 წელს ხელშეკრულება იქნა დადებული რუსეთსა და საქართველოს შორის.

ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი თავის მფარველო-

*) Спокойствие в Персии откроет России богатый торг... Удобовозможно будет открыть путь в Индию и привлечь к нам богатейший торг сей кратчайшими путями, чем тот, коему следуют все народы европейские, обходя мыс Доброй Надежды. (Бутков. Материалы, т. II стр. 355).

**) Польза Империи Российской взыскует предостерегать и не допускать до соединения и утвержденя всех сил народа сего (ე. ი. სპარსეთი) воедино... (Бутков. Материалы, т. II, стр. 336).

ბის ქვეშ იღებდა საქართველოს, რუს და ქართველ ვაჭრებს თავისუფალი უბაჟო მიმოსვლის ნება ეძლეოდათ ორთავე ქვეყანაში. საგარეო პოლიტიკაში საქართველოსთვის საჭირო იყო წინასწარ შეთანხმება რუსეთის მთავრობასთან; შინაური მართვა-გამგეობის სხვა საქმეები ხელუხლებელი რჩებოდა.

ხელშეკრულობის შედეგები.

ამის შემდეგ საქართველოზე უფრო ამხედრდენ მახლობელი მუსულმანური სახელმწიფოები. ოსმალეთმა ამის გამო პროტესტი გამოუცხადა რუსეთს და მოთხოვა მას, საქართველოს საქმეებისთვის თავი დაენებებია. არც სპარსეთში იყვნენ რუსეთის მადლობელი. რუსეთმა ჯერჯერობით თავი ააარიდა ამ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გამწვავებას და ის მცირერიცხოვანი ჯარიც, რომელიც მას აქ ჰყავდა, უკან გაიწვია; მაგრამ ამ საბედისწერო მომენტშიც ჰპოვა საქართველომ გამოსავალი: ამ დროს მთელმა საქართველომ სცნო ქართლ-კახეთის ჰეგემონია, ოსმალეთთან ისევ შეიქმნა შესაძლო მშვიდობიანობის დამყარება, ლეკების თარეშები თითქმის სრულიად ალაგმულ იქნა. ჩრდილო აზერბეიჯანის სახანოები ისევ ქართლის მეფის მორჩილებაში იყვნენ.

ამ ხანებში სპარსეთში ისევ ანარქია მძვინვარებდა. ამ არევ-დარევის ხანაში უფლების მიმტაცებელითა შორის აღა-მაჰმად-ხანმა იწყო გაძლიერება. რუსეთმა კი ოსმალებთან ომის გათავების შემდეგ 1792 წელს პირი ისევ სპარსეთისკენ იბრუნა. იგი უკვე ერეოდა სპარსეთის საქმეებში და აღა-მაჰმად-ხანის ერთს მეტოქეს მფარველობა აღმოუჩინა, მაგრამ იგი მაინც დამარცხებულ იქნა აღა-მაჰმად-ხანის მიერ. ეს უკანასკნელი, როგორც ყველა სპარსი დესპოტი, ინდოეთისკენ აპირებდა გალაშქრებას, რომ იქიდან ნაცარცვი და ნადავლი წამოეღო და მით თავისი ხარჯები გაესწორებია. ამიტომ მან ჩრდილო საზღვრებს დიდი ყურადღება მიაქცია, რომ ამ მხრივ

თავიდან აეცილებია საშიშროება. ამ მოსალოდნელი საშიშროების ბუდედ იგი რუსეთს სთვლიდა და ამიტომ მისი აყრა და განდევნა მოინდომა როგორც სპარსეთიდან, ისე აგრეთვე მეზობელ ქვეყნებიდანაც. მან აჰყარა რუსული ახალშენი ენზელში და გააცარცვინა რუსეთის მოქალაქენი. ამასაც არ დაჯერდა და ჩრდილო აზერბეიჯანში შემოიჭრა, რომ აქედან ზეგავლენა მოეხდინა საქართველოზე და რუსეთთან მეგობრობაზე უარი ეთქმევინებია. აზერბეიჯანის ხანებმა, როგორც ერეკლეს ერთგულებმა, უარი განაცხადეს მასთან რამე ურთიერთობის დამყარებაზე, სანამ ამის ნებას მეფე ერეკლესაგან არ მიიღებდენ. აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლესთან მეგობრული დამოკიდებულების დამყარება სცადა. იგი თხოვდა ერეკლეს მხოლოდ იმას, რომ რუსეთთან გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი და სამაგიეროდ მთელს აზერბეიჯანში გაბატონებას პირდებოდა.

ერეკლე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას ანგარიშს უწევდა და აზიელ უზურპატორთა მეგობრობას და კავშირს უარყოფდა. რუსეთიდან კი საიმედო ამბები არ მოდიოდა. იქიდან შემოთვალეს, საქართველოში ჯარის გამოგზავნა ჯერჯეროობით საჭიროდ არ არის ცნობილი. ამავე დროს აღა-მაჰმად-ხანს შიგნით სპარსეთში საქმეები გაურთულდა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო.

ამგვარად, საქართველოს დროებით მოშორდა მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ იგი მაინც ხედავდა, რომ სპარსეთთან ურთიერთობა გართულდებოდა და ამიტომ რუსეთისაგან მოითხოვდა ვალდებულებების ასრულებას. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანის საქმეებიც გამოკეთდა და მან ისევ ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი. ერეკლეს მინისტრი (გარსევან ჭავჭავაძე) რუსეთს იმყოფებოდა და იქიდან ჯარის და სხვა საჭირო საომარი მოწყობილობის გამოგზავნას მოითხოვდა, თანახმად ხელშეკრულობისა. აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა, რუსეთიდან კი არავითარი გადაჭრითი პასუხი

არ მოდიოდა. რამდენადაც შაჰი ახლოს მოიწევდა, იმდენად იგი უფრო მოითხოვდა ერეკლესაგან მეგობრობას და სპარსეთის ორიენტაციის არჩევას.

ამასობაში მოაწია 1795 წლის სექტემბერმაც. სპარსეთის შაჰი დიდი ჯარით ტფილისს მიუახლოვდა. სექტემბერში ტფილისი აღებულ და აოხრებულ იქნა. მთელი განძეულობა გაზიდულ იქნა და მოსახლეობა თითქმის განახევრდა.

შაჰმა ისევ სცადა მეფესთან შერიგება, მაგრამ სპარსეთთან უკვე საბოლოოდ იქნა გაწყვეტილი ყოველგვარი კავშირი: ერეკლემ შაჰს პასუხიც არ აღირსა.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა, ვითომ საქართველოს აოხრების საპასუხოდ ომი გამოუცხადა სპარსეთს.

მაგრამ არც ამ სამხედრო მოქმედებიდან გამოვიდა რა: ეკატერინე მე-II-ის სიკვდილის შემდეგ რუსის მთავრობამ თავი დაანება სპარსეთთან ომს და ჯარიც უკან იქნა გაწვეული.

1798 წ. მეფე ერეკლე მიიცვალა და მისი ადგილი მისმა ავადმყოფმა და ქვეყნის მართვისათვის გამოუსადეგარმა შვილმა გიორგი მე-XII-ემ დაიკავა.

რომ რუსი ვაჭრებზე ჩრდილო კავკასიაში მთიულების თავდასხმებს ბოლო მოღებოდა, ე. ი. სავაჭრო გზები რუსეთის კაპიტალს თავისთვის უზრუნველეყო, რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის რუსეთთან საბოლოოდ შეერთება. გარეგნულად საქართველოს მიმართ ამას ამართლებდენ მეფის ოჯახში მემკვიდრეობის თაობაზე ამტყდარი ინტრიგებით. 1800 წ. 18 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა (პავლემ) ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან სრულიათ შეერთების მანიფესტს. 1800 წლის 23 დეკემბერს მეფე გიორგი მე-XII-ე მოულოდნელად მიიცვალა და მისი ტახტის მემკვიდრე საჭირო აღარ შეიქნა, ვინაიდან საქართველო რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა და გენერალი კნორინგი მის სამხედრო მართველად.

სულ მალე, ათიოდე წლის განმავლობაში, საქართველოს სხვა მეფე მთავრებიც ზოგი თავისი ნებით, ზოგიც თავისი სურვილის წინააღმდეგ დამორჩილდენ რუსეთს.

ამ რიგად საქართველოს დაეპატრონა რუსეთი. საქართველოსთვის ამ აუცილებელ მოვლენას პროგრესიული შედეგები მოჰყვა.

ამ დროს რუსეთს ფეოდალობა უკვე მონელებული ჰქონდა და იგი საზოგადო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ფეოდალური საქართველო: რუსეთი ამ დროს წარმოადგენდა ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელურ სახელმწიფოს. საქართველომ კი თავისი საკუთარი ძალებით ვერ შესძლო აღმოსავლური ჩამორჩენილობიდან თავის დახსნა და, ვინ იცის, რამდენ ხანს მოანდომებდა საქართველო ამ საქმის მოგვარებას, თუ კი საზოგადოდ შესძლებდა ის ამას იმ პირობების მიხედვით, რაშიაც ის ჩავარდა ისტორიულად.

საქართველო ფეოდალური ქვეყანა იყო. ფეოდალიზმი, როგორც ვიცით, ემყარება უმთავრესად ნატურალურ მეურნეობას. ფეოდალიზმის ხანაში ქვეყანა დაქუცმაცებულია, იგი წვრილ დამოუკიდებელ, ან ნახევრადდამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენს. ხალხი, თუგინდ ერთის მოდგმისა, ერთს ენაზე მოსაუბრე და ერთი რელიგიის და ზნე-ჩვეულების მქონე, ფეოდალიზმის და ნატურალური მეურნეობის ხანაში ერთს მთლიანს, ერთი ინტერესებით აღჭურვილს ეკონომიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ერს ვერ წარმოადგენს. ასე იყო საქართველოშიც. თან მას გარს ერტყა კიდევ უფრო ჩამორჩენილი სახელმწიფოების რკალი-სპარსეთი, ოსმალეთი. საკუთარი ძალით ამ რკალის გარღვევა და თანამედროვე ცივილიზაციასთან ზიარება საქართველოს იმ დროს არ შეეძლო. რუსეთმა თავისი შემოსვლით აქ დაამყარა თავისებური, ბიუროკრატიული თვითმპყრობელური წესწყობილება და ამით მან საქართველოში ფეოდალობის მოსპობას და ახალი მდგომარეობის შექმნას ხელი შეუწყო. ამის შემდეგ საქართველოში და ამიერ-

კავკასიის სხვა ნაწილებშიაც ნატურალური მეურნეობის ადგილას ფულის მეურნეობამ მოიკიდა ფეხი; ეს კაპიტალიზმის დასაწყისია. კაპიტალიზმმა მოშალა და დაანგრია საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის საზღვრები და საბაჟოები, გაკეთდა გზები და ხიდები, გაჩაღდა ვაჭრობა-მრეწველობა (რკინის გზები, სამთამადნო მრეწველობა, ნავთის მრეწველობა) და ამით დაუახლოვდენ ერთმანეთს როგორც ამიერკავკასიის, ისე საქართველოს სულ განაპირა კუთხეების მცხოვრებნიც კი. მაგარმა ცენტრალურმა მთავრობამ ალაგმა ფეოდალები; ფულის ტრიალმა კი თავისებურად დაუახლოვა ერთმანეთს მაღალი და დაბალი წოდება და სხვა.

ერთი სიტყვით, ქვეყანა გაერთიანდა და ახალი შინაარსის მეურნეობის ნიადაგზე ეკონომიურ-კულტურულ აღორძინების გზას დაადგა.

ჩვენში მე-XIX-ე საუკ. დამდეგს რუსეთის შემოსვლის და დამკვიდრების შედეგების შესახებ ჩვენ დაწვრილებით და ვრცლად „საქართველოს ისტორიის“ მე-III-ე ნაწილში გვექნება სუბარი.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

	გვ.
საქართველოს დამოკიდებულება გარეშე ქვეყნებთან მე-XI-ე საუკუნეში	5
ხელოსნობა, შრომის განაწილება ხელოსნობაში და სოფლის მეურნეობა	7

სავაჭრო კაპიტალი.

ქალაქები საქართველოში და მათი დაცემის და წარმოშობის საკითხი	15
საქართველოს სააღებმიცემო დამოკიდებულება უცხო ქვეყნებთან და შინაური ვაჭრობა	22
ფული	28
ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება	30
სამხედრო რეფორმა და ფინანსიური ორგანიზაცია	33
უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულება და შეტევითი პოლიტიკის წარმოება	37
აჯანყებები და რევოლიუციები მე-XII-ე საუკუნის მეორე ნახევარში	40
დაპყრობითი ომების გაგრძელება მე-XII-ე საუკუნის დამლევს და მეXIII-ე საუკუნის დამდეგს	47
მწერლობა და ხელოვნება მე-XI-ე და მე-XII-ე საუკუნეებში	50

საქართველოს დაქვეითების ხანა.

საქართველოს სიძლიერეს მტკიცე საფუძველი არ ჰქონია	57
საზოგადოების სოციალური შემადგენლობა მე-XIII-ე საუკ.	59
ძლევამოსილი ომების გავლენა მართველ წრეებზე და ამისი შედეგები	59
მონღოლები	61
მონღოლების ბატონობა და მისი სისასტიკე	62
მონღოლების მიერ ქართველებზე დაწესებული ვალდებულებანი და გადასახადი	62
მევახშეობა. ორტაღი	65
ქართული ეკლესიის დამოკიდებულება მონღოლებთან	67
მონღოლების უკანასკნელი გამოლაშქრება. თემურ-ლენგი	68

საქართველოს მოშენების მცდელობა.

ნატურალური მეურნეობა. კოსტანტინოპოლის დაცემა	69
ეკონომიური ვითარება	70

გადასახადების გადიდება და გლეხთა არეულობა 72
კულტურა 73
საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა 75
რატომ არ მოეწყო ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიცია . . . 76
ოსმალეთის საერთაშორისო მდგომარეობა. 80
საქართველოს შინაური მდგომარეობა 81
საქართველოს დამოკიდებულება სპარსეთსა და ოსმალეთთან . 83
ბატონყმობა მე-XV—XVI—XVII საუკუნეებში 87
საბატონო, სახასო (სამეფო) და საეკლესიო ყმების გადასახადები და ვალდებულებანი 90
მეურნეობის დაცემა და ტყვეებით ვაჭრობა 95
სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესები აღმოსავლეთ საქართველოში და მათი შემოსევები 100
შინაური არეულობანი და ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მდგომარეობა მე-XVI—XVII-ე საუკუნეებში 108
საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში 113
საქართველო მე-XVIII ე საუკუნის დასაწყისში 120
სპარსეთის დასუსტება 122
რუსეთის სავაჭრო კაპიტალი აღმოსავლეთისაკენ მიიწევს . . 124
დასავლეთ-საქართველო ამავე დროს 127
რა მიზნით მოდიოდენ საქართველოში უცხოელება 129
საქართველოს სამეურნეო ძალების გამოცოცხლება 133
ბატონყმობა 138
მევახშეობა 142
მეურნეობა, ვაჭრობა და კულტურა მე-XVIII-ე საუკუნეში . . 145
ურთიერთობა სპარსეთთან 149
მიზეზები, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს საქართველოში ერთი ცენტრალური ძალა-უფლების შექმნა 153
საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ომიანობის ხანაში. (1768—1774 წ.წ.) 158
რუსეთის სავაჭრო კაპიტალი ისევ სპარსეთისაკენ მიიწევს . . 160
ხელშეკრულების შედეგები 162
სარჩევი 167